ჰანს-მარტინ ლომანი

# ზიგმუნდ ფროიდი

# Sigmund Freud

Dargestellt von Hans-Martin Lohmann

**ილუსტრირებული ბიოგრაფიები**

გამომცემელი ლაშა ბაქრაძე

ჯებესი 2008

გარეკანისათვის გამოყენებულია ზიგმუნდ ფროიდის უთარიღო (დაახ. 1907 წ.) პორტრეტი ულშტაინ ბილდის ლიცენზიით (© ullstein bild)

უკანა მხარეზე: დავიდ ჩერნის ქანდაკება–ჩამოკიდებული კაცი.

ფოტოები 15, 71, 130, 189 გვერდებზე უანგაროდ დაგვითმო პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის სურათების არქივმა (© Bildarchiv Preussischer Kulturbesitz).

მთარგმნელი
**მარინა ახათიანი**

Originally published under the title SIGMUND FREUD
by Hans-Martin Lohmann
Copyright © 1998, 2006 Rowohlt Verlag GmbH, Reinbek bei Hamburg

ქართული თარგმანი და გამოცემა © გამომცემლობა „პეგასი"
პირველი გამოცემა: სექტემბერი, 2008

სერიის გამომცემელი და წიგნის მთავარი რედაქტორი
**ლაშა ბაქრაძე**

კორექტორი
**ნათელა თუხარელი**
დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
**მარიკა მიქელაძე**
წიგნზე მუშაობდა
**შალვა ლურსმანაშვილი**

ტირაჟი: 1000

ISSN 1512-4355
ISBN 978-9941-9028-6-4

გამომცემლობა „პეგასი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ. 39 07 27, ტელ./ ფაქსი 42 00 00
ელ-ფოსტა book@pegasus.ge
ვებ-გვერდი www.pegasus.ge

შინაარსი

1. ადამიანი და მისი შემოქმედება.
ბიოგრაფიის მიმოხილვა როგორც
ფსიქოანალიზის მიმოხილვა 7
ახალგაზრდა ოიდიპოსი. გრძნობების
ჩამოყალიბების წლები (1856-1886) 7
ბროიერთან და ფლისთან
მეგობრობა (1887-1899) 33
გარღვევა. ფსიქოპათოლოგიიდან ნორმალური
ფსიქოლოგიისაკენ (1900-1905) 46
მეცნიერული და პოლიტიკური ექსპანსიები.
ფსიქოანალიზი, როგორც
„მოძრაობა" (1906-1914) 67
სულის ბნელი კონტინენტები.
ლიბიდოს დაძლევა (1915-1923) 91
ოიდიპოსი კოლონოსზე. დიდება, ემიგრაცია
და სიკვდილი (1924-1939) 114

2. პრობლემები და წინააღმდეგობები.
ფსიქოანალიზი ფროიდის მიხედვით 133
ბიოლოგია და ინტერპრეტაცია –
განსხვავებული და-ძმა 136
ექიმი, რომელსაც არ სურდა ექიმად ყოფნა 153
ქალები და მამაკაცები 161
დეცენტრირება – რეცენტრირება 173
ფროიდი, ულიტერატორესი
ფსიქოანალიტიკოსთა შორის 185

შენიშვნები 192
ქრონოლოგიური ცხრილი 206
შეფასებები 209
ავტორის შესახებ და მადლობა 211
პირთა საძიებელი 212



*არ არსებობს წამალი სიკვდილის წინააღმდეგ და შეცდომის წინააღმდეგ რაიმე წესი არ მოიძებნა.*

*ზიგმუნდ ფროიდი*

რობერტ კასტორის ნახატი (1925 წ.) ზიგმუნდ ფროიდის ხელნაწერით.

# 1. ადამიანი და მისი შემოქმედება

## ბიოგრაფიის მიმოხილვა როგორც ფსიქოანალიზის მიმოხილვა

### ახალგაზრდა ოიდიპოსი. გრძნობების ჩამოყალიბების წლები (1856-1886)

ზიგმუნდ ფროიდის ბიოგრაფია, გარეგნულად ნაკლებ სენსაციური და გამორჩეული, ძალიან განსხვავდება მისი შინაგანი ბიოგრაფიისაგან, რომელიც დრამატულობის ყველა ნიშანს ატარებს. გარდაცვალებამდე ათი წლით ადრე მან ედუარდ ბერნაის განუცხადა, რომ მისმა ცხოვრებამ *გარეგნულად მშვიდად და უშინაარსოდ ჩაიარა და მხოლოდ მცირეოდენი თარიღებით შეიძლება შემოიფარგლოს.*[1] ფროიდის ბიოგრაფი პიტერ გაი ამ აზრს ლაკონურად ასრულებს: „ის დაიბადა, სწავლობდა, მოგზაურობდა, დაქორწინდა, პრაქტიკას ეწეოდა, ლექციებს კითხულობდა, შრომებს აქვეყნებდა, კამათობდა, მოხუცდა, გარდაიცვალა".[2] ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ფროიდმა პრაქტიკულად მთელი ცხოვრება, 78 წელი, ვენაში გაატარა, ქალაქში, რომლის მიმართ ის ერთდროულად სიძულვილსა და სიყვარულს გრძნობდა. როდესაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იძულებული გახდა ვენა დაეტოვებინა, ფროიდი წერდა: *გათავისუფლების გამო აღტაცების გრძნობას ძლიერი მწუხარება ერთვის, რადგანაც საპყრობილე, საიდანაც გავთავისუფლდი, ჯერ კიდევ ძალიან მიყვარს.*[3] არასენსაციურს ფროიდის პროფესიულ და კერძო ცხოვრებაში მის ირგვლივ მუდმივად არსებული ვენის საზოგადოების ატმოსფერო შეესაბამებოდა. აქ გაჩნდა და ჩამოყალიბდა მისი შემოქმედება, რომელსაც თავისთავად ვენური არაფერი ჰქონდა, მაგრამ ფესვებით მაინც ევროპულ მეტროპოლიასთან იყო დაკავშირებული, რომლის მიმართაც ფროიდს უჩვეულოდ ინტენსიური გრძნობები ჰქონდა.

სიგიზმუნდ შლომო ფროიდი, ასეა ჩაწერილი მამის მიერ საოჯახო ბიბლიაში, დაიბადა 1856



სახლი, რომელშიც დაიბადა ზიგმუნდ ფროიდი. დღეს მისი მუზეუმი.

წელს, მისთვის საყვარელი პოეტის ჰაინრიჰ ჰაინეს გარდაცვალების წელს მორავიის ქალაქ ფრაიბერგში (დღევანდელი პრშიბორი). მამამისი, კალამონ იაკობ ფროიდი, შალეულით მოვაჭრე ღარიბი ებრაელი, 1855 წელს მესამედ[4] დაქორწინდა ოცი წლით უმცროს ამალია ნათანსონზე, რომელმაც მას ზიგმუნდის (ასე უწოდა მან მალე თავის თავს) შემდეგ კიდევ შვიდი შვილი აჩუქა.

თუ გავაცნობიერებთ, თუ რა როლს თამაშობს ოჯახური ურთიერთობები და ინტრიგები, ოიდიპოსის სამკუთხედი და შემდგომში მასთან დაკავშირებული ფანტაზიები ფროიდის მიერ შექმნილ ფსიქოანალიზის თეორიაში, გასაკვირი არ იქნება, რომ ოჯახური ურთიერთობები, რომელშიც პატარა ზიგმუნდი იზრდებოდა, მეტისმეტად რთული იყო. დედამისი ამალია იაკობის უფროს ვაჟზე პირველი ქორწინებიდან, ემანუილზე, ახალგაზრდა იყო. ემანუილი დაქორწინებული იყო და შვილებიც კი ჰყავდა. ზიგმუნდის მეორე ნახევარძმა, უცოლო ფილი-

პი ოდნავ უმცროსი იყო ამალიაზე. ბავშვი, ალბათ, გრძნობდა, რომ თითქმის ერთი ასაკის ემანუილი, ფილიპი და ამალია უფრო უხდებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე ბევრად უფროსი იაკობი თავის ახალგაზრდა, მიმზიდველ ცოლს. და მართლაც, ფროიდმა თავის Psychopathologie des Alltagslebens („ყოველდღიურობის ფსიქოპათოლოგიაში") მიანიშნა იმაზე, რომ მას, სამიოდე წლის ბავშვს, თავისი დის ანას დაბადების დროს ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ თითქოს იაკობმა კი არა, არამედ ფილიპმა „მოათავსა"[5] ის (ანა) დედის სხეულში. ორივე მის ნახევარ ძმას უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდათ დედასთან, ვიდრე მამამისს, რომელიც სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა მისი ბაბუა ყოფილიყო და, რომ ემანუილის ერთ-ერთი ვაჟი, იონი ფროიდის პირველი ამხანაგი, ერთი წლით უფროსი იყო მასზე, ბიძაზე. ეს მართლაც საკმაო მასალას იძლეოდა *საოჯახო რომანისთვის*[6] და ფროიდის ბიოგრაფებმა ეს საინტერესო ფაქტი ხელიდან არ გაუშვეს.[7]

ოჯახურ ინტრიგას, რაც ფროიდის ფრაიბერგულ ცხოვრებას ახლდა, უდავოდ მიეკუთვნება ის გარემოებაც, რომ მშობლებმა მისთვის გადიაც დაიქირავეს, *პრეისტორიული მოხუცი*,[8] ვისზეც ფროიდი Traumdeutung-ში („სიზმრების ახსნა") მოგვითხრობს. ეს ქალბატონი, მონიკა ზაიცი, კათოლიკე ჩეხი იყო. როგორც მას 1897 წლის 3 ოქტომბერს, თავისი „კრიზისის" პერიოდში ფროიდი ვილჰელმ ფლისისადმი გაგზავნილ წერილში იხსენებს, *ეს ქალბატონი ჩემი მასწავლებელი იყო სექსუალურ საკითხებში და მლანძღავდა, რომ მოუხერხებელი ვიყავი და არაფერი შემეძლო... გარდა ამისა, მოვარდისფრო წყლით მბანდა, რომელშიც ჯერ თვითონ ბანაობდა [...].[8] მაიძულებდა „ათიანები" (ათკრონციანი მონეტები) მომეპარა და მისთვის მიმეცა.*[9] ფროიდის საყვარელმა გადიამ ის სიცარიელე ამოავსო, რაც დედამისმა მეორე ვაჟის, იულიუსის გაჩენის გამო დაუტოვა. იულიუსი ნახევარი წლის შემდეგ 1858 წლის აპრილში გარდაიცვალა. ერთი თვით ადრე ვენაში გარდაიცვალა ამალიას უმცროსი ძმა იულიუსი. იმავე წელს ფროიდის დედას ქალიშვილი, ანა შეეძინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამალია მაშინ,



დედასთან და დებთან –როზასთან და დოლფისთან ერთად. დაახ. 1864 წ.

როდესაც ზიგმუნდი ორი-სამი წლის იყო, ორი მშობიარობითა და ორი სიკვდილით *იყო* დამძიმებული, აშკარა ხდება, რომ გადიას ზიგმუნდისთვის მართლაც სასიცოცხლო ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ის ბავშვს დაეხმარა გამკლავებოდა იმ ფაქტს, რომ მას დროდადრო დეპრესიული „მკვდარი" დედა (ანდრე გრინი) ჰყავდა, რომელიც საყრდენისა და გაგების მის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა. დაახლოებით ანას დაბადების დროისათვის გადია ქურდობის გამო ოჯახიდან დაითხოვეს. მისი წასვლა სამიოდე წლის ზიგმუნდისთვის მოულოდნელი იყო და ის *„სასოწარკვეთილი"*[10] ტიროდა. ამას იმის შიშიც ერთვოდა, რომ შეიძლებოდა დედაც დაეკარგა – *„წავიდა"* და *„მოკვდა"*[11] ბავშვისთვის ერთსა და იმავეს ნიშნავს. ზუსტად 40 წლის შემდეგ ფროიდი წერდა, რომ *მადლიერებით ვიხსენებ მოხუც ქალს, რომელმაც მე ასეთ ადრეულ ასაკში სიცოცხლის საშუალება მაპოვნინა და შემდგომი ცხოვრებისათვის მომამზადა.*[12]

ამ ეპიზოდის აქ ასე დაწვრილებით აღწერა იმითაა გამოწვეული, რომ მან 1896-1897 წლებში, მამის სიკვდილის შემდეგ, ფროიდის თეორიის ჩამოყალიბების „კრიზისულ წლებში", მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ფსიქოანალიზის" შექმნაში, მეორე



მამასთან ერთად.
დაახ. 1864 წ.

მხრივ, აშკარაა, რომ მოგვიანებით ფროიდი იმ კაცების მიმართ იჩენდა ინტერესს და მათთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდა, ვისაც ორი დედა ჰყავდა: ოიდიპოსი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო და მოსე.[13] ოიდიპოსი მისანის წინასწარმეტყველების გამო დედას მოაშორეს და ის უცხო სამეფო კარზე იზრდებოდა. ლეონარდოს დედა, ალბათ, მხოლოდ სიცოცხლის პირველ წლებში უვლიდა და შემდეგ კი დედინაცვალი ზრუნავდა მასზე. მიქელანჯელო დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ ძიძას მიაბარეს. დედამისი გარდაიცვალა, როცა ის ექვსი წლის იყო. მოსე დედამ მოიშორა, ის ფარაონის ქალიშვილმა იპოვა და სასახლეში აღზარდა. ყველა ეს მითოლოგიური და ისტორიული პერსონაჟი ფროიდმა თავის ნაწარმოებში ღრმად გააანალიზა და მათ ისეთი მნიშვნელობა მიანიჭა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა, როგორც მამობისა და მამაკაცობის, ასევე დედობისა და ქალურობის შესახებ დასკვნები გაეკეთებინა.[14]

თუ გადიის დაკარგვა პრეოიდიპური ბიჭისათვის შესაძლოა ტრამვული ბუნებისა ყოფილიყო, არანაკლები იყო მისი განცდები დედის არყოფნის ან დაკავებულობის გამო. ლიტერატურაში ამალია



დედასთან ერთად.
დაახ. 1872 წ.

ფროიდი დახასიათებულია, ერთი მხრივ, როგორც მოსიყვარულე, დედობრივი, თბილი პიროვნება და აქედან ასკვნიან, რომ დედა-შვილის ურთიერთობა სიყვარულით და სითბოთი სავსე უნდა ყოფილიყო;[15] მეორე მხრივ კი, არსებობს ფაქტები, რომლებიც ამის მიმართ ეჭვს აღძრავენ და მიუთითებენ ამალიას მომთხოვნ, ეგოისტურ და მბრძანებლურ ხასიათსა და ასევე შვილის ძლიერ ამბივალენტურ დამოკიდებულებაზე დედის მიმართ.[16] ცნობილია, რომ ფროიდი შედარებით იშვიათად და თავშეკავებულად ლაპარაკობდა დედაზე – ნამდვილი სიყვარულით კი – უფრო იშვიათად. თავდაპირველად ეს დისტანციური ტონი იყო: ფროიდს კი არ უყვარდა დედა, არამედ დედას უყვარდა ის, მისი ნიჭიერი პირმშო:- *როდესაც დედის უდავოდ გამორჩეულად საყვარელი შვილი ხარ, მაშინ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებ დამპყრობლის გრძნობას, წარმატების იმ რწმენას,*

*რომელსაც არც თუ იშვიათად მართლაც მოაქვს წარმატება.*[17] მოგვიანებით, Traumdeutung-ში („სიზმრების ახსნა") შეტანილ შენიშვნაში ნათქვამია: *მე აღმოვაჩინე, რომ პიროვნებები, რომლებსაც დედა უპირატესობას ანიჭებს ან გამოარჩევს, ცხოვრებაში განსაკუთრებული თავდაჯერებულობით, შეურყეველი ოპტიმიზმით გამოირჩევიან, ხშირად გმირებად იქცევიან და ნამდვილ წარმატებას აღწევენ.*[18].

„გულითადი მოკრძალება ვაჟიშვილის მხრიდან", როგორც ამას ფროიდის ნდობით აღჭურვილი ექიმი მაქს შური მოწმობს, სულაც არ არის იგივე, რაც სიყვარული. სხვა წყაროებიც უფრო დისტანციასა და პატივისცემაზე მეტყველებენ, ვიდრე ძლიერ სიყვარულზე. უკვე 16 წლის ფროიდი თავისი მეგობრის ედუარდ ზილბერშტაინისადმი მიწერილ წერილში ეჭვს გამოთქვამს ამალიას დედობრივი უნარის შესახებ: *სხვა დედები — და რატომ დავფაროთ, რომ ჩვენებიც მათ შორის არიან? [. . .] მხოლოდ თავისი ვაჟების სასიყვარულო საქმეებზე ზრუნავენ და ხელიდან ეცლებათ კონტროლი მათ სულიერ განვითარებაზე.*[20]

„ჩემზე უცნაურად იმოქმედა ამ დიდმა მოვლენამ. არავითარი ტკივილი, არავითარი ნაღველი [. . .]. მე არ ვყოფილვარ დაკრძალვაზე. ანამ აქაც შემცვალა. დღეს ის თავის მეგობარ დოროთისთან ერთად შვეიცარია-იტალიაში სამოგზაუროდ წავიდა, რომლისთვისაც მე მათ უკეთეს ამინდს ვუსურვებ", — აღნიშნა ფროიდმა დედის სიკვდილთან დაკავშირებით.

და ბოლოს, არ შეიძლება იმ მნიშვნელოვანი ფაქტის დავიწყება, რომ მისმა ვაჟმა, როდესაც ამალია 1930 წელს ღრმად მოხუცი გარდაიცვალა, თავი აარიდა მის დაკრძალვაზე წასვლას და ამის ნაცვლად თავისი ქალიშვილი ანა გააგზავნა. აქედან ფსიქოლოგიური დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი, რომ ვაჟიშვილმა ტალიონის კანონის* თანახმად იმოქმედა ისევე, როგორც დედამისმა. მან შემცვლელი — „ერზაც-ვაჟიშვილი" გააგზავნა, ისევე როგორც დედამ მისი ცხოვრების გადამწყვეტ ფაზაში მისი დაცვა ერზაც-დედას მიანდო — თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. იქნებ ამ ფაქტებიდან ფრთხილი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი, რომ




ავსტრია-უნგრეთი. 1899 წლის რუკა

ფროიდს არაცნობიერი კავშირი თავის გამუდმებით ამბივალენტურად დაკავებულ დედის ფიგურასთან[21] არასოდეს დაუმუშავებია და რომ მის ნაწარმოებებში თავისებურად მცდარად გაშუქებული ქალურობა, რომელიც მან, უკვე მოხუცმა, მეტაფორაში dark continent (ბნელი კონტინენტი)[22] მოათავსა, წარმოადგენდა იმ მითოლოგიური საიდუმლოს შედეგს, რომელსაც ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში დედის და ქალის სახეს უკავშირებდა. განა უბრალო შემთხვევითობაა, რომ მან თავის საცოლეს, მარტა ბერნაის ერთხელ *კორდელია*[23] უწოდა, თავის ქალიშვილს კი *ჩემი ერთგული ანა-ანტიგონე?*[24] ფროიდი-მამაკაცი სუსტი, ბავშვური, მოხუცი კაცი, ბრმა.[25]

ფროიდის მამასთან დამოკიდებულება ნაკლებ ბუნდოვანია, ვიდრე დედასთან. იაკობი, უპირველეს ყოვლისა, წარუმატებელი კომერსანტი, თითქმის გამუდმებით სხვის და მათ შორის ინგლისში გამგზავრებული ვაჟების: ემანუილისა და ფილიპის ფინანსურ დახმარებაზე იყო დამოკიდებული. ორთ-

ოდოქს ებრაელად აღზრდილი იაკობი მოგვიანებით თავისუფალ მოაზროვნედ იქცა. ვაჟიშვილის დახასიათებით ის *დიდი სიბრძნის მქონე და უაღრესად უდარდელი, საინტერესო ადამიანი, შინაგანად ძალიან ბედნიერი, ღირსებით და პატიოსნებით აღსავსე კაცი იყო.*[26] როდესაც ზიგმუნდი წამოიზარდა და ოჯახი უკვე დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ვენაში, მამას ხშირად დაჰყავდა სასეირნოდ, *რათა ჩემთვის სამყაროს შესახებ თავისი შეხედულებები გაეზიარებინა. ასე მაგალითად, იმის საჩვენებლად, თუ რამდენად უკეთეს ეპოქაში გავჩნდი მასთან შედარებით, შემდეგი რამ მიამბო: როცა ახალგაზრდა კაცი ვიყავი, ერთ შაბათს, სწორედ იქ, სადაც შენ დაიბადე, ლამაზად ჩაცმული, თავზე ბეწვის ქუდით ქუჩაში მივსეირნობდი. ამ დროს ერთმა ქრისტიანმა ჩამოიარა, ერთი დარტყმით ქუდი ჭუჭყში გადამიგდო და თან მომაძახა: ურია, ჩადი ტროტუარიდან! მერე შენ რა ქენი? მე მანქანების სავალ ნაწილზე გადავედი და ქუდი ავიღე. — იყო მშვიდი პასუხი.*[27] ვაჟიშვილმა ამ მშვიდ თავმდაბლობას ვერასოდეს მიაღწია. იგი ყოველთვის ამაყად და აგრესიულად აღიარებდა თავის ებრაელობას, მაშინაც კი, როდესაც „უმკაცრეს ათეისტად"[28] იქცა. ფროიდის ადრეული იდენტიფიცირება პუნ (ე. ი. სემიტ) ჰანიბალთან ამ შემთხვევას უკავშირდება. როგორც ცნობილია, ჰანიბალის მამამ თავის ვაჟს ფიცი დაადებინა, რომ ის რომაელებს სამაგიეროს გადაუხდიდა და ფროიდს დიდხანს უჭირდა რომში გამგზავრება, რომელიც ანტისემიტური ქრისტიანობის ცენტრს წარმოადგენდა. მისი ჰანიბალური ფანტაზიების ახსნა იმითაც შეიძლება, რომ იგი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდა ისეთ ძლიერ პიროვნებასთან, რომელიც უფრო სახელმოხვეჭილი იყო, ვიდრე მამამისი – ოიდიპური მომენტი, წამოზრდილი ვაჟის ტრიუმფი დიდ მამაზე აქ აშკარად ჩანს.[29]

იაკობ ფროიდი, როგორც ჩანს, თავაზიანი და სასიამოვნო კაცი, მაგრამ ის ამასთანავე ოჯახის პატრიარქი იყო, რომელიც ყველაფერს განაგებდა. ეს იყო ხასიათის ის თვისება, რომელიც ვაჟიშვილმა ქედუხრელად გააგრძელა. იყო თუ არა მისთვის მამა ასევე დამსჯელი და საშიში ინსტანცია? არსებობს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ იაკობი პატარა

ზიგმუნდს საკუთარი გენიტალიებით თამაშს უკრძალავდა და კასტრაციითაც კი ემუქრებოდა, აგრეთვე, რომ იაკობმა თავისი ვაჟები ინგლისში იმ მიზნით გააგზავნა, რომ ფილიპი და ამალია ერთმანეთისთვის დაეშორებინა, ანუ ფილიპი მისი ავხორცობისთვის დაესაჯა.[30] შესაძლებელია, რომ ამ ოჯახურ სცენაში იმ თემის სქემამ იჩინა თავი, რომელიც ფროიდის ფსიქოანალიზის ქვაკუთხედს წარმოადგენს: *სექსუალურობის ძალა, სქესობრივ მოთხოვნილებათა ფაქტი ადამიანსა და ცხოველთან*[31], და პირველისათვის აქედან გამომდინარე საჭიროება, მოეთოკა თავისი ვნებები, რათა თავიდან აეცილებინა მამის მხრიდან კასტრაცია და განადგურება. ამიტომაც, უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ვარაუდი, რომ ფროიდის Totem und Tabu-ში („ტოტემი და ტაბუ") შექმნილი უძველესი ტომის, მამის სექსუალური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყებული ვაჟების სურათი მის საკუთარ ოჯახურ გამოცდილებას უკავშირდება.[32]

იაკობის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური სიძნელეების გამო, ოჯახი ხანმოკლე ლაიფციგური ეპიზოდის შემდეგ, 1860 წელს ვენაში გადასახლდა. ფრაიბერგი, ადრეული ბავშვობის ადგილი, ფროი-

ვენა. თაბორის ქუჩა. დაახ. 1899 წ.





ფროიდის ოჯახი,1876 წ მარცხნიდან მარჯვნივ, მეორე რიგი: პაულა, ანა, ზიგმუნდი, ემანუელი (ზიგმუნდის ნახევარძმა), როზა, მიცი, სიმონ ნათანსონი (ამალიას ნათესავი), დოლფი, ?, ამალია ფროიდი, იაკობ ფროიდი, ალექსანდრე, ?.

დისათვის სიზმრად იქცა. ჯერ კიდევ 1931 წელს პრშიბორში სახლზე, სადაც ის დაიბადა, მემორიალური დაფის გახსნასთან დაკავშირებით, მან განაცხადა: *ჩემში ღრმად დამალული. ჯერ კიდევ ცოცხლობს ბედნიერი ფრაიბერგელი ბავშვი. ახალგაზრდა დედის პირმშო. რომელმაც იმ ჰაერიდან. იმ მიწიდან პირველი წარუშლელი შთაბეჭდილებები მიიღო.*[33] საიმპერატორო და სამეფო მონარქიის დედაქალაქში 1860-70 წლებში უკვე ჰქროდა რეფორმატორული ლიბერალიზმის სული, რაც ებრაელი მოსახლეობისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ფროიდი, როგორც ჩანს, ჯერ კერძო სკოლაში დადიოდა, რათა შემდეგ ლეოპოლდშტატის კომუნალურ რეალურ გიმნაზიაში გადასულიყო, სადაც მან 17 წლისამ გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა – წარჩინებით, როგორც ეს ადრე მომწიფებულ, გამორჩეულ მოსწავლეს შეეფერებოდა. უკვე გიმნაზისტი ფროიდი შესამჩნევი სრულყოფილებით ფლობდა გერმანულ ენას, რაც მისმა მასწავლე-



ჰაინრიხ ბრაუნი

ბლებმაც შეამჩნიეს; თვითონ ფროიდი კი, ირონიულ კომენტარს უკეთებდა ამ ფაქტს ერთ-ერთ ახალგაზრდობისდროინდელ წერილში: *ჩემმა პროფესორმა მითხრა — და ის პირველი ადამიანია. ვინც ამის თქმას ბედავს. — თითქოს მე მქონდეს სტილი. რომელიც ჰერდერმა ასე კარგად დაახასიათა როგორც იდიოტური სტილი. სტილი. რომელიც ერთდროულად კორექტულიც არის და სახასიათოც.*[34] უკვე მაშინვე იყო აშკარა, რომ ფროიდს გამორჩეული მწერლის ნიჭი ჰქონდა, რაც ის გახდა კიდეც. გერმანული ენა იყო სახლი, რომელშიც ფროიდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცხოვრობდა და, რომელთანაც ის ღრმა და ემოციურ კავშირს გრძნობდა.

ამაყ და თავდაჯერებულ პირმშოს ნიჭს ყველანაირად ხელს უწყობდნენ პატივმოყვარე და საკუთარი ვაჟის უნარში დარწმუნებული მშობლები, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. დანარჩენი და-ძმა, განსაკუთრებით კი დები, ამ თვალსაზრისით ჩრდილში იდგნენ. ფროიდის დის, ანას გადმოცემით, ბიჭს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ოთახი, როგორ მატერიალურ გასაჭირშიც არ უნდა ყოფილიყო ოჯახი. იგი, როგორც გამორჩეულად საყვარელი პირმშო, რომელსაც დიდ მომავალს უქადნენ, ყოველგვარი პრივილეგიით სარგებლობდა.

პოლიტიკაში ჩართვის სურვილი, რომელიც მას ახალგაზრდობის მეგობარმა ჰაინრიხ ბრაუნმა – მოგვიანებით ცნობილმა ავსტრიელმა პოლიტიკოსმა – ჩაუნერგა, ფროიდმა მედიცინის შესწავლის სასარგებლოდ უარყო. 1873 წელს ის ვენის უნივერსიტეტში ჩაეწერა, სადაც მოგვიანებით, 1881 წლის მარტში, დოქტორის ხარისხი მოიპოვა. 70-იანი წლების დასაწყისს ემთხვევა ფროიდის პირველი სიყვარული, მისი ყრმობისდროინდელი ლტოლვა გიზელა ფლუსისადმი, მისი სკოლის მეგობრის ემილ ფლუსის დისადმი. ახალგაზრდობის მეგობარ ზილბერშტაინთან მიმოწერიდან ირკვევა, რომ ეს გრძნობები ნაკლებად იყო მიმართული გოგონასკენ, არამედ უფრო მეტად მისი დედისკენ, რომლის მშვენიერებაზე ის ერთგვარი დაგვიანებული ოიდიპოსური გატაცებით ოცნებობდა და, რომელსაც ის საკუთარ დედასაც კი უპირისპირებდა.[35] ის მოსაზრება, რომ ზილბერშტაინის წერილებში იქტიოზავრად (Ichthyosaura)[36] შენიღბული პიროვნება, რომლის მიმართ ახალგაზრდა ფროიდი ძლიერ სიტყვებს არ იშურებდა, გიზელა ფლუსის იდენტურია, ლეგენდების სფეროდან არის.[37] აქ კიდევ ერთი ქალი იყო ჩარეული, რომლის შესახებაც ცოტა რამაა ცნობილი, ქალი, რომელიც ფროიდისათვის სიყვარულის ძლიერ, მიწიერ მხარეს ასახიერებდა – მისთვის სახიფათო მხარეს, რომელსაც ის ეწინააღმდეგებოდა და რომლის დაძლევას ცდილობდა, რადგან ცოდნისკენ სწრაფვა და სურვილი, გამხდარიყო ცნობილი ადამიანი ან თუნდაც ჩვეულებრივი პროფესორი, ფროიდში ბევრად უფრო ძლიერი იყო. იგი უფრო მკვლევარი იყო, ვიდრე სტუდენტი, *ულვთო მედიკოსი და ემპირიკოსი,*[38] რომელმაც ფილოსოფიაში ხანმოკლე გასეირნების შემდეგ მალე უარი თქვა ამ ახალი სახის „სპეკულიაციაზე", რის გამოც მისთვის მოგვიანებით პრობლემური აღმოჩნდა ფილოსოფიის, კერძოდ, საკუთარ თეორიებზე ნიცშეს გავლენა ეღიარებინა.[39] ფროიდი, უპირველეს ყოვლისა, ზოოლოგიის შესწავლას შეუდგა, რაშიც მან ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ სასწავლო საბჭომ (სამინისტრომ) მას ორჯერ მიანიჭა სტიპენდია. ფული



პროფესორთა კოლეგია ვენის სამედიცინო ფაკულტეტზე, 1882 წ.

ტრიესტრში ორ სასწავლო ვიზიტს მოხმარდა, სადაც მან მამრობითი სქესის მდინარის გველთევზაზე ზოოლოგიურ სადგურში გამოკვლევა ჩაატარა. კვლევა 1877 წელს გამოაქვეყნა, აქ მთავარი ერთი აზრი – ინტერსექსუალობა იყო. მისი შედეგები არც მისთვის და არც მისი მასწავლებლისთვის არ იყო ნათელი.

ზოოლოგიური კვლევებით და, ალბათ, მასწავლებლითაც კარლ კლაუსით, რომელიც არსად არ ჩანს მის ავტობიოგრაფიულ ნაწერებში, უკმაყოფილო ფროიდმა მიმართულება შეიცვალა და 1876-1882 წლებს შორის პერიოდში ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გადავიდა, რომელსაც ცნობილი მეცნიერი ერნსტ ვილჰელმ ფონ ბრიუკე ხელმძღვანელობდა. ბრიუკე ჰელმჰოლცის სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი და სამედიცინო პოზიტივიზმის რადიკალური დამცველი, წარმატებით დაუპირისპირდა საუკუნის შუაში აღორძინებულ ვიტალიზმს. იგი იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელმაც ფროიდის სამეცნიერო შეხედულებები სამუდამოდ განსაზღვრა. *ერნსტ ბრიუკეს ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში მე, ბოლოს და ბოლოს, მოვიპოვე სიმშვიდე და სრული*

*კმაყოფილება*, – ნათქვამია 1925 წელს გამოქვეყნებულ Selbstdarstellung-ში („ავტოპორტრეტი“).[40] *ბრიუკე ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი იყო, რომელსაც ჩემზე ოდესმე გავლენა მოუხდენია.*[41] მისი დამოკიდებულება ბრიუკეს მიმართ არც მაშინ შეცვლილა, როდესაც ფროიდმა გონებრივ-სულიერი ფენომენის ფიზიოლოგიური ახსნა ფსიქოლოგიურით შეცვალა და როდესაც მან 1932 წელს დაწერა, რომ *ფსიქოანალიზი მეცნიერების ერთი ნაწილია და შეუძლია მეცნიერულ მსოფლმხედველობას მიუერთდეს.*[42] ეს შესაძლოა ერთგვარი პატივისცემის გამოხატვა ყოფილიყო მისი მასწავლებლის ბრიუკეს მიმართ. ფროიდის მთელი ფსიქოლოგია – შემდგომში ხშირად ხდებოდა ამ აზრის დაკნინება – იმ მეცნიერული გაგების ტყვეობაში აღმოჩნდა, რომელიც შემოიტანეს და გაავრცელეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც დარვინი, დიუ ბუა-რაიმონდი, ჰელმჰოლცი, ბრიუკე და ვირხოვი იყვნენ. შემდეგ გამოჩნდება, თუ რა გავლენა იქონია ამან ფსიქოანალიზის კონცეფციაზე.

ბედნიერი წლები ბრიუკეს ინსტიტუტში მხოლოდ ერთწლიანი სამხედრო სამსახურით შეწყდა, რომელიც ფროიდს 1879-80 წლებში უნდა გაევლო. სამხედრო სამსახურის მოწყენილობას იგი იმითაც იქარვებდა, რომ ჯონ სტუარტ მილის ზოგიერთი ნაწარმოები გერმანულ ენაზე თარგმნა, მათ შორის იყო ესეი ქალთა ემანსიპაციის შესახებ, რის წაკითხვასაც ის მოგვიანებით თავის ცოლს არ ურჩევდა.

26 წლის ფროიდი ორივე – ღარიბიც და შეყვარებულიც – იყო. აუტანელი მდგომარეობაა. ბრიუკეს კეთილი რჩევით, *თავი დაენებებინა თეორიული მოღვაწეობისათვის*[43] (და ამით პროფესორად გახდომის სურვილიც დაევიწყებინა) ფროიდმა, ალბათ უხალისოდ, გადაწყვიტა ვენის ზოგადი პროფილის კლინიკაში დაეწყო მუშაობა, თავდაპირველად ასპირანტის, შემდეგ კი უმცროსი ექიმის თანამდებობაზე. ფულის შოვნის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი ფროიდის *ცუდი მატერიალური მდგომარეობა*[44] უნდა ყოფილიყო. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი კი ის იყო, რომ მან მარტა ბერნაისი გაიცნო და თავდავიწყებით



მარტა ბერნაისი. 1880 წ.

შეიყვარა. მარტა ფროიდზე ხუთი წლით უმცროსი და ჰამბურგის ძველი და განათლებული ებრაული ოჯახიდან იყო. მისი ბაბუა, ისააკ ბერნაისი ჰამბურგის მთავარი რაბინი იყო; მათი ოჯახიდან იყვნენ ცნობილი სწავლულები, მათ შორის კლასიკური ფილოლოგიის მცოდნე იაკობ ბერნაისი. რადგანაც მარტა, რომელზედაც ფროიდი 1882 წელს დაინიშნა, ნარჩინებული, მაგრამ ხელმოკლე ოჯახიდან იყო, ფროიდს პროფესიით მუშაობის გარდა არაფერი დარჩენოდა. ასე გახდა ფროიდი კლინიკოსი, რასაკვირველია, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე, იმ მიზნით, რომ ოდესმე ტრადიციული ოჯახი შეექმნა. ბოჰემური ყოფა წესრიგის და უსაფრთხოების გარეშე, რომლითაც ჟენი და კარლ მარქსები ცხოვრობდნენ, ტრადიციების დამცველი კაცისთვის, როგორც ფროიდი, გამორიცხული იყო.

კლინიკაში ფროიდის მოღვაწეობის მიზანი, სადაც მას ცოტას უხდიდნენ, უპირველეს ყოვლისა, კლინიკური პრაქტიკის მეშვეობით კერძო პრაქტიკოსი ექიმის კარიერისთვის მომზადება იყო. ამ



ისააკ ბერნაისი

საქმიანობასთან ერთად მას, ამბიციურ მკვლევარსა და მეცნიერს, საკმარისი დრო რჩებოდა თავისი სამეცნიერო მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად და მედიცინის სხვადასხვა სფეროში ცოდნის გასაღრმავებლად. რასაკვირველია, ძირითადი მიზანი ნევროპათოლოგიაში დახელოვნება იყო. თავდაპირველად ფროიდი ცნობილ კლინიცისტის ჰერმან ნოთნაგელის განყოფილებაში მუშაობდა და 1883 წლის მაისში არანაკლებად ცნობილი ტვინის ანატომის და ფსიქიატრის თეოდორ მაინერტის კლინიკაში გადავიდა – ორივე მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და ხელს უწყობდა მას. როგორი თავდაჯერებული იყო ფროიდი ამ ყველაზე არასაიმედო პროფესიული და სამეცნიერო კარიერის დასაწყისში, საცოლისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილიდან ჩანს: *მე ვიცი [. . .], რომ ხელსაყრელ პირობებში უფრო მეტის გაკეთებას შევძლებდი, ვიდრე ნოთნაგელი, რომელსაც მე ბევრად ვჯობივარ.*[45] ასეთი თავდაჯერებულობა და უპირატესობის განცდა მუდამ ახასიათებდა ფროიდს, და ამ ფაქტს ის სიამოვნებით უკავშირებდა თავის ადრეულ პრივი-

ლეგირებულ მდგომარეობას დედასთან. როდესაც მან 1885 წელის იანვარში ვენის უნივერსიტეტში ჰაბილიტაცია და ამით პრივატ-დოცენტის ადგილის მიღება განიზრახა, სულაც არ გასჭირვებია თავისი ძველი მასწავლებლის, ბრიუკეს, ასევე მაინერტის და ნოითნაგელის რეკომენდაციები გამოეყენებინა. სამინისტრომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, უმალვე დაადასტურა ფროიდის დოცენტად დანიშვნა. ახლა მისთვის თითქოს უკვე ნათელი უნდა ყოფილიყო მისი შემდგომი გზა. დოცენტურა კარგ სპეციალურ საექიმო პრაქტიკას და პერსპექტივაში სამეცნიერო წარმატებას გულისხმობდა.

მაგრამ ეს ასევე გასაჭირით სავსე, მკაცრი წლები იყო, რომელიც ფროიდმა გამოიარა. ის არ ყოფილა „other Victorian" (სტივენ მარკუსი) და არ უცხოვრია როგორც „My secret Life"-ის ანონიმ ავტორს, რომელმაც, სარწმუნო გამოკვლევის თანახმად, თვითონ გამოსცადა ყველა მის მიერ აღწერილი სექსუალური თავგადასავალი. ფროიდი ცხოვრობდა როგორც მკაცრად აღზრდილი ვენელი ვიქტორიანელი, რომლისთვისაც ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობა ტაბუდადებული იყო და მან, როგორც ამის ვარაუდის საფუძველი არსებობს, ოთხი უსასრულოდ გრძელი ნიშნობის წელი სრული თავშეკავებით გადაიტანა. საცოლისადმი მიწერილი წერილებიდან ვიგებთ, თუ რა მრისხანებას და გააფთრებას იწვევდა მასში სექსუალური სურვილების დათრგუნვა: *[. . .] მე მხოლოდ ნახევარი კაცი ვარ ძველი პლატონური იგავის თანახმად, რომელსაც შენ, რასაკვირველია, იცნობ და მაშინვე მტკივდება კვეთის ადგილი, როგორც კი უსაქმოდ ვრჩები.* თითქმის იგივე სულისკვეთებით, აღშფოთებითა და ზიზღით მათ მიმართ, ვინც უსინდისოდ მისცემია სიამოვნებას,

ათწლეულების შემდეგ ფროიდმა ჯეიმს პუტმანს წერილი მისწერა, სადაც ლაპარაკი იყო ახალგაზრდობისათვის უფრო დიდი სექსუალური თავისუფლების მინიჭების თემაზე, რასაც ის, როგორც მოზრდილი ადამიანი, სულ უფრო მეტად უჭერდა მხარს: „მე მხარს ვუჭერ ბევრად უფრო თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებას, თუმცა თვითონ ასეთი თავისუფლება არ მიგემია".

ის ამბობს: *ჩვენ ვიტანთ გაჭირვებას უმწიკვლობის შესანარჩუნებლად. ჩვენ ვიკლებთ ჯანმრთელობას, სიამოვნებას, აღტაცების გრძნობას, ვმალლდებით რაღაცისთვის, რისთვის, თვითონაც არ ვიცით — და ეს ბუნებრივ ინსტინქტთა გამუდმებული დათრგუნვა ჩვენ სინატიფეს გვანიჭებს [. . .]. ჩვენ უფრო იმისკენ ვისწრაფვით, რომ ტანჯვას დავშორდეთ და არა ტკბობა შევიგრძნოთ, ხოლო უმაღლეს პოტენციაში ჩვენ ვართ ადამიანები, როგორც ორნი, რომლებიც სიკვდილისა და სიცოცხლის ჯაჭვებით არიან გადაბმული, რომლებიც წლობით იკავებენ თავს და ერთმანეთი ენატრებათ, რათა ერთმანეთს არ ულალატონ [. . .].*[46] ფროიდის ემოციური აფეთქება, ღრმა სასონარკვეთით და ამაყი უპირატესობით დაღდასმული, მთელ რიგ ემოციურ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც მის შემდგომ თეორიებში მთავარ ადგილს იკავებს. როცა მან 90-იან წლებში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ნევროზების სექსუალური ეტიოლოგიის შესახებ და შემდეგ თავისუფალი ქცევისაკენ სექსუალურ-რეფორმისტული სწრაფვით მხარი დაუჭირა სექსუალობას, მას უკვე ჰქონდა ნიშნობის პერიოდის მძიმე გამოცდილება. როდესაც ის ინსტინქტების სუბლიმაციის კონცეფციას აყალიბებდა, ამ რეალური გამოცდილების გამოყენება შეეძლო. ბოლოს და ბოლოს, მოტივი, ეძებო არა იმდენად საკუთარი სიამოვნება, არამედ უფრო *აარიდო თავი უსიამოვნებებს*,[47] ფროიდის მთელი შემოქმედების ლაიტმოტივია.

*ცოტაოდენი კოკაინი, რომელიც მივიღე, ყბედობის ხასიათზე მაყენებს, გოგონა.*[48] თითქმის საუკუნის შემდეგაც ამ ე. წ. კოკაინის ეპიზოდს სკანდალურობის ეფექტი არ დაუკარგავს და ფროიდის ბიოგრაფებს — ბერნ-



კოკაინის ფლაკონი აფთიაქიდან




ფროიდის მიერ გამოწერილი კოკაინის რეცეპტი.

ფელდით, ჯონსით და აისლერით დაწყებული გაიმდე – დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ამ ეპიზოდის სათანადოდ შესაფასებლად. მიუხედავად ამისა ის მაინც ითვლება ფროიდის ერთ-ერთ მცირერიცხოვან ნაკლად, სხვა მხრივ უნაკლო სამეცნიერო ბიოგრაფიაში. თანაც, არაფერია განსაკუთრებული იმაში, თუ მან, ნერვების მკურნალობის დამწყებმა პრაქტიკოსმა, ახალი ნევრასთენიული მედიკამენტის კვლევა დაიწყო. ფროიდის მიერ 1884 წელს დაწყებულმა ექსპერიმენტმა იმ დროს სრულიად უცნობი ალკალოიდ კოკაინით, მას შანსი მისცა თავი გამოეჩინა კვლევის იმ სფეროში, რომელიც ფროიდის აკადემიურ პედაგოგთა ინტერესების სფეროს სცილდებოდა. სენსაციური სამეცნიერო მიღწევით სახელის მოხვეჭის პერსპექტივაც კარგი ჩანდა, რასაც ის მართასა და საკუთარი ამბიციის გამო ყოველი საშუალებით შეეცდებოდა. ის, რომ იგი კოკაინის ანტიდეპრესიულ, ეიფორიულ ეფექტს საკუთარ თავზე ცდიდა, კარგად ჩანს საცოლის წერილებიდანაც და მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის, თუნდაც ერთხანს, კოკაინზე დამოკიდებული იყო. იმ ფაქტისგან, რომ კოლეგასა და მეგობარს, ნიჭიერ ერნსტ ფლაიშლ ფონ მარქსოს მორფინიზმისაგან ფსიქოტროპული



ერნსტ ფლაიშლ ფონ მარქსო

ნარკოტიკით (რომლის ნარკოტიკული ხასიათის შესახებ მაშინ, ალბათ, არავის ჰქონდა წარმოდგენა) თავის დაღწევა შესთავაზა, ზოგიერთმა ისტორიკოსმა გაკიცხა. ერთ-ერთმა მისმა თანამედროვე ექიმმა ალბრეხტ ერლენმაიერმა მკაცრად გააკრიტიკა ფროიდის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ თითქოს კოკაინი შესაფერი საშუალება იყო მორფზე დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად და უსაყვედურა, რომ მან კოკაინის სახით კაცობრიობას ალკოჰოლის და მორფის გვერდით მესამე უბედურება მოუვლინა.[49] ცნობილია, რომ ფროიდმა 1884-დან 1887 წლამდე ხუთი ნაშრომი გამოაქვეყნა კოკაინის შესახებ, რომლებიც დღემდე მნიშვნელოვან შენატანად ითვლება თანამედროვე ფსიქოფარმაკოლოგიაში. ისიც საგულისხმოა, რომ მან ფლაიშლ ფონ მარქსოსის შემთხვევაში დროულად ვერ გამოიცნო ნარკოტიკზე (კოკაინზე) დამოკიდებულების ჩამოყალიბების შესაძლებლობა და, რომ მან თავის კვლევებს კოკაინის შესახებ *ცელქობა*[50] და *ახალგაზრდული ცოდვა*[51] უწოდა. გარდა ამისა, ფროიდმა იმ მხრივაც განიცადა მარცხი კვლევაში, რომ მან კი არა, არამედ მისმა თანაკურსელმა კარლ კოლერმა აღმოაჩინა კოკაინის ადგილობრივი ანესთეზიოლოგიური გავლენის უნარი თვალზე და ამით

ის საერთაშორისო სამეცნიერო აღიარება მოიხვეჭა, რომლის მოხვეჭასაც ფროიდი იმედოვნებდა. *კოკაინის ისტორიამ,* – წერდა 1884 წლის შემოდგომაზე ოდნავ იმედგაცრუებული ფროიდი, ანუ ჯერ კიდევ ფლაიშლ ფონ მარქსოსთან მარცხამდე, – *მე ბევრი პატივი მომიტანა, მაგრამ ლომის წილი სხვას ერგო.*[52]

ამრიგად, ფროიდი კერძო პრაქტიკისათვის მზადებას განაგრძობდა, კვლავ *ფულის, თანამდებობის და სახელის*[53] მოპოვების პერსპექტივით, რაშიც მას ხელი უკვე მაინერტის ლაბორატორიაში ტვინის ანატომიაში დაგროვილმა ცოდნამ შეუწყო. 1885-86 აკადემიურ წელს ექვსთვიანი სამოგზაურო სტიპენდიის წყალობით, მან შეძლო დამატებითი კვალიფიკაციის მოპოვება ცნობილ სალპეტრიერში სახელგანთქმულ ჟან-მარტინ შარკოსთან (ირონიას არ უნდა იყოს მოკლებული, რომ თითქმის ასი წლის შემდეგ სწორედ სალპეტრიერში გარდაიცვალა ფილოსოფოსი მიშელ ფუკო, კლინიკური ხედვის უძლიერესი დიაგნოსტიკოსი და კრიტიკოსი). ჯერ კიდევ პარიზში ჩასვლამდე, ფროიდი სრულ ეიფორიაში წერდა მარტას: *რა მშვენიერი იქნება: მე [. . .] დავბრუნდები ვენაში დიდი, დიდი შარავანდედით, მერე მალე დავქორწინდებით და ყველა უკურნებელ ნერვულ ავადმყოფს ვუმკურნალებ [. . .]*[54]

შარკო, ისევე როგორც ბრიუკე ფიზიოლოგიაში, განსაკუთრებულ „ნერვულ დაავადებათა" დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში კორიფეედ ითვლებოდა, განსაკუთრებით კი ისტერიის სფეროში, რომელსაც იმდროინდელი მედიცინა ნაკლები სერიოზულობით ეკიდებოდა. ფროიდი მოხიბლული იყო როგორც შარკოს პიროვნებით, ასევე მისი კვლევებითა და ავადმყოფთა ზოგჯერ თეატრალური დემონსტრირებით. *შარკომ, ამ უდიდესმა ექიმმა, არაჩვეულებრივად გონიერმა ადამიანმა, ჩემი შეხედულებები და განზრახვები უბრალოდ თავდაყირა დააყენა. ზოგჯერ მისი ლექციიდან ისე გამოვდივარ, როგორც ნოტრ-დამიდან, სრულყოფილების ახალი შეგრძნებით [. . .]. არ ვიცი, თესლი ოდესმე ნაყოფს თუ გამოიღებს, მაგრამ არც ერთ სხვა ადამიანს ჩემზე ასეთი გავლენა არ მოუხდენია, ეს ზუსტად ვიცი.*[55]



ჟან-მარტინ შარკო სალპეტიერში ისტერიულ პაციენტზე – „ბლანში" (მარი ვიტმანი) დემონსტრირებას უკეთებს ჰიპნოზს.
ანდრე ბრუილეს ნახატი (ფრაგმენტი) 1887 წ.

მოკლე, მაგრამ საინტერესო სწავლის პერიოდმა შარკოსთან ფროიდს თვალი აუხილა სულიერი პათოლოგიის არა ფიზიოლოგიურ, არამედ უფრო ფსიქოლოგიურად ასახსნელ მიზეზებზე. პირველად მისგან, თვით ფროიდის აღიარებით, ისწავლა მან კლინიკური ხედვა. შარკომ არა მარტო მოახერხა ისტერიისათვის ექიმთა მეცნიერულ აზროვნებაში შესაფერი ადგილი მიეჩინა, არამედ სწორედ მას ეკუთვნის მიგნება, რომ ჰიპნოზურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებთან შესაძლებელია ისტერიული სიმპტომების ხელოვნურად გამოწვევა, თუმცა შესაძლებელია, ფროიდი უფრო ადრეც, ცნობილ ვენელ ექიმთან იოზეფ ბროიერთან ნაცნობობის და მეგობრობის წყალობით, გაეცნო ამ შესაძლებლობას.

პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ფროიდმა მწარე მარცხი განიცადა და ეს მისთვის უკანასკნელი არ უნდა ყოფილიყო ვენის სამედიცინო სამყაროს მეცნიერთა წრეში. შარკოს მიერ გათვითცნობიერებულმა დებულებით, რომ ისტერიამ, ყოველგვარი

მიღებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, შეიძლება მამაკაცებთანაც იჩინოს თავი, ფროიდი 1886 წლის ოქტომბერში „ექიმთა საზოგადოების" წინაშე წარსდგა მოსაზრებით *მამაკაცური ისტერიის შესახებ*, რასაც უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ეს უარყოფითი დამოკიდებულება შესაძლოა, თვით იმ სიახლემ კი არ გამოიწვია, რომელიც ფროიდმა მათ აცნობა, არამედ უფრო ამპარტავნულმა ტონმა, რითაც მან, „პარიზელმა", ეს სიახლე როგორც Dernier Cri (უკანასკნელი სიახლე) წარმოადგინა, რამაც საკუთარ თავში დარწმუნებული ვენელები, სავარაუდოდ, შეურაცხყო. ფროიდი, როგორც ყოველთვის, ყოყმანით, მაგრამ მაინც თავგამოდებით იცავდა ახალ აღმოჩენებს, თუმცა ამასთანავე დარწმუნებული არ იყო გაეზიარებინა შარკოს თვალსაზრისი, რომ ჰიპნოზური მდგომარეობა მხოლოდ ისტერიულ ადამიანებთან მიიღწევა, თუ სხვა ფრანგული სკოლების წარმომადგენელთა მოსაზრებებს დაყრდნობოდა, როგორებიც იყვნენ ამბრუა ოგუსტ ლიბო და იპოლიტ ბერნჰაიმი, რომელთა აზრით, შესაძლებელია თითქმის ყველა ადამიანი დაემორჩილოს ჰიპნოზს. მისი სათაყვანებელი მასწავლებლის შარკოს ნეკროლოგში, რომელიც 1893 წლის აგვისტოში გარდაიცვალა, ფროიდი წერდა: *ჰიპნოზის შესწავლის შემოფარგვლა ისტერიულით. დიდი და პატარა ჰიპნოტიზმის განსხვავება. „დიდი ჰიპნოზის" სამი სტადიის დადგენა და მათი სომატური ფენომენებით დახასიათება. ყოველივე ამან თანამედროვეთა შეფასებით მარცხი განიცადა, როდესაც ლიბოს მოსწავლემ ბერნჰაიმმა ჰიპნოტიზმის შესახებ მოძღვრება ფართო ფსიქოლოგიურ საფუძველზე ააგო და შთაგონება ჰიპნოზის ძირითად ბირთვად აქცია.*[57] ფროიდი ერთგვარად სოლომონივით მოიქცა და ნაწილობრივ დაეთანხმა ორივე მხარეს. 1889 წელს მან ბერნჰაიმი მოინახულა და ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ნანსის სკოლას პარიზულის თანასწორად მიიჩნევდა; საკუთარი მიუკერძოებლობის საჩვენებლად კი გერმანულ ენაზე თარგმნა როგორც „Leson sur le maladies du système nerveux" (ლექცია ნერვული სისტემის დაავადებათა შესახებ), ასევე მოგვიანებით ბერნჰაიმის ნაშრომები „De la suggestion et de ses applications à la



დანიშნულები – ფროიდი და მარტა ბერნაისი. 1885 წ.

therapeutique" (შთაგონება და მისი გამოყენება თერაპიაში). 90-იან წლებამდე ფროიდი ექსპერიმენტებს ჰიპნოზის ტექნიკით ატარებდა, სანამ მრავალი შუალედური საფეხურის გავლით თანდათან მოახდინა მათი ფსიქოანალიტიკურში ტრანსფორმირება და ბოლოს, სულ დაანება თავი.

ამასობაში, ფროიდმა 1886 წელს შეწყვიტა საერთო პროფილის საავადმყოფოში მუშაობა და რათჰაუსშტრასე №7-ში საკუთარი კერძო პრაქტიკა გახსნა, სადაც მას პაციენტებს ბროიერი და ნოთნაგელი უგზავნიდნენ. ამავე დროს, ის კვირაში სამჯერ ნაშუადღევს მაქს კასოვიცის ბავშვთა სნეულებათა ინსტიტუტში ნევროლოგად მუშაობდა. საპირისპიროდ მისი პერიოდულად პესიმისტური განწყობისა იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო *ვენისთვის ბრძოლის*[38] ანუ ნორმალური არსებობისთვის

ბრძოლის მოგება, ფროიდის პრაქტიკა საკმაოდ შემოსავლიანი აღმოჩნდა. ბოლოს, მოლოდინის ოთხი ტანჯვით აღსავსე წლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა მარტასთან ქორწინებაზე ფიქრი. საპატარძლოს ნათესავების დიდსულოვანი საჩუქრების წყალობით და შეძლებული მეგობრებისაგან მიღებული სესხისა და შემოწირულობების დახმარებით, ფროიდმა ოჯახური კერის შექმნა მოახერხა. სამოქალაქო ქორწინება 1886 წლის 13 სექტემბერს ჰამბურგთან ახლოს ვანდსბეკში შედგა. ერთი წლის შემდეგ მარტას პირველი შვილი, ქალიშვილი მატილდე შეეძინა, ხანმოკლე ინტერვალებით მას შემდეგი ხუთი მოჰყვა: ჟან-მარტინი (1889), ოლივერი (1891), ერნსტი (1892) და სოფი (1893); ნაბოლარა ანა 1895 წელს დაიბადა. ანა ფროიდი იქნება ის ერთადერთი შვილი, რომელიც მამის მთელ მემკვიდრეობას განუყოფლად აითვისებს – რთული, დიდებული გადაწყვეტილება ქალის ცხოვრებაში.

ნერვულ დაავადებათა საექიმო პრაქტიკას დიდი ხნის განმავლობაში არა მხოლოდ სარგებლობა, არამედ ახალი იმედგაცრუებებიც მოჰქონდა. იმ დროს მიღებული მკურნალობის მეთოდები – ელექტროთერაპია, მასაჟი და სამკურნალო აბაზანები – მხოლოდ შეზღუდული სარგებლობის მომტანი იყო, ნამდვილი გაუმჯობესება ან სრული გამოჯანმრთელება ფროიდის პაციენტებთან უფრო იშვიათი იყო, ვიდრე მას სურდა. ამიტომ ის სულ უფრო ხშირად მიმართავდა ჰიპნოზს, რომლის ტექნიკაც ნანსიში შეისწავლა. მაგრამ განკურნების წარმატება ამ შემთხვევაშიც შეზღუდული იყო. *1886 და 1891 წლამდე პერიოდში მეცნიერულად ცოტას ვმუშაობდი და თითქმის სულ არა პუბლიცისტიკაში. ამიტომაც გამიჩნდა მოთხოვნილება ახალ პროფესიაში მეპოვა თავი და უზრუნველმეყო ჩემი და ასევე ჩემი სწრაფად მზარდი ოჯახის მატერიალური არსებობა,*[59] – ასეთ არცთუ სასიამოვნო კომენტარს უკეთებს ის თავის განვლილ ცხოვრებას, თუმცა ავიწყდება, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ინტენსიურად მუშაობდა ტვინის ანატომიისა და ფიზიოლოგიის დარგში და რომ მისი გამოკვლევების ნაყოფს წარმოადგენდა ნარკვევი აფაზიის შესახებ 1891 წელს.

## ფსიქოანალიზის გზაზე
## ბროიერთან და ფლისთან მეგობრობა
## (1887-1899)

ფროიდისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მეგობრობა თავდაპირველად მასზე უფროს იოზეფ ბროიერთან, მოგვიანებით კი, „ქარიზმატულ" (ელი ზარეცკი) ვილჰელმ ფლისთან. უკვე 80-იანი წლების დასაწყისში ბროიერმა მას ერთი პაციენტი – სამედიცინო ლიტერატურაში „ანა ოს." სახელით ცნობილი ქალის შესახებ მოუთხრო, რომლის უკან მოგვიანებით ცნობილი ებრაელი ქალთა უფლებების დამცველი ბერტა პაპენჰაიმერი იდგა და, რომელიც უმძიმესი ისტერიული სიმპტომებით იყო დაავადებული. ბროიერმა, არაჩვეულებრივად ნიჭიერმა ექიმმა და მკვლევარმა, შემთხვევით აღმოაჩინა, რომ პაციენტს ჰიპნოზურ მდგომარეობაში დეტალურად შეეძლო გაეხსენებინა საწყისი სიტუაცია, რომელმაც ისტერიის სიმპტომი წარმოშვა და, ამავე დროს, გარკვევით გადმოეცა ოდესღაც შეკავებული აფე-

ფროიდი და ვილჰელმ ფლისი, 90-იანი წლების დასაწყისი





ბერტა პაპენჰაიმერი („ანა ო.“)

ქტი, რის შედეგადაც სიმპტომი ქრებოდა. ფროიდმა თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია ამ საინტერესო დაკვირვებას, რომელმაც ერთგვარად სათავე დაუდო ფსიქოანალიზს. თუმცა ის საკმაოდ პატიოსანი აღმოჩნდა და მოგვიანებით სათანადოდ შეაფასა ბროიერის მნიშვნელოვანი წვლილი მის „გამოგონებაში". მაგრამ ახლა, როდესაც ის იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მკურნალობის არსებული პრაქტიკა ნაკლებ ნაყოფიერი იყო, მიუბრუნდა მას, ვინაიდან ამჯერად მართლაც ჩანდა შედეგი. *ჩვენდა გასაოცრად, აღმოვაჩინეთ,* – ნათქვამია ბროიერთან ერთად 1895 წელს შექმნილი („ნარკვევები ისტერიის შესახებ") შესავალში", რომელიც სამართლიანად მიიჩნევა „ფსიქოანალიზის პირველ წიგნად"[60] (ილზე გრუბრიხ-ზიმიტისი), *რომ ზოგიერთი ისტერიული სიმპტომი მაშინვე და უკვალოდ ქრებოდა, როდესაც შესაძლებელი ხდებოდა მათი გამომწვევი მოვლენის სრული გამოაშკარავება, რათა ამით თანხმლები აფექტი გაცოცხლებულიყო, როდესაც ავადმყოფი მოვლენას შეძლებისდაგვარად დაწვრილებით აღწერდა და აფექტს სიტყვიერად დაახასიათებდა.* *ფროიდი*

*და ბროიერი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ისტერიული ადამიანი უმეტესად რემინესცენციებით იტანჯებოდა"*[1], იმ რემინესცენციებით, რომლებიც, უნდა დავძინოთ, თავდაპირველ ტრამვას უკავშირდებოდა.

მაშინ, როდესაც ბროიერმა თავისი ე. წ. კათარზისის მეთოდი მხოლოდ ერთი პაციენტის, კერძოდ „ანა ო."-ის მიმართ გამოიყენა, ფროიდმა მისი მრავალმხრივი არსი ამოიცნო და ის მკურნალობის უპირატესი ტექნიკის რანგში აიყვანა. ამასთანავე მოგვიანებით დაადგინა, რომ *ნევროზულ მოვლენებში აფექტის ნებისმიერი გამომწვევი კი არ მოქმედებდა, არამედ, როგორც წესი, სექსუალური ბუნების აფექტები, აქტუალური სექსუალური კონფლიქტები ან წარსული სექსუალური განცდების შედეგები.* ნევროზების სექსუალური ეტიოლოგიის პოსტულატი, რომელმაც შემდგომში ფროიდისათვის ასეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მხოლოდ და მხოლოდ ისტერიიდან მიიღო, რათა შემდეგ ნევროზის ყველა ფორმაზე გაევრცელებინა. *მე გავცდი ისტერიას და დავიწყე ე. წ. ნევრასთენიკთა სექსუალური ცხოვრების კვლევა, ასეთები კი მრავლად მოდიოდნენ ჩემთან მიღებაზე. ეს ექსპერიმენტი მე ჩემს საექიმო პოპულარობად დამიჯდა, მაგრამ მან რწმენა შემძინა, რომელიც დღესაც, თითქმის 30 წლის შემდეგ, არ შერყეულა. საჭირო გახდა უამრავი სიცრუის და მიჩქმალვის დაძლევა, მაგრამ, როდესაც ამას ვახერხებდი, ცხადი ხდებოდა, რომ ყველა*



იოზეფ ბროიერი




ლუიჯი კაზიმირი. ზიგმუნდ ფროიდის ექსლიბრისი.

*ამ ავადმყოფს სექსუალური ფუნქციების მძიმე დარღვევები ჰქონდა.*[62]

ეჭვს არ იწვევს, რომ ფროიდმა თავისი საექიმო და სამეცნიერო კარიერის კულმინაციას მიაღწია. როდესაც „ნარკვევები" გამოჩნდა, მისი და ბროიერის გზები დიდი ხნის გაყრილი იყო, ვინაიდან უფროსი მეგობარი მზად არ იყო გაჰყოლოდა ფროიდს ნევროზების სექსუალური ეტიოლოგიის სარისკო და სკანდალურ გზაზე, რაშიც უმცროსი ერთგვარ დამახასიათებელ კონვენციონალიზმს ადანაშაულებდა. *მე მგონი, ის არასოდეს მაპატიებს,* – წერდა ის ფლისს, – *რომ „ნარკვევების" შექმნაში ჩავითრიე და ისეთ რამეზე გავხადე პასუხისმგებელი, სადაც ის ერთი სიმართლის ადგილზე სულ ცოტა, სამ კანდიდატს იცნობდა და ყოველგვარ უნივერსალობას ამპარტავნობად მიიჩნევდა.*[63] ის, რაც ბროიერსა და ფროიდს სულ უფრო აშორებდა ერთმანეთისაგან, იყო მათი აზროვნების განსხვავებული სტილი, მათი ინტელექტუალური ტემპერამენტი, რაც ბროიერთან ბევრად უფრო ზომიერი იყო, ვიდრე უმცროსთან (ფროიდთან), რომელიც საკუთარ თავს დიდებული აღმოჩენების ჯერ მხოლოდ დასაწყისში ხედავდა. ნაწილობრივ აღტაცებით, ნა-

ნილობრივ ეჭვით, ბროიერი წერდა: *ფროიდი თავისი ინტელექტის უმაღლესი ალმაფრენის გზაზეა. მე მას ისე შევყურებ როგორც კრუხი შევარდენს.*[64] 1885 წლიდან, მას შემდეგ, რაც ფლისის წერილები სრულად გამოქვეყნდა, გასაგები გახდა, რომ ბროიერთან დაშორება, რომელიც მას მეგობრულად და ფინანსურად ყოველთვის ხელს უწყობდა, ფროიდისთვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, ფროიდს უნდა გაეგრძელებინა შევარდნის ფრენა. ბროიერის ადგილი დიდი ხანია დაიკავა ბერლინელმა ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტმა ვილჰელმ ფლისმა, რომელთანაც ფროიდს 1887 წლიდან მიმოწერა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ფლისის უცნაური ციფრული სპეკულაციები, მისი ვარაუდი ცხვირსა და სასქესო ორგანოებს შორის ფსიქოლოგიური კავშირის არსებობის შესახებ და მისი ბიორითმული ციკლების თეორია დღეს უფრო ახირებულად მიიჩნევა, ფროიდი მზად იყო მეტ-ნაკლები კრიტიკის გარეშე მინდობოდა მას. *ინტიმური მეგობრის და საძულველი მტრის შეძენა ჩემი გრძნობების სამყაროსათვის ყოველთვის აუცილებელი იყო; და მუდამ შემეძლო მათი პოვნა*[65] – ზოგჯერ ერთსა და იმავე პიროვნებაში, თუ გავიხსენებთ მის ფლისთან და კ. გ. იუნგთან მეგობრობას, რომელიც ღრმა განხეთქილებით შეიცვალა, ფლისის სახით მან სასწრაფოდ საჭირო ინტიმური მეგობარი შეიძინა და ის ფაქტი, რომ მან ფლისი ასე ძლიერ გააიდეალა და ბევრ რამეში დაუფიქრებლად მიჰყვებოდა, – ერთ შემთხვევაში მძიმე საექიმო შეცდომამდეც კი, რომელსაც ლამის სავალალო შედეგი მოჰყვა, – იმით აიხსნება, რომ ფროიდი მაშინ შედარებით იზოლაციაში აღმოჩნდა (მოგვიანებით მან ამას splendid isolation (მომხიბლავი იზოლაცია) უწოდა)[66] და ურთიერთობების ნაკლებობას განიცდიდა, რაც მისთვის შეუძლებელს ხდიდა *ის ერთადერთი სხვა.უფროსი,*[67] როგორც ენთუზიაზმით წერდა, რეალისტურად შეეფასებინა. ვენის ექიმთა საზოგადოებაში ფროიდი თავისი ახალი აზრებით თითქმის ყველგან გაუგებრობას აწყდებოდა; მოსაუბრედ ვერც მარტა გამოდგებოდა, რომელიც სახლსა და ოჯახზე ზრუნავდა და არავი-

თარ ინტელექტუალურ მონაწილეობას არ ილებდა „ამ ერთგვარ პორნოგრაფიაში“,[68] რომლითაც, მისი აზრით, მისი ქმარი იყო დაკავებული. ეს მტკივნეული სიცარიელე ფლისმა იგრძნო და ფროიდი სრულიად გაიხსნა მასთან, რისი ანალოგიც თანამედროვე მეცნიერების ისტორიაში არ არსებობს. ფროიდის მოწაფის, მარი ბონაპარტეს წყალობით შემორჩენილი წერილები (მაშინ, როდესაც ფროიდმა, პირიქით, გაანადგურა ფლისის წერილები, სავარაუდოდ, ერთ-ერთი თავისი ავადსახსენებელი აქციის დროს ავტობიოგრაფიული კვალის წასაშლელად) მოწმობს მის სასტიკ ანგარიშსწორებაზე საკუთარ თავთან, საკუთარ ემოციებსა და ფანტაზიებთან, საკუთარ ფიზიკურ და სულიერ ტკივილებთან, თავის ნიკოტინზე დამოკიდებულებასთან, თავის ცოლქმრული ცხოვრების სიხარულსა და ტანჯვასთან. ყველა თვალსაზრისით ინტენსიურმა, ბობოქარმა და ოდნავ ჰომოფილური ელფერის მქონე მეგობრობამ ფლისთან, როგორც არ უნდა დაერღვია ფროიდის მიერ მკაცრად დაცული რეალობის პრინციპი და რეალობის კონტროლი, გაუხსნა მას ფანტაზიის ის ასპარეზი, რომელზედაც შესაძლებელი გახდა ფსიქოანალიზის თეორიის განვითარება, რამაც, თავის მხრივ, მთავარი როლი ადამიანური სულის დონეზე ფანტაზიას დააკისრა. პარადოქსულად ჩანს: ფლისის გენიალური „სიგიჟე“, მისი მეცნიერული კაპრიზები და გაუთავებელი სპეკულაციები, რაშიც ფროიდი ჩაიკარგა, სახიფათო ნიადაგს ქმნიდა მისი კრეატულობისათვის, მისი უნარისათვის გაეხსნა აკრძალული საზღვრები ქვეცნობიერის ინსტინქტურ და აფექტურ ფენასა და ცნობიერებას შორის და ამით დასაშვები გაეხადა თვითდაკვირვება და გააზრება, რასაც ჩვეულებრივ ახშობდნენ და რაც შეუცნობელი რჩებოდა. ამასთანვე ფლისი კატალიზატორსაც წარმოადგენდა ფროიდის შემოქმედებითი პროცესისათვის და ეს ითქმის იმაზე, რისთვისაც ფროიდმა შემოიღო ცნება Selbstanalyse („თვითანალიზი“),[69] რაც დღემდე საკუთრივ ფსიქოანალიზის შექმნის სათავედ ითვლება. თუ ბროიერმა ფროიდს „talking cure“-ში[70] პაციენტის მეხსიერებაში საიდუმლოს არ-

სებობაზე მიუთითა, ფლისმა „საკუთარი უცნობიდან გზავნილებში"[71] – ამ საიდუმლოზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა არაცნობიერიდან წარმომდგარი შინაარსი. ფროიდს მიაჩნდა, რომ სწორ გზას დაადგა. *ჩემო ძვირფასო ვილჰელმ!*, – წერდა ის 1897 წლის დასაწყისში დიდი გაურკვევლობის სიტუაციაში, – *ჩვენ არ დავმარცხდებით. მომეცი კიდევ ათი წელი და მე მოვუვლი ნევროზებს და შევქმნი ახალ ფსიქოლოგიას.*[72]

მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ფროიდმა Studien über Hysterie-ს („ნარკვევები ისტერიის შესახებ") გამოსვლის წელს, სადაც ის თვითონ მიუთითებს თავისი შემთხვევების აღწერის ლიტერატურულ ხასიათზე – *რომ ავადმყოფობის ისტორიები, რომლებსაც მე ვწერ, ნოველებივით იკითხება და რომ ისინი, ასე ვთქვათ, მოკლებულია მეცნიერებისათვის დამახასიათებელ სერიოზულ ფორმას,*[73] – ფლისს დიდი მოცულობის ტექსტი გაუგზავნა, რომელიც, თუმცა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ფროიდის კვლევათა ინტერესების იმ მხარეს ანიჭებს უპირატესობას, საიდანაც მან თავდაპირველად დაიწყო, კერძოდ, ნევროლოგიას. ნაშრომს Entwurf einer Psychologie-ს („ფსიქოლოგიის მონახაზი") ის ფლისისადმი წერილში მოიხსენიებს როგორც „ფსიქოლოგიას ნევროლოგთათვის".[74] თუკი ფროიდმა თავისი ახალი თეორიების ნარატიული ვერსია სექსუალური სიზმრებისა და ისტერიული დაავადებების ურთიერთობის შესახებ პირველად „ნარკვევებში" მოამზადა, „მონახაზში" ბუნებისმეტყველმა იჩინა თავი. თუმცა ფროიდმა თავი ანება ამბიციურ პროექტს, რომელსაც ის მოგვიანებით Metapsychologie („მეტაფსიქოლოგიის")[75] სახელით გამუდმებით უბრუნდებოდა, – ტექსტი ფლისის მემკვიდრეობაშია აღმოჩენილი, – ეჭვს არ იწვევს, რომ „სიზმრების ახსნის" მეშვიდე თავში განხილული ფსიქიკური აპარატის მოდელი შექმნილია „მონახაზიდან" უკლებლივ ყველა აზრის გადმოტანით. ამიტომაც მოგვიანებით მას შეეძლო ყოველგვარი აშკარა რეალობის საპირისპიროდ ემტკიცებინა, რომ Traumdeutung („სიზმრების ახსნა") არსებითად 1896-ის დასაწყისში იყო მზად, ე. ი. „მონახაზის" დასრულების დროისათვის, თუმცა ის


DIE

TRAUMDEUTUNG

სიზმრების ახსნა. პირველი გამოცემა, 1900 წ.

მხოლოდ 1899 წლის ზაფხულში *დაიწერა*.[76] ნაშრომის მეორე ნაწილში ჩვენ დავუბრუნდებით ფროიდის ნაწარმოების ძლიერი დაძაბულობის ამ ელემენტს, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ ფროიდი მთელი სიცოცხლე იბრძოდა სხეულისა და სულის, ბუნებისმეტყველებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების, ნეიროფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის ძველი დუალიზმის დაძლევისთვის. ფროიდის შემდეგ მრავალი ფროიდიანელი იაფფასიანი გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდა, გამორიცხეს რა აუცილებელი ფსიქოანალიტიკური ცოდნის კორპუსიდან *მონახაზი* – „წინაანალიტიკურის" ეტიკეტით.

ამასობაში მისი თვითანალიზის დახლართულმა გზამ, სულ უფრო ინტენსიურმა მუშაობამ საკუთარ სიზმრებზე და უკვე ბროიერთან თანამშრომლობის დროს გამოყენებულმა „თავისუფალი ასოციაციების"[77] მეთოდმა, რომლის მიხედვით, პაციენტს ყოველთვის უნდა ეთქვა ის, რაც იმ მომენტში მოუვიდოდა თავში, სულერთია, იქნებოდა ეს ბანალური, უსიამოვნო თუ უაზრო – იგი სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა, ვიდრე ეს „მონახაზში" იყო მოცემული. პაციენტები, რომლებსაც ფროიდი დაახლოებით 90-იანი წლების შუახანებში ხვდებოდა თავის პრაქტიკაში, სულ უფრო მეტად არწმუნებდნენ მას იმაში, რომ

ყველა ნევროზი უფროსების ან უფროსი ბავშვების მიერ ბავშვის სექსუალური დათრგუნვის შედეგი იყო. მას ჩვევად ექცა გამოეკვლია ავადმყოფთა სექსუალური ცხოვრების დეტალები და სთხოვდა მათ „ყველაფერი მოეყოლათ", საიდანაც ის ვარაუდობდა დასკვნის გაკეთებას, რომ ყველა ნევროზული დაავადების საწყისს სექსუალური ცდუნება, ბავშვზე ძალადობა წარმოადგენდა. ეს მას კოლეგებს შორის სახელს უტეხდა. ისინი სულ უფრო ნაკლებ პაციენტებს უგზავნიდნენ. ბროიერის, ალბათ, შემთხვევითმა შენიშვნამ, რომ ნერვული აშლილობები ყოველთვის „secrets d'alcôve"-სთან („საძინებლის საიდუმლოებები") არის დაკავშირებული, და ადრე შარკოსთან ნაპოვნმა ფრაზამ („c'est toujour la chose génitale... toujours... toujours... toujours" – „ეს ყოველთვის გენიტალიებთანაა კავშირში... ყოველთვის... ყოველთვის...[78]), რომელიც სექსუალობის ეტიოლოგიურ მნიშვნელობაზე იყო ნათქვამი, ფროიდს თავისი თვალსაზრისის რწმენა განუმტკიცა, უფრო, რასაკვირველია, იმ ფაქტის გამო, რომ ფლისი იზიარებდა მას. ასე რომ, ფროიდმა, ბოლოს და ბოლოს, საჯაროდ გამოსვლა გადაწყვიტა. მისმა მოხსენებამ Zur Ätiologie der Hysterie („ისტერიის ეტიოლოგიისათვის"), რომელიც 1896 წ. 21 აპრილს ფსიქოლოგიისა და ნევროლოგიის ასოციაციის სხდომაზე წაიკითხა და, რომლითაც ცდილობდა კოლეგების დარწმუნებას, რომ ისტერიის საწყისები ყოველთვის და, როგორც წესი, ბავშვობაში სექსუალური ძალადობიდან მოდის, ფიასკო განიცადა. ცნობილი სექსოლოგი რიხარდ ფონ კრაფტ-ებინგი *მეცნიერულ ზღაპარზე*[79] ალაპარაკდა. პროფესიონალთა აუდიტორიამ მტრული რეაგირება მოახდინა. ამ მომენტიდან ფროიდი ვენაში იზოლირებული აღმოჩნდა.

თუმცა ფროიდის სექსუალური ტრამვის თეორია თავისი განზოგადებით საკმაოდ არადამაჯერებელია, რასაც ის თანდათან თვითონაც ხვდებოდა, მაინც დრო დასჭირდა, რომ დაშორებოდა მას. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ პროცესისათვის მამამისის, იაკობის სიკვდილს 1896 წლის ოქტომბერში, რამაც ის ძლიერ შეძრა, ძნელი სათქმელია. ყოველ



რიხარდ ფონ კრაფტ-ებინგი

შემთხვევაში, ფროიდმა დაიწყო იმ აზრის რეალიზება, რომ *ბავშვების მიმართ ასეთი პერვერსიის გავრცელება ნაკლებ სარწმუნოა და, რომ არაცნობიერში არ არსებობს რეალობის ნიშანი. ამდენად, შეუძლებელია სიმართლისა და აფექტით შევსებული ფიქციის განსხვავება.* ბოლოს და ბოლოს, მას არ სურდა დაეჯერებინა, რომ საკუთარი მამაც შეიძლება სექსუალურ მაცდუნებლად განეხილათ, მოკლედ: *მე აღარ მჯერა ჩემი ნევროტიკის.*[80] ამ თვალსაზრისის მონაპოვარმა – ცდუნების თეორიის ამოცანის განსაზღვრამ და არაცნობიერი ფანტაზიების და სურვილების ძალის აღიარებამ – საშუალება მისცა ფროიდს ემხილებინა გავრცელებული წარმოდგენა ბავშვის სექსუალური უმწიკვლობის შესახებ, როგორც ჰარმონიულობის მაძიებელი ეპოქის ბრმა რწმენა და აღმოეჩინა, რომ (მამრობითი სქესის) ბავშვის განვითარებაში არის ოიდიპოსის კომპლექსი, რამდენადაც ის მეტოქეობას უწევს მამას და დედის დაუფლება სურს: *მე დედაში შეყვარება და მამაზე ეჭვიანობა ჩემშიც აღმოვაჩინე და ახლა ამას ადრეულ ბავშვობაში საყოველთაო მოვლენად მივიჩნევ [. . .].*[81] შესაძლებელია დიდხანს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამ უბიძგა ფროიდს სიზმრების თეორიის ნაცვლად ანთროპოლოგიური კონსტანტის სახით ოიდიპოსის კომპლექსის კონსტრუქტის შემოტანისაკენ. იქნებ, ამ რევიზიაში იმან ითამაშა როლი, რომ ის,



ფროიდი, მისი სამი და და დედა მამის საფლავზე, 1897 წ.

როგორც გოეთეს შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე, საიდანაც საკუთარ ნაწარმოებებში ხშირად და სიამოვნებით ახდენდა ციტირებას, ასევე დიდროს „რამოს ძმისწულის“ გოეთესეულ თარგმანს იცნობდა. ამ რომანში არის ასეთი ადგილი: „ეს პატარა ველური თავის ნებაზე რომ მიეშვათ და მთელი თავისი სისუსტე შეენარჩუნებინა, გაეერთიანებინა აკვნის ბავშვის პაწაწინა გონება ოცდაათი წლის კაცის ვნებათა ძალასთან, მაშინ იგი მამას კისერს მოუგრეხდა და დედას პატივს აყრიდა“.[82] შეასრულა თუ არა ამ მწერლურმა ფანტაზიამ სოფოკლეს ფანტაზიასთან ერთად, რომლითაც ფროიდი განსაკუთრებით იყო აღტაცებული, ნათლიის როლი ოიდიპოსის კომპლექსის აღმოჩენის დროს ისე, რომ მან თვითონაც არ იცოდა?

ყოველ შემთხვევაში, ამით – საერთოდ, სექსუალობისათვის გამორჩეული ადგილის მინიჭებით, მოგონებებითა და საუბრით მკურნალობის მხსნელი გავლენის მნიშვნელობით, დათრგუნვისა და წინააღმდეგობების გამოცდილებით – შეიქმნა ფსიქოანალიტიკური თეორიის ცენტრალური ბურჯი. ის, რაც „სიზმრების ახსნის“ (Traumdentung) წერილობით

დაფიქსირებამდე მოჰყვა იმ სხვა, მხოლოდ ფროიდის ხელით დაწერილ და ამდენად ფსიქოანალიზის ნამდვილ წინამორბედ წიგნს, იყო მხოლოდ დამატებები, დაზუსტებები და აზრობრივი შევსებები, რომლებმაც ფროიდთან თანდათან მკაფიო კონტურები შეიძინა. ფაქტად რჩება, რომ მას ცდუნების თეორიისათვის თავი არასოდეს დაუნებებია, რომ რეალობის წნეხის ქვეშ შეიზღუდა, მაგრამ ფროიდისთვის მნიშვნელობა არ დაუკარგავს და, რომ შეუძლებელი იყო იმის უარყოფა, რომ ბავშვის სექსუალური ცდუნება და ფსიქიკური ძალადობა მართლაც არსებობს. პირველად Drei Abhandlungen-ში („სამი ესეი") განაცხადა ფროიდმა მისგან გამიჯვნის შესახებ იმ მოტივით, რომ საკამათოდ ეჩვენებოდა მისი ეტიოლოგიური განსაკუთრებულობა [. . .]: *არ შემიძლია დავეთანხმო იმ აზრს, რომ 1891 წლის ჩემს სამეცნიერო ნაშრომში „ისტერიის ეტიოლოგიის შესახებ" გადამეტებული როლი მივანიჭე მის (ცდუნების) სიხშირეს და მნიშვნელობას, თუმცა მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ ნორმალურ ინდივიდსაც*

ჟან ფრანსუა ჟალაბერტი. ანტიგონეს გაჰყავს ოიდიპოსი თებედან.



*შესაძლებელია ბავშვობის წლებში ჰქონოდა აღწერილი განცდები და ამიტომ ცდუნებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეანიჭე, ვიდრე სექსუალურ კონსტიტუციასა და განვითარებაში მოცემულ ფაქტორებს. თავისთავად ცხადია, რომ ბავშვის სექსუალური ცხოვრების გასაღვიძებლად ცდუნება არ არის საჭირო, რომ ასეთი გამოღვიძება სპონტანურად ხდება შინაგანი მიზეზებით.*[83] ამით ფროიდმა ორგვარი პოსტულირება მოახდინა: ერთი, რომ უკვე ბავშვი ავლენს სექსუალურ კონსტიტუციას, მეორე, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებელი კავშირი ცდუნებასა და ნევროზებს შორის. ის, რაც ფროიდმა თავისი დროისათვის გააკეთა, იყო ის, რომ მან ბავშვობა სხვა სპეციფიკურ განზომილებაში აღმოაჩინა, რაც უაღრესად რეალისტური ჩანდა. ფროიდის მიგნების ირონიად ითვლება ის, რომ მე-20 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში უარყვეს ეს რეალიზმი და ფროიდს უსაყვედურეს ოპორტუნისტული მიზეზებით ბავშვების ინტერესების ღალატი. ასე დაუბრუნდა მითი „უმნიკვლო ბავშვის" შესახებ ძველ დონეს.

ფლისთან დიალოგში ფროიდი განაგრძობს თვითანალიზს, როგორც ერთგვარ ინტროსპექციას გრძნობათა სხვადასხვა ტონისადმი გაძლიერებული ყურადღებით, თითქოსდა უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანისადმი, პირველ რიგში, საკუთარი და ასევე პაციენტების სიზმრებისადმი გაზრდილი ყურადღებით. ეს გამძაფრებული თვითანალიზის ფორმა ანალიტიკოსთა მომდევნო თაობამ ძლიერ გააიდეალა როგორც „მოდელი". ამასთანავე ფროიდმა სიმბოლოთა ხასიათის ახსნის ხელოვნება განავითარა, რამაც მისი შემოქმედება, როგორც რაღაც ახალი, რევოლუციურიც კი, წარმოაჩინა. ეს ახალი და რევოლუციური „სიზმრების ახსნაში" დღემდე აქტუალურია და, შეიძლება ითქვას, ცოტა თუა ისეთი წიგნი, რომელსაც მე-20 საუკუნეში ასე ხანგრძლივად ემოქმედა ადამიანის კულტურული თვითშემეცნების პროცესის ჩამოყალიბებაზე. „სიზმრების ახსნა" ასევე ის ნაშრომია, რომლის სათაურიც ყველას ახსენდება, ვისაც თანამედროვე სულის ისტორიაში ფროიდის ადგილისა და რანგის შესახებ გაუჩნდება კითხვა.

გარღვევა
ფსიქოპათოლოგიიდან ნორმალური ფსიქოლოგიისაკენ
(1900-1905)

Traumdeutung („სიზმრების ახსნა") 1899 წლის ბოლოს გამოჩნდა, გამომცემელმა კი სატიტულო ფურცელზე 1900 დააწერინა. იდეათა ისტორიის თვალსაზრისით, საუკუნის მიჯნა რღვევას აღნიშნავს, რაც ევროპული ინტელიგენციის სულიერ კრიზისად შეიძლება აღვიქვათ. იმ დროს, როცა ფროიდი თავის ძირითად ნაწარმოებს აქვეყნებდა, ადამიანს რომ ლოგიკურად წარმოაჩენს მოსურნე ცხოველად, რომლის შინაგანი ინსტინქტებიც გონების კონტროლს არ ექვემდებარება და უფრო ირაციონალურ მოსურნე-გაუცნობიერებელი, დეტერმინირებულია, ამ დროს მაქს პლანკი პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე მოხსენებით გამოდიოდა, რომელმაც სამყაროს იქამდე არსებული ფიზიკური სურათი თავდაყირა დააყენა. 1900 წელს გარდაიცვალა ფრიდრიხ ნიცშე, რომლის ნიჰილიზმის პლანეტარული აღმასვლის და ყველა ღირებულების გადაფასების ფილოსოფია დიდი ხანია ევროპულ მოვლენად გადაიქცა. იმავე წელს გეორგ ზიმელმა გამოაქვეყნა თავისი „ფულის





ფილოსოფია" (რომლისთვისაც თავდაპირველად „ფულის ფსიქოლოგიის" დარქმევა სურდა), წიგნი, თავის მხრივ, ფროიდის ნაწარმოებზე არანაკლებ რადიკალური, იმ მცდარი გამოცდილებიდან ამოდიოდა, რომ ის, რაც ინდივიდს საზოგადოების წევრად აქცევს, არის თანამედროვე სამყაროს მონეტარული გაჯერება და მოწესრიგება და არა გეგმაზომიერი სოციალური გონი. საუკუნის მიჯნის ისტორიული რეტროსპექტივა გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება შემთხვევითი იყოს გონის ამდენი კრიზისული მონახაზის და მისდამი ასეთი გამძაფრებული ყურადღების არსებობა მაშინ, როდესაც მან, გონმა, იცის ან ხვდება, რომ თავისთავად ცხადმა ოპორტუნიზმის ხანამ უკვე ჩაიარა და მისი საკუთარი „ღმერთების მწუხრი" დაიწყო. ნიცშეს მორალის კრიტიკით, პლანკის მიერ ფიზიკის გარევოლუციურებით, ზიმელის მონეტარული სოციალ-ფილოსოფიით (რომელიც მარქსთან კავშირშიც კი შეიძლება ყოფილიყო), ფროიდის მიერ ცნობიერის სუბვერსიით დაიწყო საუკუნე, რაც მაშინდელ კრიზისულ, კატასტროფულ განწყობას გამაოგნებელ შეფასებას მისცემს.

სიზმრების წიგნით ფროიდმა გარღვევა მოახერხა და მან ეს იცოდა. მართალია, პროფესიონალი და არაპროფესიონალი საზოგადოების რეაქციას ის



მაქს პლანკი
ფრიდრიხ ნიცშე
გეორგ ზიმელი




„ფრანგი ძიძის სიზმარი", ილუსტრაცია წიგნიდან „სიზმრების ახსნა". შანდორ ფერენცის მინაწერებით.

არასაკმარისად მიიჩნევდა და წიგნიც დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ ცუდად იყიდებოდა, მაგრამ ავტორს სწამდა თავისი გენიალობის. 1900 წლის გაზაფხულზე ის წერდა ფლისს, რომელსაც ახლა თავისი Opus magnum-ის დასრულების შემდეგ სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა (ვიდრე მათი მეგობრობა 1904 წელს გარეგნულად პრიორიტეტის საკითხზე დავის შედეგად საბოლოოდ არ დასრულდა): *როგორ გგონია, შეიძლება სახლზე ოდესმე მარმარილოს დაფაზე დააწერონ: „აქ 1895 წლის 24 ივლისს დოქ. ზიგ. ფროიდმა სიზმრის საიდუმლო ახსნა".*[84]

მისი ნევროზების თეორიის მარცხმა იმის აღიარების გამო, რომ ბავშვობაში მიღებული *ადრეული სექსუალური გამოცდილების განცდა არ უნდა ყოფილიყო*[85] ისტერიული დაავადებების გამომწვევი და ასევე ფსიქოლოგიის დამუშავებამ, ფროიდი შეუმჩნევლად მიიყვანა იქამდე, რაც მას სულ უფრო მეტად და თანმიმდევრულად აშორებდა ფსიქოპათოლოგიას და რასაც იგი ზოგადი ფსიქოლოგიის *ნორმალური ფსიქო-*

*ლოგიის*[86] მიმართულებით მიჰყავდა, რაშიც საგნების სპეციფიკურად ნოზოლოგიური ხედვა უფრო მეტად შემთხვევით როლს თამაშობდა. „სიზმრების ახსნა“, რომელიც უმეტესად ფროიდის სიზმრების კრებულს წარმოადგენს (როგორც ცნობილია, ფროიდი ანეკდოტების, ანტიკვარიატისა და წიგნების გატაცებული კოლექციონერი იყო) – ფროიდის პირველი დიდი ნაწარმოებია, რომელიც კლინიკას პატარა ადგილს უთმობს და ყურადღებას მიმართავს ზოგადი ფსიქიკური ფენომენისაკენ პათოგრაფიულის გათვალისწინების გარეშე. თუმცა ფროიდი თვლიდა, რომ თავისი წიგნით, *ნევროპათოლოგიური ინტერესების სფეროს არ ვასცდებით*[87] და სიზმარი, *როგორც სიმპტომი*[88] განიხილა, მაგრამ ამით მან თავისივე საკუთარი მიღწევა სათანადოდ ვერ შეაფასა. რადგან სწორედ იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი ხედავს სიზმარს და სიზმარი არის კულტურულად საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენა, რომელიც, როგორც ფროიდმა იცოდა,




ვენა, ბერგასე 19, სახლი, რომელშიც ცხოვრობდა ზიგმუნდ ფროიდი 1891-დან 1938 წლამდე.

უკვე ანტიკური დროის მწერლებსაც აინტერესებდათ, შეუძლებელია ფსიქოპათოლოგიაზე ლაპარაკი. სიზმრის პროცესის გაგებისათვის ორი ფსიქიკური ინსტანციის არსებობის ვარაუდი, ერთი მხრივ, *ცნობიერ-ქვეცნობიერის* და, მეორე მხრივ, არაცნობიერი სისტემებისა[89] მათ შორის დამკვიდრებული *ცენზურის ინსტანციისა*[90], ამასთან *მანიფესტური* და *ლატენტური* სიზმრის შინაარსის,[91] *პირველადი* და *მეორადი პროცესების*[92] განსხვავება, ძირითადი თეზისი სიზმრის, როგორც *სურვილის ასრულების*[93] და *ძილის დამცველის*[94] შესახებ, ბოლოს კი სიზმრის ინფანტილიზმის გააზრება, არქაული მემკვიდრეობის ცოდნა და *ადამიანთა მოდგმის ფილოგენეზური ბავშვობის გაცნობა*[95] მეტყველებს იმაზე, რომ ყოველივე ეს არ უკავშირდება პათოლოგიურ პროცესებს, არამედ პროცესებს ზოგადადამიანურ სულიერ ცხოვრებაში. ფსიქოლოგიური პროდუქციის ირაციონალობა და მოჩვენებითი უაზრობა აღმოჩნდა არა ავადმყოფი ადამიანის პრივილეგია, არამედ უფრო მეტად უფლებამოსილი ნაწილი Conditio human-ისა. ერთი წლის შემდეგ გამოსულ ნაშრომში „სიზმრის შესახებ" არის პირდაპირი მითითება იმაზე, რომ სიზმარი და ნორმალური პათოლოგია, რომელიც ამის გამო პათოლოგია აღარ არის, ერთმანეთის გვერდით არსებობენ: *ჯანმრთელი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ფენომენთა მთელი რიგი, დავიწყება, დაპირება, მითვისება და შეცდომების გარკვეული კლასი, თავის წარმოშობას სიზმრის ანალოგიურ ფსიქიკურ პროცესებს უმადლიან.*[96] შეიძლება ითქვას, რომ ფროიდი თუნდაც თავისი „სიზმრების ახსნით" მედიცინის გავლენის სფეროს გასცდა და მეცნიერული ფსიქოლოგიის ველზე გადავიდა, რომელმაც მოითხოვა, რომ ის ფსიქოლოგია ყოფილიყო. ამიერიდან ფროიდი თავისი კვლევის ინტერესების ამ მართლაც ფუნდამენტური ცვლილების ერთგული დარჩა, რის გამოც მას (და მოგვიანებით მის მონაფეებსაც) ხშირად დაძაბულ და უხერხულ სიტუაციაში უხდებოდათ მოქმედება. თუ ფსიქოანალიზი მისი შემქმნელის ნებით, ერთი მხრივ, უნდა ყოფილიყო მეცნიერება და არაფერი მეცნიერების გარდა, იმ თვალსაზრისით, რომ საყოველთაოდ


Dr Sigm. Freud

Wien,

ფროიდის წერილი ვილჰელმ ფლისისადმი „დორას" საქმესთან დაკავშირებით. 14 ოქტომბერი, 1900 წ.

მიღებული ფორმით ხსნიდა ადამიანის სულიერი ცხოვრების სისტემას და ფსიქიკური აპარატის ფუნქციონირებას, მეორე მხრივ, ის მხოლოდ კლინიკაზე ორიენტირებული რჩებოდა, ვინაიდან გზა მეცნიერების ტრადიციული სოციალური ადგილისაკენ, უნივერსიტეტისაკენ დაკეტილი ჰქონდა. ფროიდი სიკვდილამდე იბრძოდა ფსიქოანალიზის, როგორც მეცნიერების, დასამკვიდრებლად: *მე ვითხარით, რომ ფსიქოანალიზი დაიწყო როგორც თერაპია, მაგრამ არ მსურდა თქვენთვის მისი, როგორც თერაპიის შემოთავაზება, არამედ მსურდა თქვენი დაინტერესება მასში ჭეშმარიტების, ინფორმაციის არსებობის გამო, ინფორმაციისა, რომელსაც ის გვაწვდის იმის შესახებ, რაც ადამიანისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ანუ მისი საკუთარი არსის შესახებ,*[97] ნათქვამია ფსიქოანალიზის შესავლის ლექციების ახალი კურსის შესავალში. ფსიქოანალიზის თვითგამორკვევისათვის ბრძოლა – მეცნიერებაა თუ თერაპია, თუ ორივე ერთად? – დღესაც არ დამთავრებულა. თუ ფროიდი *სიზმრებიდან მიღებული მასალის*[98] ანალიზს მიიჩნევდა *via regia*-ად,[99] რომელიც კლინიკის ვინ-




კარიკატურა ფროიდზე

რო სივრციდან ადამიანის არაცნობიერის ფართო შეცნობისაკენ მიდიოდა, მის თანმიმდევართა უმეტესობა ცდილობდა ფსიქოანალიტიკური ცოდნა კვლავ კლინიკური ხედვისთვის დაეახლოვებინა.

1901 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი Zur Psychopathologie des Alltagslebens („ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია"), კვლავაც ყოველგვარი *შეცდომების*[100] დამადასტურებელი მაგალითების და საბუთების ვრცელი ნაკრები დაპირება, ფლანგვა, დავიწყება და ა. შ. – წარმოადგენს ერთგვარ ანალოგიურ ეგზემპლარს „სიზმრების ახსნისა", ზუსტად ისევეა აგებული არქიტექტონიკულად, მაგრამ თეორიულად ნაკლებ ამბიციურია. ასე რომ, ის შეიძლება ფროიდის ერთ-ერთი პოპულარულ წიგნად ჩაითვალოს. მიღებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, რომელსაც ბროიერიც იზიარებდა, ფროიდი ყოველ თითქოსდა შემთხვევით ან აბსურდულ შეცდომაში აზრს ხედავდა, რამაც ის ფსიქიკური დეტერმინიზმის თეორიამდე მიიყვანა, რომლის თანახმადაც, *შეუძლებელია განზრახ და ნებით სისულელის ჩადენა.*[101] თუნდაც უწყინარი დაპირება, რომელიც გააზრებულ სასურველ მიზანს ვერ აღწევს, გაუცნობიერებელი სურვილით

არის დეტერმინირებული და ამდენად წარმატებულ ქმედებას წარმოადგენს; ის, რაც ცნობიერის დონეზე არ მიიღწევა, არაცნობიერის დონეზე სრულდება სწორედ ისე, როგორც ამის პოსტულირება ფროიდმა სიზმრის, როგორც სურვილის შესრულების აღწერის შემთხვევაში მოახდინა. სიზმრების ახსნით", ისევე როგორც „ყოველდღიური ცხოვრებით" და ანეკდოტების წიგნით ფროიდმა დამაჯერებლად გადმოსცა თავისი ვარაუდი არაცნობიერის მოქმედების შესახებ – ის, რომ არაცნობიერი, ისევე, როგორც კანტის საგანი თავის თავში თავისთავად ხელშეუსახები არ არის (და მისი საგნად თავის თავში წარმოდგენაც შეუძლებელია), არამედ მხოლოდ მისი სიმბოლური დერივატების, კერძოდ, სიზმრის მოყოლის, დაპირების, ანეკდოტის მეშვეობით შეიცნობა, რომ იგი, ჟაკ ლაკანის მკაცრი ფორმულირებით, „აგებულია როგორც ენა"[102]. თუმცა ამის შესახებ აზრი მე-19 საუკუნის ლიტერატურაში უკვე გამოჩნდა, თუნდაც ედუარდ ფონ ჰარტმანის „არაცნობიერის ფილოსოფიაში" (1869), მაინც ფროიდი იყო პირველი, რომელმაც იქამდე არსებული ბუნდოვანი ვარაუდი სოლიდურ მეცნიერულ ჰიპოთეზად აქცია, რისი უარყოფაც მას შემდეგ მხოლოდ რეგრესის ფასად არის შესაძლებელი.



კარლ რობერტ ედუარდ ჰარტმანი, 1842-1906 წწ.



8 წლის დორა (იდა ბრაუნი) ძმასთან ერთად.

იმავე წელს ფროიდმა აღწერა შემთხვევა დორას, ისტერიული პაციენტი ქალის, შესახებ და მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოაქვეყნა იგი. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი უცნაური რომის ფობიის დაძლევა, რის შესახებაც ფროიდი ხშირად წერს თავის წერილებში. 1901 წლის სექტემბერში ის, ბოლოს და ბოლოს, გაემგზავრა რომში და ეს მისი ცხოვრების *უმნიშვნელოვანეს მოვლენად*[103] ჩათვალა. მისი ახალგაზრდობის გმირის, ჰანიბალისაგან განსხვავებით, რომელმაც გადაჭრით აარიდა თავი რომს იტალიური ლაშქრობის დროს და ასევე კანასთან რომაელთათვის გამანადგურებელი ბრძოლის შემდეგ „ante portas" დარჩა, ფროიდმა მოახერხა ყველა დაბრკოლების დაძლევა (ჰანიბალთან ეს, ალბათ, უფრო ლოგიკური დაბრკოლება იყო, ფროიდთან კი ყველა შემთხვევაში – ნევროტული) და ქალაქი დაიპყრო. ფლისთან მეგობრობის დასასრული და ფროიდის პირველი მოგზაურობა რომში, რომელსაც კიდევ რამდენიმე მოგზაურობა მოჰყვა, ნიშანდობლივად დაემთხვა ერთმანეთს.

უნივერსიტეტი ფროიდის ცხოვრებაში უილბლო სიყვარულად დარჩა. თუმცა 1885 წლიდან ის პრივატდოცენტი იყო, მაგრამ მას შემდეგ ამაოდ ელოდა პროფესორად არჩევას. მაშინ, როცა იგივე ასაკის კოლეგები თანდათან სასურველ წოდებას იღებდნენ, – რომელიც მათ არც ადგილს და არც შემოსავალს,



„Wolfsmann" – მგელკაცა-
სერგეი პანკრატიევი
დასთან ერთად.

თუმცა გაზრდილ პრესტიჟს პირდებოდა, რაც კარგ ფულად გადაიქცეოდა, ფროიდის პაციენტებთან – და მიუხედავად ცნობილი მეცნიერების, ნოთნაგელის და კრაფტ-ებინგის რეგულარული მხარდაჭერისა, მას გვერდს უვლიდნენ. ფროიდი დიდხანს დუმდა, მაგრამ, როგორც კი თავისი სიამაყე დაივიწყა და „კავშირებს" ანუ პროტექციას მიმართა, იგი 1902 წლის თებერვალში საგანგებო ტიტულარულ პროფესორად (პროფესორი კათედრის გარეშე) აირჩიეს. წინააღმდეგობას, რომელსაც ის წააწყდა, ორი აშკარა მიზეზი ჰქონდა: ერთი მხრივ, ე. წ. უწყებრივ წრეებში მასზე წინასწარ შექმნილი ნეგატიური წარმოდგენა არსებობდა, რაც, ალბათ, მისი კვლევის თემას – სექსუალობას – უკავშირდებოდა; მეორე მხრივ, კარლ ლუეგერს ვენაში, რომელიც ბურგომისტრად ყოფნის დროს ანტისემიტიზმს, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს, თითქმის ოფიციალურად იყენებდა და ებრაელისთვის ადვილი არ იყო კარიერის გაკეთება. ის, რომ უწყებრივი ანტისემიტიზმი ავსტრიულ განსაკუთრებულობას არ წარმოადგენდა, იქიდანაც ჩანს, რომ თითქმის იმავე ასაკის გეორგ ზიმელს, მიუხედავად ბრწყინვალე სამეცნიერო მიღწევებისა, ასევე დიდხანს, რო-



კარლ ლუეგერი

გორც ფროიდს, მოუხდა დანინაურების ცდა – 1885 წელს პრივატდოცენტად არჩეულმა, მან მხოლოდ 1901 წელს მიაღწია ექსტრაორდინარულ პროფესურას ბერლინში. მართალია, ფროიდს შეეძლო თავისი უფროსი თანამედროვის, თეოდორ ფონტანეს სიტყვები გაემეორებინა: „პირადად მე, თავს სულაც არ ვთვლი შეურაცხყოფილად; მხოლოდ ზოგადად და პრინციპულად ვწუხვარ იმაზე, რომ [. . .] შეუძლებელი ჩანს კომპრომისი, აღიარება [. . .]".[104] მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სუსტი რაციონალიზება იქნებოდა. თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა უნივერსიტეტში დაბრკოლებული სამეცნიერო კაერიერის გამო მიღებულ ტრამვას, წლების შემდეგ იმაში გამოვლინდა, რომ ის ისეთ პიროვნებებს, როგორიც იყვნენ ოიგენ ბლოილერი, ლუდვიგ ბინსვანგერი და, უპირველეს ყოვლისა, კარლ გუსტავ იუნგი, რომლებიც აკადემიურ სამეცნიერო საქმიანობაში თავს შინაურულად გრძნობდნენ, განსაკუთრებული კეთილგანწყობით ექცეოდა და სრულიად ღიად ანიჭებდა მათ უპირატესობას თავის ვენელ მომხრეთა, ანუ როგორც ის მათ აგდებით უწოდებდა, თავისი „ბანდის"[105] წინაშე: *არც ერთი ჩემი ვენელისაგან არაფერი გამოვა*, წერდა იგი 1911 წელს კარლ აბრაჰამს, თავის ბერლინელ სამაგალითო მოწაფეს.[106]

თუმცა, სწორედ ეს *ბანდა* იყო ის, რომელმაც ფროიდი თანდათან იხსნა თავისი სიმარტოვისგან.



„კომიტეტი". სხედან: ფროიდი, ფერენცი, ზაქსი, დგანან: რანკი, აბრაჰამი, აიტინგონი, ჯონსი. 1922 წ

1902 წლიდან ყოველ ოთხშაბათ საღამოს ფროიდის ბინაში ბერგშტრასეს 19-ში იკრიბებოდა ოთხი ექიმი – სოციალისტი ალფრედ ადლერი, ასევე მაქს კაჰანე, რუდოლფ რატლერი და ვილჰელმ შტეკელი – მის ახალ თეორიებზე სადისკუსიოდ. მომდევნო წლებში ოთხშაბათის საზოგადოება, 1908 წელს დაარსებული ვენის ფსიქიატრიული გაერთიანების წინამორბედი, რომლის დებატები 1906-1918 წლებში საზოგადოების მდივნის ოტო რანკის ჩანაწერების წყალობითაა შემორჩენილი, ნელ-ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ფართოვდებოდა. 1903 წელს მას შეუერთდა პაულ ფედერნი, რომელიც მოგვიანებით ვენის გაერთიანების მეთაური გახდა და 1919 წელს გამოაქვეყნა თხზულება „უმამო საზოგადოების" შესახებ, რომლის სათაურმა იწინასწარმეტყველა ალექსანდრე მიჩერლიხის ცნობილი 1963 წლის ნაწარმოები. მას მოჰყვნენ ედუარდ ჰიტშმანი, ისიდორ ზადგერი და ფრიც ვიტელსი, ფროიდის პირველი ბიოგრაფი. იქ იყვნენ ასევე არაექიმები, მოგვიანებით „მოყვარულებად" წოდებული პირები, როგორიც იყო მაქს გრაფი (*პატარა ჰანსის* მამა ფროიდის ცნობილ შემ-

თხვევათა ისტორიიდან), გამომცემელი ჰუგო ჰელერი და იურისტი ჰანს ზაქსი, რომლებთან თანამშრომლობასაც ფროიდი განსაკუთრებით აფასებდა, რადგანაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ *ფსიქოანალიზის მოძღვრებები არ შემოფარგლულიყო მხოლოდ საექიმო სფეროთი.*[107] ფროიდის მიერ აშკარად წარმოებული ბრძოლა *არაპროფესიონალთათვის ანალიზის*[108] ჩატარების უფლების მისანიჭებლად, სინამდვილეში ახალი საუკუნის პირველ დეკადაში დაიწყო – თუმცა ფსიქოანალიტიკური ჯგუფის ჩამოყალიბების პერიოდში ეს ჯერ კიდევ ფარული ბრძოლა იყო. თავისი პირველი მონაფეების წრეში ფროიდმა შესძლო მოეგვარებინა ახალი ფსიქოლოგიის თეორიული დიაპაზონი და მრავალფეროვანი კლინიკური და კლინიკის გარე ურთიერთობები ისეთი სახით, რომელიც არცთუ იშვიათად სპეკულატიური და არაბუნებრივი იყო – ზოგჯერ უაღრესად პიროვნული და უტაქტო, როგორც ამას „ფსიქოანალიტიკური გაერთიანების ოქმების" ოთხი ტომი ადასტურებს. პატარა ინტიმურ ჯგუფში, რომელიც უმეტესად ებრაელებისაგან შედგებოდა, შეიძლება ისეთი რამ ეთქვათ, რაც უფრო დიდი საზოგადოე-




კარლ კრაუსის გავლენიანი ჟურნალის „ჩირაღდანის" ყდა.

ბის წინაშე აუცილებლად გამოიწვევდა ფსიქოანალიზის დისკრედიტაციას. და მართლაც, როდესაც ერთხელ მათი დისკუსიების შედეგმა გარეთ გამოაღწია, კერძოდ, მაშინ, როცა ცოტა არ იყოს, საეჭვო ბუნების მქონე ვიტელსმა ე. წ. „ჩირაღდნის ნევროზზე" ილაპარაკა, ფროიდს ეს მწერალ და „ჩირაღდნის" (Fakel)-ის გამომცემელ კარლ კრაუზესთან დაპირისპირებად დაუჯდა. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ფროიდის გაფრთხილებას, რომ „ნევროზები იქ არ წამოეწიათ წინ, სადაც რაიმე მნიშვნელოვან მიღწევაზე იყო ლაპარაკი",[109] რასაც სწორედ კრაუსის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. კრაუსი ფსიქოანალიზის და, განსაკუთრებით, ფროიდის სექსუალური თეორიის მიმართ ყოველთვის ინტერესს იჩენდა, მაგრამ ამიერიდან ის მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და გესლიან სიტყვებს არ იშურებდა. ამით ფროიდმა ვენაში მნიშვნელოვანი პოტენციური მოკავშირე დაკარგა.[110]

სამაგიეროდ, ის სრულიად უვნებლად უკავშირდებოდა უცხოელებს, რომლებიც 1907 წელს შეუერთდნენ ფსიქოანალიზის მოძრაობას. მათი სახით ფროიდმა მართლაც ნიჭიერი „თავები" მოიპოვა, რომლებმაც მისი ვენის *ბან-*

კრაუსის შურისძიება ფროიდისა და ფსიქოანალიზის მიმართ ულმობელი იყო. თავის ჟურნალში „ იე აცკელ" ის წერდა: „ავად არის უმეტესობა. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ამის გამო შეუძლია საკუთარ თავზე განსაკუთრებული წარმოდგენა შეიქმნას. ასეთები ფსიქოანალიტიკოსები არიან. ფსიქოანალიზი სულიერი დაავადებაა, რომლის თერაპევტადაც მას თავისი თავი წარმოუდგენია.



კარლ კრაუსი.
ოსკარ კოკოშკას ნახატი,
1909 წ.



ლუ ანდრეას-სალომე, პაულ რეე, ფრიდრიხ ნიცშე. 1882 წ.

და ფსიქოანალიზში შეტანილი წვლილითა და სარგებლობით დაჩრდილეს: მაქს აიტინგონი, რომელმაც 1920 წ. მის განკარგულებაში მყოფი ფინანსური საშუალებების წყალობით, ბერლინში ფსიქოანალიზის ინსტიტუტი დააარსა, კარლ აბრაჰამი, ბერლინის ფსიქოანალიტიკური საზოგადოების დამაარსებელი, შანდორ ფერენცი, რომელმაც უნგრული საზოგადოება დააფუძნა, ერნესტ ჯონსი, ფროიდის წარმომადგენელი ინგლისში, რომელმაც თავისი შემოქმედება დიდი ხნის განმავლობაში კომპეტენტურად მიჩნეული ფროიდის სამტომიანი ფუნდამენტური ბიოგრაფიით დააგვირგვინა. არცთუ უკანასკნელი იყო მათ შორის შვეიცარიელი კ. გ. იუნგი. ამასთანავე გამოჩნდა, რომ ინტელექტუალური ავტოქტონურობა, რომელიც თან მოიტანეს ისეთმა პიროვნებებმა, როგორიც იყვნენ ფერენცი, ჯონსი და იუნგი, კონფლიქტებსაც შეიცავდა, რაც ხშირად ძალიან

მტკივნეულად მთავრდებოდა. ჩნდება კითხვა, აიტანდა თუ არა და რამდენ ხანს აიტანდა ფროიდი, როგორც სკოლის მამამთავარი, თავის გვერდით გონებრივ ორიგინალობას და დამოუკიდებლობას – თუმცა ის თავს შემწყნარებლად თვლიდა.[111] ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საეჭვო შემთხვევებში ის ბევრად ნაკლებ შემწყნარებელი იყო ექიმების, ვიდრე არაპროფესიონალთა გუნდის მიმართ და ხშირად სულგრძელად უთმობდა მათ. ფროიდის „საყვარელი ლუ",[112] რუსი მწერალი ქალი ლუ ანდრეას-სალომე, რომელმაც ვენის ფსიქოანალიტიკოსთა გაერთიანებაში ნიცშესთან და რილკესთან შეხვედრების იდუმალი სურნელი შემოიტანა, უფლებას აძლევდა თავის თავს ფროიდის მოძღვრება ლირიულობამდე, კიჩამდეც კი დაეყვანა, ისე, რომ საყვედურსაც არ იმსახურებდა. იგივე ითქმის შვეიცარიელი მღვდლის, ოსკარ პფისტერისა და მწერალ არნოლდ ცვაიგის შემთხვევაში, რომლებთანაც მას ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა და, რომელთა მიერ ფსიქოანალიზის ინტერპრეტირება კეთილგანწყობილი, თუმცა საეჭვო იდეოლოგიის ტენდენციას ამჟღავნებდა, რასაც ფროიდი შეძლებისდაგვარად ტოლერანტობით უდგებოდა. მისი აზრით, საფრთხე უფრო ექიმებისაგან მოდიოდა.

1905 წელს, ლიტავრის ორმაგი დარტყმით: Drei Abhandlungen zur Sexualtheorie („სექსუალობის თეორიის სამი ესეი") და Der Witz und seine Beziehung zum Unbewussten („ანეკდოტი და მისი კავშირი არაცნობიერთან") დაასრულა ფროიდმა თავისი „quinquennium mirabile" (კ. რ. აისლერი) და ფსიქოანალიზის კონსტიტუციური ფაზა. „სამ ესეიში" იგი კიდევ ერთხელ შეეხო თემატიკას, რომლითაც 90-იან წლებში იყო გატაცებული – სექსუალობის პრობლემას, *ბიოლოგიასთან მომიჯნავე მოძღვრების ნაწილს*,[111] რომელიც, მისი ღრმა რწმენით, განათლებული საზოგადოების მხრიდან ხანგრძლივ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. ნაშრომის ძირითად თავში *ინფანტილური სექსუალობის* შესახებ ფროიდი თავის პოზიციას იმით ამაგრებს, რომ ბავშვს მუდამ თან მოაქვს სექსუალური მისწრაფებები და ინსტინქტები *[ბავშვის] სექსუალური*

*მექანიზმი ერთ-ერთ სასიცოცხლო ფუნქციას ეყრდნობა და მხოლოდ მოგვიანებით ხდება მისგან დამოუკიდებელი. ვისაც უნახავს დანაყრებული ბავშვი მკერდიდან უკან გადახრილი თავით, შევარდისფრებული ლოყებით და ნეტარი ღიმილით ჩაძინებული, მას შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ეს სურათი შემდგომ ცხოვრებაში სექსუალური დაკმაყოფილების გამოხატვის დროსაც ასეთი დარჩება.*[114] ხუთი წლის შემდეგ ფროიდი თავისი ინსტინქტების თეორიის გათვალისწინებით მკვეთრად გამიჯნავს *სექსუალურ ინსტინქტებს* და *ეგოინსტინქტებს, სიყვარულს* და *შიმშილს*[115]. თუკი ბავშვის ძირითადი ლიბიდური მოთხოვნები, რომლებიც ავტოეროტიკულ აქტივობებში გამოიხატება და, ასევე ისეთ გრძნობებში, როგორიცაა სიყვარული, ტკივილი და მშობლების ან ერთ-ერთი მშობლის მიმართ ეჭვიანობა, მოზრდილი ადამიანის მიერ დავიწყებას მიეცემა, ამას ფროიდი ერთგვარ *თავისებურ ამნეზიას*[116] მიაწერს, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ნორმების თვალსაზრისით აკრძალულის გაცნობიერებას. *კულტურის შესაბამისი აღზრდის წნეხის ქვეშ*[117] დავიწყებულმა ან განდევნილმა ბავშვურმა სექსუალობამ, სხეულის *ეროგენულ ზონებთან*[118] დაკავშირებულმა სასიამოვნო მოქმედებისაკენ მიდრეკილებამ ფროიდი მიიყვანა საინტერესო ფორმულირებასთან, რომ ნევროტული სიმპტომები მოზრდილებთან სხვა არაფერია, თუ არა *ავადმყოფის სექსუალური აქტივობა,*[119] რაც უფრო ზომიერად, რასაკვირველია, „ჯანმრთელ" ნევროსტენიკებშიც არსებობს. რაც შეეხება მის თეორიას, განსაკუთრებით ინსტინქტთა მოძღვრებას ზოგადად, აქ ფროიდმა სამუდამოდ შეინარჩუნა სკეფსისი. მოძღვრება ინსტინქტების შესახებ, ნათქვამია შემდეგ, *არის ფსიქოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანესი და ასევე უბნელესი ელემენტი*[120], ამ *„სამ ესეიში"* მოგვიანებით ჩართული შენიშვნის თანახმად, *უმნიშვნელოვანესი, მაგრამ ასევე ყველაზე მეტად მოუმზადებელი ნაწილი ფსიქოანალიტიკურ თეორიაში.*[121] ფროიდის ინსტინქტთა თეორია, მისი შემდგომი დამუშავებისა და მოდიფიკაციის შემდეგაც ბუნდოვანი დარჩა, რაც იმ სიბნელეს უკავშირდება, რომ მან ინსტინქტი წარმოადგინა როგორც სომატურის მომიჯნავე



სექსუალობის სქემა. ერთვის ფროიდის ხელნაწერს „მელანქოლია", რომელიც მან ვილჰელმ ფლისს გაუგზავნა 1895 წელს.

ცნება სულიერის საპირისპიროდ, როგორც *ორგანული ძალების ფსიქიკური წარმომადგენელი,*[122] რომელთა ურთიერთკავშირი, ბოლოს და ბოლოს, აბსტრაქტული რჩება. ვინაიდან ფროიდი მტკიცედ იცავდა თავისი ფსიქოლოგიის ზოგიერთ ნეიროფსიქოლოგიურ ანუ ბიოლოგიურ წანამძღვრებს, რასაც ბრიუკე, მაინერტი და დარვინიც კი მიესალმებოდნენ, მან უარი თქვა პრობლემის მარტივ და ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტაზე. გასაკვირი არ არის, რომ ბევრმა მისმა მიმდევარმა ამ პრობლემისათვის თავის ასარიდებლად, მეტ-ნაკლები რადიკალობით მოიხადა ვალი ინსტინქტების თეორიის წინაშე. თუმცა

რეტროსპექტული მიმოხილვიდან „სამ ესეიში" სულ სხვა რამე ჩანს მნიშვნელოვანი, ვიდრე ფროიდის მცდელობა, გაეერთიანებინა სომატიკა და ფსიქიკა. ეს არის მოზრდილის სექსუალობის „ნორმალური" და „ბუნებრივი" დეკონსტრუქცია, როგორც მან ეს ბავშვის მიმართ გააკეთა მიუხედავად თავისი დროის წინააღმდეგობებისა. როდესაც ფროიდი მისი მეგობრის, ფლისის ძველი იდეის კვალდაკვალ, ავითარებს აზრს, რომ ყოველ ინდივიდთან გარკვეული ხარისხით საქმე გვაქვს *ანატომიურ ჰერმაფროდიტიზმთან და პირველყოფილ ბისექსუალურ მოთხოვნილებებთან*[123] და შემდეგ (ასევე მოგვიანებით დამატებულ შენიშვნაში) მიდის აზრამდე, რომ *კაცის განსაკუთრებული სექსუალური ინტერესი ქალის მიმართ წარმოადგენს პრობლემას, რომელიც საგანგებო განმარტებას მოითხოვს და არ არის თავისთავად ახალი.*[124] აქ ფროიდს სექსუალურ-პოლიტიკური სითამამით ვერავინ შეედრება. ის, რომ ჰეტეროსექსუალობა ბუნებრივი ქიმიზმია და ჰომოსექსუალობა შესაბამისად, არაბუნებრივი, კერძოდ, პერვერსიულია, ფროიდის ეპოქაში დოგმად იყო მიჩნეული და აღშფოთება კარგ ტონად ითვლებოდა. პროცესი ოსკარ უაილდის წინააღმდეგ ამისთვის საკმაო მასალას იძლეოდა. დიდი გამბედაობით იცავდა ფროიდი მოსაზრებას, რომ ექიმის ამოცანა არ უნდა იყოს სექსუალურ საკითხებში მორალურ მოსამართლედ ქცევა: *რასაც ჩვენ სექსუალურ პერვერსიებს ვუწოდებთ, სექსუალური ფუნქციის გადაადგილება სხეულის ზონებისა და სექსუალური ობიექტის მიხედვით, ამის შესახებ აღშფოთების გარეშე უნდა შეიძლებოდეს ლაპარაკი. თუნდაც საზღვრების გაურკვევლობას ნორმალურად წოდებული სექსუალური ცხოვრებისათვის სხვადასხვა რასებსა და სხვადასხვა ეპოქაში უნდა დაეცხრო განსაკუთრებით გულმოდგინე მოწინააღმდეგეები [. . .]. ასე თუ ისე, ხან იქ, ხან აქ, ყოველი ჩვენთაგანი არღვევს ნორმალურისთვის დადგენილ საზღვრებს თავის საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაში. პერვერსიები არ წარმოადგენს არც სიმხეცეს და არც გადაგვარებას სიტყვის პათეტიკური მნიშვნელობით.*[125] მხოლოდ ასწლიანი ინტერვალის შემდეგ, რომლის განმავლობაში დასავლურ ცივილიზაციაში სექსუალობის ნორმისა და მისგან გადახვევის გაგება



ოტო ვაინინგერი

საფუძვლიანად შეიცვალა, მესაძლებლი გახდა იმის სათანადოდ დაფასება, თუ რა ყამირის გატეხვა მოუხდა თავის დროზე ფროიდს. შემდეგ თავებში ვნახავთ, რომ ეს პოზიციები სქესობრივი საკითხის მიმართ, როგორც კი საქმე მამაკაცურობასა და ქალურობას შეეხებოდა, ბევრად ჩამოუვარდებოდა მის სექსუალურ-თეორიულ და პოლიტიკურ სითამამეს, რომ ის აქ უფრო მეტად იმყოფებოდა თავისი ეპოქის კულტურული პატრიარქალიზმის ტყვეობაში, თუმცა არც იმდენად გადაჭრით რეაქციული და მისოგინური (ქალთმოძულე) ფორმით, როგორც ეს მისი თანამედროვე ოტო ვაინინგერი აღმოჩნდა თავისი პამფლეტით „სქესისა და ხასიათის" (Geschlecht und Charakter) შესახებ (1903).

ანეკდოტების წიგნი აღნიშნავს მის მოძღვრებაში ნევროზების თეორიის საპირისპირო ნაპირის – კულტურის ისტორიის საბოლოო დაპყრობას. ის აანალიზებს კულტურის უმცირეს სოციალურ ერთეულს, რომელიც იმ ერთადერთ გრძნობას გადააქვს, რაც ექსკლუზიურად მხოლოდ ადამიანის საკუთრებაა: იუმორი.[126] ამ ნაშრომში ფროიდი სრულად უარყოფს კლინიკურ მასალას და მხოლოდ საკუთარ ვრცელ ანეკდოტების კრებულს და ასევე ლიტერატურულ მაგალითებს ეყრდნობა იმის

საჩვენებლად, რომ ანეკდოტი ისწრაფვის მოიპოვოს სისულელის კეთების ძველი სურვილი,[127] რაც ადამიანის არქაულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, ან *ძველი სიტყვათა თამაში*-ს სიამოვნება დაიბრუნოს ისევე, როგორც ხუმრობაც ერთგვარი *დაბრუნებაა ცხოვრების ემბრიონულ დონეზე*. ხუმრობასა და სიცილში ამ მიმართულებით კიდევ შესაძლებელია იმის მოძებნა, რაც სხვა შემთხვევაში სოციალურად ნებადართული არ არის: აკრძალულის ფარული ნდომა, უზნეო ფანტაზია, ცინიზმი ან ძლიერი აგრესია. მაშინ, როდესაც ეს ანეკდოტების შემოკლებულ და შემჭიდროებულ ენაში შემოდის (და ასეთი შემცირებითა და შემჭიდროებით ავლენს თავის კავშირს არაცნობიერთან), ის მაშინვე კარგავს თავის სოციალურ შეურაცხმყოფელ სიმძაფრეს. ტაბუს მსხვრევა ხდება ამასთანავე საზოგადოებისათვის მისაღები სახით, რადგანაც და რამდენადაც ის სიცილის მხსნელ მედიუმს ერთვის. თუ, მაგალითად, შევადარებთ ამ წიგნს და კუნო ფიშერის 34 წლით ადრე გამოქვეყნებულ ფილოსოფიურ ესეის „ანეკდოტის შესახებ", საიდანაც ფროიდი მრავალჯერ ახდენს ციტირებას, ნათელი გახდება, რა შორს წავიდა შემეცნების პროგრესი, ფიშერის უწყინარ და მანერულ მხიარულებიდან და ფროიდთან ჩვენი სულიერი აპარატის მიერ *მოპოვებულ უმცირეს სიხარულამდე*[128].

სხვათა შორის, უკვე თავის ანეკდოტების წიგნში ფროიდი შეეხო თემას, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აინტერესებდა – კულტურისა და მისი ზემოქმედებით წარმოქმნილი უარყოფების თემა: „ადამიანის ფსიქიკა მძიმდება ყოველგვარი უარყოფების გამო და აი, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ტენდენციური ანეკდოტი დაკარგულის ანაზღაურების საშუალებას იძლევა".



## მეცნიერული და პოლიტიკური ექსპანსიები. ფსიქოანალიზი როგორც „მოძრაობა" (1906-1914)

ორმოცდაათი წლის ასაკში ფროიდს უკვე გავლილი ჰქონდა თავისი ქარშხლისა და შეტევის ხანა (აისლერი). ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში დაუდეგარი ექსპერიმენტატორისა და ნოვატორიდან ის გადაიქცა პიროვნებად, რომელიც ნათლად დასახული მიზნისკენ მიდიოდა. თვით მისი თეორიების ხანგრძლივ დისკრიმინირებას ნევროლოგთა და ფსიქიატრთა ამქრის მხრიდან – ჯერ კიდევ 1910 წელს საიდუმლო სამედიცინო მრჩეველმა ვილჰელმ ვაიგანდტმა ფროიდის მოძღვრებას „პოლიციის საქმე"[129] უწოდა – აღარ შეეძლო მისი ერთხელ გაკაფული გზიდან გადაყვანა. უხეში შეტევები ფროიდის წინააღმდეგ, რომლებსაც ის კერძო მიმოწერაში მწვავე კომენტარებს უკეთებდა, ამასთანავე უტყუარი სამხილი იყო იმისა, რომ მისი, როგორც ყოველთვის სადავო, თეორიები საჯაროდ განიხილებოდა. მოულოდნელი ნუგეში ფროიდს აშშ-დან მოევლინა. მასაჩუსეტსის შტატის კლარკის უნივერსიტეტის (უორჩესტერი) პრეზიდენტმა მას საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა და ამერიკაში მიიწვია მოხსენებების წასაკითხად. 1909 წლის სექტემბერში




ჩრდილოეთ გერმანიის ლლოიდის თუნუქის აბრა.

ფროიდი ფერენცის და იუნგის თანხლებით ბრემენიდან გემით გაემგზავრა ნიუ-იორკში, სადაც მას ჯონსი და მისი ამერიკელი მთარგმნელი აბრაჰამ ა. ბრილი შეუერთდნენ. *მეტისმეტად თავდაჭერილ ამერიკაში,*[130] რომლის მიმართ მას საკმაოდ სოლიდური წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი ჰქონდა, ის




ფროიდის დეპეშა ამერიკიდან ცოლისადმი მოკლე შეტყობინებით „წარმატებით".

მოლოდინის საპირისპიროდ ძალიან თავაზიანად მიილეს [. .]: *ევროპაში თავს განკვეთილად ვგრძნობდი. აქ კი საუკეთესო წარმომადგენლებმა როგორც თანატოლი, ისე მიმიღეს. ეს იყო დაუჯერებელი ცხადი სიზმრის ასრულება, როდესაც უორჩესტერში კათედრაზე ავედი [. .]. ამრიგად, ფსიქოანალიზი აღარ იყო ილუზია, ის იქცა რეალობის ღირსეულ ნაწილად.*[131]

1910 წელი აღნიშნავს პირველ კულმინაციას ფროიდის მიერ დაარსებულ და მრავალი სტრატეგიული და პოლიტიკური სიფრთხილით წარმოებულ ფსიქოანალიტიკურ მოძრაობაში. ამასობაში დაარსდა გაერთიანების პირველი ჟურნალი, „Jahrbuch für psychoanalytische und psychopathologische Forschungen" („ფსიქოანალიტიკურ და ფსიქოპათოლოგიურ კვლევათა ყოველწლიური ალმანახი") (ცოტა მოგვიანებით მას მოჰყვა „Zentralblatt für Psychoanalyse" („ფსიქოანალიზის ცენტრალური გაზეთი"), „Imago" („იმაგო") და „Internationale Zeitschrift" („საერთაშორისო ჟურნალი"), ზალცბურგში შედგა ფსიქოანალიტიკოსთა პირველი საერთაშორისო კონგრესი. ამ ორგანიზატორული წარმატების დაგვირგვინება იყო საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური გაერთიანების (IPV) დაარსება 1910 წელს ნიურნბერგში, რომლის პრეზიდენტად იუნგი აირჩიეს, რასაც ვენელების გაღიზიანების გარეშე არ ჩაუვლია. *ნიურნბერგის რაიხსტაგით*, სახუმარო გამონათქვამი ფროიდის იუნგისადმი მიწერილი წერილიდან, რომელსაც არასერიოზული ელფერი ჰქონდა[132] იმ მოგვიანებით განვითარებული მოვლენების შუქზე, რომელთა მსხვერპლიც ფროიდი და მისი ოჯახი უნდა გამხდარიყო და რაც დაკავშირე-



ზიგმუნდ ფროიდი, აბრაჰამ ბრილი, კ.გ. იუნგი, სტენლი ჰოლი, ერნესტ ჯონსი და შანდორ ფერენცი კლარკის უნივერსიტეტში, 1909 წ.

ბული იყო ნიურნბერგში ჩატარებულ ნაციონალ-სოციალისტთა „რაიხის პარტიულ ყრილობებთან": *დამთავრდა ჩვენი მოძრაობის ბავშვობა [. . .]. მე იმედი მაქვს, რომ ახლა დაიწყება უხვი და მშვენიერი ყრმობა".*[133] ცოტა ხნით ადრე ფროიდმა კარგი ამბავი აცნობა ფერენცის: *დღეს ლუეგერი გარდაიცვალა.*[134] ლაპიდარული ცნობა ყველაზე პოპულისტი ანტისემიტის, ადოლფ ჰიტლერის იდეალის სიკვდილის შესახებ, ბევრად უფრო მეტ აგრესიულ იმპულსს, შეიცავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

*უხვი და მშვენიერი ყრმობის* ეიფორიული პერსპექტივა ამასობაში შორს დარჩა; მყისვე უსიამოვნებამ დაისადგურა სახლში. ალფრედ ადლერის თეორიას „ორგანოთა არასრულფასოვნების შესახებ" ნევროზების ეტიოლოგიასთან დაკავშირებით, მის აშკარა ნასესხობებს მემკვიდრეობით-ბიოლოგიური მოძღვრებიდან და ბოლოს, ადლერის მიერ არაცნობიერისა და ასევე სექსუალობის და ოიდიპოსის კომპლექსის როლის სულ უფრო მზარდ უგულვებელყოფას, რომლის აღიარებაც ფროიდისათვის ყოველთვის რჩებოდა ფსიქოანალიზის *Schibolch*-ად[135] (ძირითად პოსტულატად), პირველი სენსაციები მო-



ალფრედ ადლერი

ჰყვა. ფსიქოლოგიურმა *სამყაროს სისტემამ სიყვარულის გარეშე* ფროიდის მიერ შექმნილი სისტემის ჩარჩოები გაარღვია და ბოლოს, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე *შური იძია ადლერზე შეურაცხყოფილ ღმერთქალ ლიბიდოს გამო.*[136] 1911 წლის თებერვალში ფროიდმა, რომელიც ადლერს დიდი ხნის განმავლობაში თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა, ვინაიდან მას ინტელიგენტად და ორიგინალურ ადამიანად მიიჩნევდა, განაცხადა მისი თეორიების საკუთართან შეუსაბამობის შესახებ და მას *მტრული კონკურენციის*[137] ხასიათი მიანიჭა, რასაც ადლერისა და მის მომხრეთა გარიცხვა მოჰყვა ვენის გაერთიანებიდან. ჯგუფის უმრავლესობა ფროიდთან დარჩა.

უფრო მძიმე, ვიდრე ეს დაშორება და ფროიდისათვის ემოციურად ბევრად ძნელად დასაძლევი იუნგთან დაშორება იყო, რომელიც უკვე 1912 წელს დაიწყო და 1914 წელს სკანდალით, *მემკვიდრის*[138] IPV-ის პრეზიდიუმიდან გადადგომით დამთავრდა. არც ერთ სხვა უცხოელ მემკვიდრეზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ვენელებზე, არ ამყარებდა ფროიდი იმდენ იმედს, როგორც ამ შვეიცარიელ არაებრაელზე და მას თავის ლეგიტიმურ მემკვიდრედ მიიჩნევდა, ვინაიდან, როგორც მან ერთხელ ლუდვიგ ბინსვანგერს მიწერა, მას, *მოხუც კაცს*, ვინმე სჭირდებოდა,



კარლ გუსტავ იუნგი, დაახ. 1910 წ

ვინც *ჩემ საკუთარ ცხოვრებას გააგრძელებდა.*[139] ფროიდი მაშინ სამოცი წლისაც არ იყო. ამაში კიდევ ბევრი რამ და არა მარტო სტრატეგიული გათვლა იყო ჩადებული – იუნგი თავისი გავლენიანი სამეცნიერო კავშირებითა და თავისი მდგომარეობით ბიურგჰოლცში, ციურიხის ფსიქიატრიულ კლინიკაში, მისთვის იმის გარანტი იყო, რომ ფსიქოანალიზი არაებრაულ სამყაროში მიღებული გახდებოდა: *ეგოისტური განზრახვა, რომელიც მე მაქვს და, რასაკვირველია, მას გულახდილად ვაღიარებ, არის ის, რომ თქვენ ჩემი საქმის გამგრძელებლად და დამსრულებლად დაგასახელოთ, და თქვენ ფსიქოზების მიმართ გამოიყენებთ იმას, რაც მე ნევროზებთან დაკავშირებით დავიწყე, რისთვისაც, ჩემი აზრით, თქვენ, როგორც ძლიერი, დამოუკიდებელი პიროვნება, როგორც გერმანი (Germane), რომელსაც ადვილად შეუძლია თანამედროვეთა სიმპათია მოიპოვოს, ყველაზე უკეთ გამოდგებით, ვიდრე სხვა, ვისაც მე ვიცნობ.* ფროიდმა აქვე დაურთო:

*სხვათა შორის.მე თქვენ კიდევ მიყვარხართ [. . .].*[140] მიუხედავად უმცროსის მიმართ ამ შეუნიღბავი აგიტაციისა, შეუძლებელი იყო შეუმჩნეველი დარჩენილიყო, რომ იუნგი, სხვაგვარად, ვიდრე თავის დროზე ფლისი, ფროიდს მძაფრ კონკურენციას უწევდა და ამასთანავე, მასთან მამა-შვილის კონფლიქტში გრძნობდა თავს, რაც მას ხელს უშლიდა ფროიდის ავტორიტეტი ეღიარებინა. ფროიდი დიდხანს ცდილობდა ემოციური კონფლიქტები ტოლერანტობით მოეგვარებინა და მეცნიერული დიფერენციაცია შეძლებისდაგვარად უგულვებელეყო, მაგრამ უკვე 1912 წელს შეუძლებელი გახდა თეორიული უთანხმოების დამალვა – იუნგის გავრცობილი ლიბიდოს ცნება, მისი მოძღვრება არქეტიპების შესახებ და ასევე პასტორის ვაჟის გაზვიადებული მისტიკურ-რელიგიური შეტევები, რაც რაციონალისტ და ათეისტ ფროიდს საეჭვოდ უნდა მიეჩნია. ალტერნატივის წინაშე აღმოჩენილი ფროიდი, დაეკარგა თავისი აქამდე უმნიშვნელოვანესი თანამებრძოლი ან დაეთმო თავისი მოძღვრების ძირითადი პოსტულატები, პირველის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას. ფერენცისა და ჯონსის, მისი ერთგული ვასალების, წაქეზებით (შემდეგ მათ აიტინგონიც დაემატა), ასევე აბრაჰამის, იანკისა და ზაქსის ხელშეწყობით ფროიდმა გადადგა ნაბიჯი, რითაც ოფიციალური ფსიქოანალიტიკური მმართველობის ორგანო და, ე. ი. იუნგის IPV-ს პრეზიდიუმი ფაქტობრივად გააუქმა: მან დააარსა კომიტეტი,[141] რომელსაც *სრულიად საიდუმლოდ*[142] უნდა ეარსება და ემუშავა და რომლის ამოცანაც იყო შეენარჩუნებინა ფროიდის ძირითადი იდეები და, როგორც ჯონსი წერდა, „ჩვენი საკუთარი გაუცნობიერებელი ზრახვები და მოთხოვნები მოძრაობის ინტერესებისათვის

ფროიდის მიერ იუნგის, როგორც გერმანის (Germane) დახასიათება წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: ჰიტლერის მიერ 1933 წელს „ხელისუფლების ხელში ჩაგდების" შემდეგ იუნგს არ მორიდებია მოეჩმახა რაღაც „არიული არაცნობიერის" შესახებ და ახალი ხელისუფლების ნდობა იმით მოეპოვებინა, რომ მან ხელი შეუწყო „ებრაული" ფსიქოანალიზის აკრძალვას.



მესამე საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური კონგრესი. ვაიმარი, 1911 წ



1.ზიგმუნდ ფროიდი, 2. ოტო რანკი,3 ლუდვიგ ბინსვანგერი, 4. ლუდვიგ იეკელსი, 5. პაულო ფედერნი, 6. ოსკარ ფისტერი, 7. მაქს აიტინგტონი, 8. კარლ აბრაჰამი, 9. ჯეიმსი ჯ. პუტნამი, 10. ერნესტ ჯონსი, 11. ვილჰელმ შტეკელი, 12. ოიგენ ბლოილერი, 13. ლუ ანდრეას-სალომე, 14. ემა იუნგი, 15. შანდორ ფერენცი, 16. კ. გ. იუნგი.

შეგვეთანხმებინა [. . .] „და კარლოს დიდის პალადინების მსგავსად დაგვეცვა ბატონის სახელმწიფო და პოლიტიკა".[143] ამ არც თუ საეჭვო საჭადრაკო სვლამ, რომლის წყალობით ფსიქოანალიზის მართვის ცენტრი დემოკრატიულად არჩეული ორგანოდან არაფორმალურ და საიდუმლო ჯგუფში ფროიდის კონტროლის ქვეშ გადავიდა, ერთი მხრივ, უზრუნველყო „სუფთა მოძღვრების" არსებობა, მაგრამ მას აგრეთვე შეეძლო ეჭვი აღეძრა ფროიდის გულწრფელობასა და სწორხაზოვნებაში. პოლიტიკაში, პიტერ გაის თანახმად, ფროიდი ბევრად უფრო სიტყვაძუნწი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ურთიერთობაში.[144] იუნგთან განხეთქილება საბოლოოდ შედგა, როდესაც ფროიდმა ზაფხულში თავისი, *ნაღმი*[145] ააფეთქა და გამოაქვეყნა ნაშრომი Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung („ფსიქოანალიტიკური მოძრაობის ისტორიისათვის"), რომელიც ადლერთან და იუნგთან დაუნდობელ და პოლემიკურ ანგარიშსწორებას შეიცავს.

იუნგის ირგვლივ ატეხილი ორგანიზაციულ-პოლიტიკური და აფექტური ამბოხის პარალელურად ფროიდმა მეორე ნაღმი ააფეთქა, კერძოდ, თავისი ნაშრომი Zur Einführung des Narzißmus („ნარცისიზმის შესავლისათვის"), ალმანახის იმავე ტომში გამოაქვეყ-

ნა, რომელშიც Geschichte der psychoanalytischen Bewegung („ფსიქოანალიტიკური მოძრაობის ისტორია") და, რომელიც ისევე, როგორც ის, განპირობებული იყო ადლერთან და იუნგთან უთანხმოებით. ნაღმი მას იმდენად შეიძლება ეწოდოს, რომ ფროიდი უკვე მზად ან მომწიფებული აღმოჩნდა, რითაც ზოგიერთი თავისი მომხრე დააბნია, უარი ეთქვა თავის თავდაპირველ ინსტინქტთა თეორიაზე, სექსუალური ინსტინქტისა და ეგოს – ანუ თავდაცვის – ინსტინქტების დუალურ კონსტრუქციაზე და შემოეტანა იდეა, რომელსაც აქამდე თავის ნაშრომში სენატის პარანოიდული თავმჯდომარის შრებერის შესახებ და ასევე „ტოტემსა და ტაბუ"-ში უფრო პერვერსიებს მიაკუთვნებდა. ნარცისიზმის შესახებ ნაშრომში ფროიდი იქამდე მიდის, რომ საკუთარი თავის სიყვარულის ფენომენს სექსუალური განვითარების საფეხურად მიიჩნევს მაგალითად, ბავშვებში, როგორც მან ეს „სექსუალური თეორიის სამ ესეიში" *polymorph pervers*-ის[146] სახით წარმოადგინა და, რაც მან პრაქტიკულად უფრო გავრცელებულად და ამიტომაც აბსოლუტურად ნორმალურად მიიჩნია: „ჩვენ ყველა ნარცისისტები ვართ, რადგანაც და რამდენადაც ყოველი ადამიანი ფლობს არა მარტო *ობიექტურ ლიბიდოს*, არამედ აგრეთვე *ეგო-ლიბიდოს*[147] კუთვნილ რაოდენობას". რა თქმა უნდა, ფროიდს აქ მისთვის დამახასიათებელი განსხვავება შემოაქვს. მაშინ, როდესაც მამაკაცი უფრო სრულყოფილი ობიექტის სიყვარულისკენ ისწრაფვის, ქალები სხვადასხვა მიზეზით – თუნდაც *ობიექტის არჩევის შეზღუდული სოციალური თავისუფლების* გამო (ფროიდის მხრიდან საკმაოდ მგრძნობიარე დაკვირვებაა) – მეტად არიან მიდრეკილი ნარცისიზმისაკენ, ისევე, როგორც კატები, დამნაშავეები და იუმორისტები. *ქალთა ამ ტიპის მნიშვნელობა ადამიანის სასიყვარულო ცხოვრებისათვის ძალიან დიდია. ასეთი ქალები დიდ გავლენას ახდენენ კაცებზე, არა მარტო ესთეტიკური მიზეზებით, ვინაიდან ისინი, ჩვეულებრივ, ულამაზესები არიან, არამედ ასევე საინტერესო ფსიქოლოგიური კონსტელაციის შედეგად. ნათელი ხდება, რომ პიროვნების ნარცისიზმი იმას იზიდავს, ვინც საკუთარ ნარცისიზმს სრულიად უარყოფს და ობიექტის სიყვარულის*



სალვადორ დალი, დიდი პარანოიკი. 1936 წ. ბოიმანს ვან ბოინინგენის მუზეუმი, როტერდამი.

*მოპოვებას ცდილობს: ბავშვის მომხიბვლელობა უმეტესად სწორედ ასეთ ნარცისიზმს ემყარება [. . .]. ისე ჩანს, თითქოს ჩვენ [ნარცისიზმის გამძლე მამაკაცებს] გვშურს მათი ერთგვარი ნეტარი ფსიქოლოგიური მდგომარეობის, მიუწვდომელი ლიბიდო-პოზიციის გამო, რომელიც დიდი ხანია უარვყავით.*[148] სიძნელეები, რომელსაც ფროიდი თავისი ინსტინქტების თეორიის მოდიფიკაციით იქმნიდა, იმაში მდგომარეობს, რომ უაზრო ხდება სექსუალური და ეგო-ინსტინქტების მკვეთრი გამიჯვნა, რადგანაც აქამდე მხოლოდ თვითგადარჩენის აუცილებლობისათვის პასუხისმგებელი ეგო-ინსტინქტების ენერგიული სექსუალიზაცია ხდებოდა. არ დარჩენილა არც ერთი ინსტინქტურ-თეორიული ეიფორია, რომელიც ფროიდს არ გამოეცადა, და ნაშრომში ნარცისიზმის შესახებ ის გულახდილად და *მორჩილად აღიარებს მაორიენტებელ ინსტინქტთა მოძღვრების არარსებობას.*[149]

მოკლე ათწლეული Drei Abhandlungen („სამი ესეი", 1905) და Narzißmus („ნარცისიზმი", 1914) შორის ძველი ბურჟუაზიული ევროპის ნგრევის დასაწყისს დაემთხვა და აღსავსე იყო უზარმაზარი მეცნიერული პროდუქტიულობით. ფროიდმა, ერთი მხრივ, გააფართოვა თავისი მოძღვრება ავადმყოფობის შესახებ და მასში მთელი რიგი ახალი ასპექტი და აზრი შეიტანა, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რასაც ის Übertragung (გადატანას)[150] უწოდებდა და რისი გაუაზრებლობის გამოც, *დორას* მკურნალობა მარცხით დამთავრდა. გადატანაში, ფროიდის თანახმად, ერთგვარი *კლიშე*[151] მოქმედებს, რომელიც საყვარელ ან საძულველ პიროვნებასთან ადრეული გამოცდილებით იქმნება და მოგვიანებით *ან ფანტაზიაში გარდაიქმნება* ან *მთლიანად არაცნობიერში რჩება.*[152] ამ შემთხვევაში და ეს ნორმალური შემთხვევაა – გადატანის პროცესი სოციალურ ინტერაქციაში შეიძენს თავისებურ ძალას. *გადატანა ყველა ადამიანურ ურთიერთობაში, ისევე როგორც ავადმყოფისა და ექიმის, სპონტანურად ხორციელდება. ის ყველგან თერაპიული ზეგავლენის ნამდვილი მატარებელია და მით უფრო ძლიერად მოქმედებს, რაც უფრო ნაკლებად იგრძნობა მისი არსებობა.*[153] სწორედ არაცნობიერის ამ სპონტანური მექანიზმის – ანმყო, ექიმი – წარსულის თვისებებით, მშობლები, და-ძმა და ა. შ. – გამოყენება ვერ მოიფიქრა ფროიდმა *დორას* მკურნალობის დროს, რის გამოც ეს ისტორია ყველა მონაწილისთვის ასე არადამაკმაყოფილებლად დამთავრდა (და რის გამოც ეს შემთხვევა ფროიდის ლიტერატურაში დღემდე ასე საკამათოა). იმ დროს, დაახლოებით 1900 წელს, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ პაციენტი თერაპიული Setting-ის დროს გადატანის ქმედებას ახორციელბს, რაც თერაპიულად შესაძლებელია სასარგებლო იყოს, თუ მას სწორად გაიგებენ. მას კიდევ უფრო ნაკლებად ესმოდა ის, რომ ექიმიც, თავის მხრივ, გრძნობებს ავლენს, რამდენადაც ის საჭიროების გამო ექვემდებარება პაციენტის გავლენას თავის საკუთარ არაცნობიერზე. ასეთი აფექტები ფროიდმა ცნებაში Gegenübertragung (ურთიერთგადატანა) გააერთიანა. სანამ ფროიდის შემდგომი მომხრეები





პაულ შრებერი.
ფროიდის წიგნი „შრებერის საქმე" (თანამედროვე გამოცემა).

ურთიერთგადატანას თვით- და სხვათა შემეცნების რთულ ინსტრუმენტად აქცევდნენ, თვითონ ის მასში მხოლოდ ხელისშემშლელ ფაქტორს ხედავდა, რომლის *დაძლევაც*[14] იყო საჭირო, რათა მკურნალობაში ნეიტრალური საექიმო პოზა შენარჩუნებულიყო.

1905-დან 1914 წლამდე პერიოდს ემთხვევა აგრეთვე ფროიდის პრაქტიკიდან ორი ცნობილი შემთხვევის ისტორიის გამოქვეყნება, *ხუთი წლის ბიჭის (პატარა ჰანსის) ფობიის ანალიზი*, სადაც მისი აზრით, ბრწყინვალედ დადასტურდა ვარაუდები ბავშვთა სექსუალობის შესახებ და ასევე *შენიშვნები იძულებითი ნევროზების შემთხვევის შესახებ* (der Rattenmann* – კაცი-ვირთხა), რომელთა გაგებას და მკურნალობას ის განსაკუთრებით რთულად მიიჩნევდა. ეს ორი დიდი ავადმყოფობის ისტორია, რომელმაც ფროიდი ნატიფ დამკვირვებლად და ფანტაზიით სავსე ინტერპრეტატორად წარმოაჩინა, შეივსო და განივრცო კლინიკურად უპერსპექტივო შემთხვევით – მისი კომენტარის წყალობით დანიელ პაულ შრებერის ნაშრომზე „ნერვული ავადმყოფის მემუარები" (1903), რომელიც მას შემდეგ ფსიქიატრიული ლიტერატურის კლასიკოსად ითვლება და,

რომელმაც შრებერი ერთგვარად უკვდავყო. სწორედ ამ შემთხვევაში, რომელიც მისთვის მხოლოდ ავტობიოგრაფიული ჩანაწერის სახით იყო ცნობილი, გამოჩნდა ფროიდის უსაზღვრო გამოგონების პოტენციალი. ფსიქოანალიტიკური მიდგომა შრებერის სიგიჟის სისტემისადმი მისთვის იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ფროიდი მიხვდა, პარანოიკები *მართალია, დამახინჯებული ფორმით, მაგრამ ამხელენ იმას, რასაც სხვა ნევროტიკები მალავენ როგორც საიდუმლოს.*[155] დამახინჯებული, შეიძლება ითქვას, ამასთანავე არის გამოაშკარავებული. როგორც ნევროტიკს, ასევე პარანოიკს აქვს თავისი საკუთარი სიმბოლიკა, საჭიროა მხოლოდ მისთვის შესაფერისი გასაღების მორგება. ამიტომ მასაც შეეფერება ხშირად ციტირებული ნინადადება, რომელიც ფროიდმა დორას მისამართით გამოიყენა: *ვისაც თვალები აქვს საყურებლად და ყურები მოსასმენად, დარწმუნდება, რომ მოკვდავს არ შეუძლია საიდუმლოს შენახვა. პარანოიდალურად დამახინჯებული ისევე გამოითქმის, როგორ ნევროტულად დაფარული. ყველა მისი ფორიდან ღალატი ყონავს.*[156]

მეორე მხრივ, ფროიდი ამ წლებში იმისთვის იბრძოდა, რომ ყველა მიმართულებით გაეფართოებინა არაცნობიერის შესახებ მეცნიერების გამოყენების სფეროს არეალი. მისი საექიმო-სამედიცინო ფონი, ნევროზების თეორია – სამშობლო[157] – ახლაც, ისევე როგორც წინათ, წარმოადგენდა ყველა შემდგომი ექსპერიმენტის უვადო ამოსავალ წერტილს. მაგრამ ფროიდისთვის დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ საქმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანს ეხებოდა, ვიდრე ფსიქოანალიზის სამედიცინო გამოყენებას და მას სურდა მისი (ფსიქოანალიზის) მოთხოვნა ყოფილიყო ზოგადი ფსიქოლოგია, განემტკიცებინა და განეხორციელებინა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ერთი გაუგებრობის შესწორება, რომელიც საწინააღმდეგოდ ფროიდის ნამდვილი განზრახვისა, მას შემდეგ კვლავ არსებობს. როდესაც ფსიქოანალიზის გამოყენებაზე ლაპარაკობენ, ამაში, როგორც წესი, გულისხმობენ მის გამოყენებას კლინიკის გარეშე, მაგალითად, ლიტერატურის, მუსიკის და სახვითი ხელოვნების ნაწარმოების განხილვისათვის



ქალიშვილ ანასთან ერთად, დოლომიტებში. 1913 წ.

ან კულტურულ-სამეცნიერო დისციპლინებში, როგორიცაა რელიგიათმცოდნეობა, მითების კვლევა, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია და სოციოლოგია. ფროიდის ორიგინალში ეს სხვაგვარად იკითხება. იქ ვერსად შეხვდებით მინიშნებას საექიმო Prius-ზე (პრივილეგიაზე) ფსიქოანალიზის არასაექიმო გამოყენების მიმართ, როგორც ამას ისეთი ღრმა მცოდნე, როგორიცაა გაი ვარაუდობს წერილში „ფროიდის ნაშრომები გამოყენებითი ფსიქოანალიზის შესახებ"[158] და ამაში მის კულტურულ-თეორიულ სარგებლობას გულისხმობდა. ფროიდი თავის ახალ ფსიქოლოგიას, არაცნობიერის ფსიქოლოგიას უფრო მეტად ფუნდამენტურ მეცნიერებად მიიჩ-

ნეოდა, რაც სრულიად განსხვავებულ გამოყენებას გულისხმობდა. აქ საექიმო სფერო მხოლოდ ერთ-ერთი იყო მრავალთა შორის და არა განსაკუთრებით პრივილიგირებული. ოციან წლებში წარმოებული დებატების დროს არაპროფესიონალთა მიერ ანალიზის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ნამდვილი საზღვარი ნევროზების *სპეციალური პათოლოგიისა და თერაპიის*[159] *თვალსაზრისით სამედიცინო ანალიზსა*[160] *და ანალიზის გამოყენებას* შორის კი არ ძევს, არამედ *მეცნიერულ ფსიქოანალიზსა და მის გამოყენებას შორის სამედიცინო და არასამედიცინო სფეროში.*[161] ფროიდი ხაზგასმით უჭერდა მხარს იმას, რომ *ფსიქოანალიზი არ არის მედიცინის სპეციალური დარგი და რომ მას მედიცინა ვერ გადაყლაპავს. ნევროზების თერაპია ანალიზის გამოყენების მხოლოდ ერთ-ერთი სფეროა. იქნებ მომავალმა გვიჩვენოს, რომ ის ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის.*[162] ფროიდის იმედები აქაც უნდა გაცრუებულიყო. მისი ქმნილება არსებითად მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ ის ექიმების და თერაპევტების მფარველობის ქვეშ იყო.

ამ მიზანდასახულობის შესაბამისად ფროიდისთვის თავისთავად ცხადი იყო, გამოეცადა თავისი მეცნიერული ფსიქოლოგია ისეთ სფეროში, როგორიცაა ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, რელიგია, ზღაპარი და მითოსი, რისკენაც ის თავის მონაფეებსაც აშკარად მოუწოდებდა. დარწმუნებული ფსიქოანალიზის საყოველთაო *კულტურულ ღირებულებაში,*[164] როგორც მან იუნგს განხეთქილებამდე აცნობა, და როგორც დამპყრობი (ამ როლში ყოფნა ფროიდს ძალიან მოსწონდა), რომელსაც სურდა დაეპყრო ახალი კონტინენტები და მათი საიდუმლოებები გამოეკვლია, ფროიდი შეუდგა ვილჰელმ იენსენის ფანტასტიკური ნაწარმოების „გრადივას" ინტერპრეტირებას; ის შეეცადა გამოეკვლია *შთაბეჭდილებების და მოგონებების რა მასალიდან შექმნა პოეტმა თავისი ნაწარმოები და რა გზებით, რა პროცესების მეშვეობით გადაიტანა ეს მასალა ნაწარმოებში.*[165] თუმცა, მოგვიანებით ფროიდი დაშორდა „გრადივას"[166] თავდაპირველ შეფასებას და ამით აგრეთვე საკუთარ 1907 წლის ნაშრომს, ისტორიული გავლენის თვალსაზრისით, ის



ვილჰელმ იენსენი

იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სტიმული მისცა როგორც სიურეალისტებს, ასევე თომას მანს, კერძოდ „სიკვდილი ვენეციაში" შესაქმნელად. ფროიდის ნაწარმოებიდან Der Wahn und die Träume in W. Jensens "Gradiva" („სიგიჟე და სიზმრები ვ. იენსენის „გრადივაში") მწერალი კაცობრიობის ისტორიის (პომპეა – აწმყო) და ინდივიდუალური სულის ისტორიის (ბავშვობა – მოზრდილი ასაკი) იმ ცნობილ შესაბამისობას გაეცნო, რომელსაც ფროიდი, სულის და კულტურის არქეოლოგი, დაჟინებით იცავდა. „ღრმა წარსულის ჭა" – ასე იწყება იოსების რომანი და როდესაც ამ ჭას მოკალავენ, აუცილებლად წააწყდებით ინდივიდუალური (ონტოგენეზი) და კულტურული (ფილოგენეზი) განვითარების პარალელიზმს. თომას მანის ხარკი ფროიდის მიმართ ჩანს არა მხოლოდ მის ნაწარმოებში – „სიკვდილი ვენეციაში", არამედ აგრეთვე „ჯადოსნურ მთაში", რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა დათრგუნვის და დაბრუნების კონცეფციის, სიზმრის მუშაობის კანონების – დამახინჯება, კონდენსირება, არაცნობიერის უსასრულობა – გარეშე, თუნდაც აქ შოპენჰაუერის ფილოსოფიის დიდი გავლენაც ვაღიაროთ. *შეიძლება ითქვას. რომ ბედნიერი არასოდეს ფანტაზიორობს, არამედ მხოლოდ დაუკმაყოფილებელია.*[167] მაგრამ ნორმალ-



გრადივა „რომაული რელიეფის ფრაგმენტი.
II საუკუნე.

ური ნევროტიკისგან განსხვავებით, რომელიც თავის უკმაყოფილობებს საკუთარი ამბიციებისა და სურვილების სოციალური აკრძალვების გამო ათასგვარ შემოწმებას უქვემდებარებს და ფანტაზიაში სინამდვილის კორექციას ახდენს, პოეტი ახერხებს სურვილის ეგოიზმისათვის ფორმის მიცემას, რომელიც ესთეტიკური სიამოვნების მიღებას ისახავს მიზნად და ამიტომ სოციალურად მისაღებია. ამ მოხერხებაში შეიცნობს ფროიდი „ნამდვილ Ars poetica"-ს.[168] ეს არის ხელოვნება, რომელიც ანეკდოტის შექმნას ენათესავება. ასევე ფროიდის ნამუშევრები ლეონარდო და ვინჩის შესახებ (1910), რომლებსაც მათი ავტორი *ერთადერთ მშვენიერს* უწოდებს, *რაც მე ოდესმე დამიწერია*[169] და ნაშრომი მიქელანჯელოს „მოსეს" შესახებ ფსიქოანალიზის იმ არასამედიცინო გამოყენების ვრცელ სიაში შედის, რაც მის შემოქმედებაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს. ორივე ტექსტში, ამაზე ფროიდის მკვლევარებიც ხშირად მიუთითებენ, დელიკატურად აირეკლა ფროიდის პირადი ცხოვრების პრობლემები და კვალი. ისევე როგორც ხელმოკლე ჰომოსექსუალი ლეონარდო, ბავშ-



თომას მანი.
იოჰანეს ლინდნერის
ნახატი. 1905 წ.

ვობაში ორი დედის მიერ აღზრდილი, რომელმაც შეძლო თავისი სექსუალობის ამაღლება დიდებულ მხატვრულ და მეცნიერულ მიღწევებამდე და მაინც თითქოს რაღაც იძულების გამო არ აძლევდა თავის სულიერ „შვილებს" მშვიდად ზრდის საშუალებას, არამედ გამუდმებით ახალ პროექტებს იწყებდა და თითქმის არასდროს ამთავრებდა – ფროიდიც რეტროსპექტულად ლაპარაკობდა *ჩემი ცხოვრების დაუმთავრებელ ნაწარმოებებზე,*[170] და ეს, ალბათ, თავმდაბლობის გამო არ ხდებოდა – ამ ფიგურას უნდა მოეჯადოვებინა ისეთი კაცი, როგორც ფროიდია, რომელსაც ერთნაირად მართავდა შემოქმედებითი სიძლიერე და ალმაფრენის ძალა. მეორე გვერდზე წერია, რომ ლეონარდოს ინტერპრეტაცია მის მიერ უაღრესად მწირ ბიოგრაფიულ მასალას და საშინელ შეცდომას ეყრდნობა, რაც ინტერპრეტაციის კონსტრუქციას ფაქტობრივად უსაფუძვლოს ხდის. ასევე მის ნარკვევში მიქელანჯელოს „მოსეს" ქანდაკების შესახებ რომის სან პიეტრო ინ ვინკოლის ეკლესიაში, ფროიდის „ავტოპორტრეტის" (ოქტავ მანონი)[171] ნიშნები მოიპოვება. 1914 წელს, უშუალოდ იუნგთან მშფოთვარე დაშორების შემდეგ, ანონიმურად



მოსე. მიქელანჯელოს ქანდაკება. რომი, ეკლესია სან პიეტრო ვინკოლიში.

გამოქვეყნებული ესეის თემა მძიმე ემოციური კონფლიქტია, რომელშიც, ერთი მხრივ, მრისხანება და აგრესიაა – მოსეს მრისხანება ისრაელის შვილთა კერპთაყვანისცემის გამო, ფროიდის აგრესია განდგომილთა მიმართ, რომლებმაც ფსიქოანალიზის მომავალი სასწორზე შეაგდეს – მეორე მხრივ, მას უპირისპირდება აფექტის დამორჩილება და თვითდისციპლინა. ფროიდის მოსე გადაწყვეტს *დათრგუნოს საკუთარი ვნება იმ ერთადერთი მიზნის სასარგებლოდ, რომელსაც თავი უძღვნა.*[172] ეს არის ალთქმის ფიქალის მიღება. ამაში, რასაკვირველია, შესაძლებელია ფროიდის მოსეს მითოლოგიურ ფიგურასთან იდენტიფიცრების მომენტის დანახვა; მისი დანიშნულება, იყოს ფსიქოანალიზის კანონმდებელი, ბოლოს და ბოლოს, უფრო მეტია, ვიდრე პიროვნული აფექტი.

თუ რა გეგმაზომიერებით მოქმედებდა ფროიდი ამ წელს, რათა ფსიქოანალიზისათვის ახალი გამოყენების სფეროები (და ახალი მიმდევრები და მხარდამჭერები) მოეპოვებინა, განსაკუთრებით კარგად




„ტოტემი და ტაბუ“

ჩანს იმ გასაოცარი კეთილსაიმედოობიდან, რითაც მან თავისი ნაწარმოები Die „kulturelle“ Sexualmoral und die moderne Nevrosität („კულტურული სექსუალური მორალი და თანამედროვე ნევროზი“) ქალთა მოძრაობის ჟურნალში გამოაქვეყნა. ამ მოძრაობაში ის აშკარად პოტენციურ მოკავშირეს ხედავდა. ხსენებულ თხზულებაში ფროიდი წარმოდგენილია სექსუალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით თავისუფალ სულად, რომელიც ყოველგვარი შიშის გარეშე ანგარიშს არ უწევს გაბატონებულ საზოგადოებრივ ნორმებს და აშკარად იბრძვის რეპრესიული კულტურული სექსუალური მორალის შერბილებისათვის – უპირველეს ყოვლისა, ქალების მიმართ. კიდევ ერთხელ, სანამ ის დაუბრუნდებოდა ადამიანური ცხოვრების და კულტურული განვითარების სხვა ბნელ ასპექტებს, აგრესიებს, დანაშაულის გრძნობას, გამეორების იძულებას, ანუ ყველაფერს, რაც Cum grano salis* – „სიამოვნების პრინციპის მიღმა“ (Jenseits des Lustprinzips) – მდებარეობს, ფროიდი ლიბიდოს ჭრელი დროშის ქვეშ იმ საზოგადოებისათვის იბრძოდა, რომელიც სექსუალობის *დამთრგუნველ. კულტურის მიმართ მტრულად განწყობილ სულიერ ძალებს იმდენ ადგილს გამოუყოფდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო*

*„ინდივიდუალური ბედნიერების გარკვეული ზომით დაკმაყოფილება“*[173] როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის. სხვა შემთხვევაში, წინასწარმეტყველებდა ფროიდი, სექსუალური რეპრესია გამოიწვევდა სწორედ იმას, რის დაძლევასაც ის თითქოს ცდილობდა – უბრალოდ, საყოველთაო ფარულ მტრობას კულტურის მიმართ.

პროფესიული მეცნიერების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საკამათო და უდიდესი მცდელობა, აეხსნა კულტურული და ისტორიული ფენომენები ფსიქოანალიზის საშუალებით, ფროიდმა 1912-13 წლებში გამოქვეყნებული ოთხნაწილიანი ნაშრომით „ტოტემი და ტაბუ“ განახორციელა. წიგნი, რომელიც ფროიდის თანამედროვე ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური ლიტერატურის დიდ ცოდნას ამტკიცებს (რითაც, ალბათ, პროფესიული კრიტიკის უარყოფას ცდილობდა), სულ ცოტა იმას ისახავდა მიზნად, რომ ნათელი მოეფინა ადამიანური კულტურის ყველა ბუნდოვანი საწყისისათვის; ეს იყო Homo Socialis-ის პირველი გამოსვლა, რომელიც კოლექტიური გადარჩენის მიზნით, ნებაყოფლობითი შეთანხმების მეშვეობით, სოციალურ ტაბუს ქმნის. ისე, როგორც ბავშვმა უნდა განვლოს ოიდიპოსის კომპლექსი, რათა შეისწავლოს და შეითვისოს ოჯახში სოციალური თანაცხოვრების პირველი წესები და მცნებები, ასევე პრიმიტიულმა *საძმომ*, ფროიდის თანახმად, უნდა განვლოს, ასე ვთქვათ, კოლექტიური ოიდიპოსის კომპლექსი, თუმცა არა ფანტაზიაში, არამედ საზოგადოებრივ ბოროტებაში, რის დროსაც ის ყოვლისშემძლეა. სექსუალური მონოპოლიის სათავეში მყოფ მამას კლავენ. *მათ [ძმებს] სძულთ მამა. რომელიც მათ ძალაუფლებისკენ სწრაფვასა და სექსუალურ მოთხოვნებს ასე ძლიერად ელობება, მაგრამ ამასთანავე, მათ უყვართ ის და მას თაყვანს სცემენ. მას შემდეგ. რაც მამა მოიშორეს, თავისი სიძულვილი დაიკმაყოფილეს და მასთან იდენტიფიცირების სურვილი აისრულეს. უნდა წარმოჩენილიყო ამ პროცესში დათრგუნული ნაზი იმპულსები. ეს სინანულის ფორმით მოხდა, გაჩნდა დანაშაულის გრძნობა [. . .]. მათ დაგმეს თავიანთი საქციელი, ამასთანავე დაუშვებლად გამოაცხადეს მამის–ერზაცის, ტოტემის მოკვლა და უარი*

*თქვეს მის ნაყოფზე იმით, რომ უარყვეს გათავისუფლებული ქალები".*[174] ყოველი კულტურის დასაწყისში დგას დანაშაულის გრძნობა, საიდანაც წარმოიშვა პირველი პრიმიტიული სამართალი და სინდისი – დამნაშავე ადამიანის ფაქტის გარეშე არ არსებობს კულტურა. თუმცა, გასაოცარია, რომ ფროიდმა დანაშაულის გრძნობის, სინდისის და მორალური შეგნების წარმოშობის ასახსნელად არ მიმართა სახარებას „დასაბამიდან იყო სიტყვა" ან თუნდაც „დასაბამიდან იყო ფანტაზია", რის გამოც თავის დროზე „ცდუნების თეორიის" ერთპიროვნულ წარმომადგენლობაზე განაცხადა პრეტენზია, არამედ ფაუსტურ ფრაზას – *დასაბამიდან იყო დანაშაული,*[175] რადგანაც სჯეროდა მამის მიმართ პირველყოფილი დანაშაულის რეალობა. ეს იყო მკაცრად ფსიქოანალიტიკური, ფროიდის საკუთარი პერსპექტივიდან განხილული დაბრუნება მის შემეცნებასთან, თუმცა მამის მიმართ ვაჟიშვილების *დაგვიანებული მორჩილების*[176] ვარაუდი არ საჭიროებს ისტორიული მოვლენების არადამაჯერებელ ჰიპოთეტურ მონახაზს.

თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ ნაშრომებს *ტოტემი და ტაბუ* და *კულტურის სექსუალურ მორალის* შესახებ, მაშინ ფროიდთან წავაწყდებით ერთ თითქოსდა პარადოქსულ აზრთა სვლას, რომელიც უმეტესად მის გვიანდელ ნაშრომებში იგრძნობა და მრავალ მის მკითხველს აბნევს. მაშინ, როდესაც ფროიდი, ერთი მხრივ, სინდისისა და მორალის ინდივიდუალურ და კულტურულ ჩამოყალიბებაში ცივილიზაციის აუცილებელ წინაპირობას ხედავდა, რომლის მონაპოვარი, რასაკვირველია, დასაცავი იყო, მეორე მხრივ, იმ კულტურის პირქუში სულთამხილველი იყო, რომელსაც საფრთხე ემუქრება ჩაიხრჩოს დანაშაულის გრძნობათა პრედომინანტში და მისგან გამომდინარე აკრძალვებსა და მორალურ ნორმებში, რასაც სუბიექტი გარდაუვალ ნევროზამდე მიჰყავს და ეს უკანასკნელი დაავადდება. თუ კულტურის ამოცანას მიჰყვება – *ყოველი ინსტინქტის უარყოფა იქცევა სინდისის დინამიურ წყაროდ, ყოველი ახალი უარყოფა ამაღლებს მის სიმკაცრესა და არაშემწყნარებლობას,*[177] – მაგრამ, თუ ის კულტურის



ზიგმუნდ ფროიდი. 1909 წ.

მიერ მოთხოვნილ სამუშაოს არ შეასრულებს, მაშინ ძირს გამოუთხრის მის ფუნდამენტს და ანარქიაში ჩააგდებს მას. ისევე, როგორც ოიდიპოსი, რომელიც ორაკულის წინასწარმეტყველებისაგან თავის დაღწევას იმით ცდილობს, რომ წინასწარმეტყველების გარეგან პირობებს სპობს და მხოლოდ ამიტომ და სწორედ მაშინ ხდება დამნაშავე, ფროიდის სუბიექტისათვის ინსტინქტსა და კულტურას შორის არ

არსებობს ადგილი, სადაც ის უდანაშაულო შეიძლება იყოს. იქნებ ეს არის სკანდალი „არ არის ადგილი არსად" (კრისტა ვოლფი), რომელიც ფროიდულ მოძღვრებას ბევრისთვის ასეთ მიუღებელს ხდის – უდანაშაულო დამნაშავე ადამიანის სკანდალი.

ყველაფერთან ერთად, რაც ფროიდმა 1905 და 1914 წლებს შორის ათწლეულში თეორიული შემეცნებით მოიპოვა და პრაქტიკული მოთხოვნილებების შესაბამისად ფსიქოანალიტიკური მოძრაობის განვითარებისა და ერთიანობის მიზნით გააკეთა, არ შეიძლება დაგვავიწყდეს, რომ ის ამასობაში კარგ საექიმო პრაქტიკას ეწეოდა, რომელიც მას ყოველდღიურად დიდი დროით პაციენტებით ამარაგებდა. ასევე, რომ მას დიდი ოჯახი ჰყავდა, რომლის კეთილდღეობაზეც ის, დაახლოებულ პირთა გადმოცემით, ძალიან ზრუნავდა, რომ ის ყოველ შაბათ საღამოს ტაროკს* თამაშობდა და კვირაობით მოხუც დედასთან დადიოდა, რომ ის ოც სიგარას მაინც ეწეოდა დღეში, რომ ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდა და რომ ის, რომელსაც სძულდა ტექნიკის გამოგონება ტელეფონი, გატაცებით და პუნქტუალურად წერდა წერილებს. ფროიდის კორესპონდენციის ჯერ კიდევ არასრულყოფილად თავმოყრილი და გამოქვეყნებული კრებული თითქმის არ ჩამოუვარდება მის გამოცემულ ნაწარმოებებს. „წესრიგისა და დისციპლინის წყალობით შეძლო ფროიდმა სამაგალითო სისტემატურობით გონივრულად გამოეყენებინა თავისი დროის ყოველი წუთი. ცოტა ოჯახური კერა თუ ჰგავდა ასე ნაკლებად რევოლუციონერის კერას, რომელსაც მსოფლიო უნდა შეეცვალა". ამას ისიც ემატებოდა, როგორც ამას ფროიდის ბიოგრაფი რონალდ კლარკი შენიშნავს, რომ მარტა ფროიდი, ყოველგვარი საკუთარი ინტელექტუალური ამბიციების გარეშე მკაცრად იცავდა ეკლესია–სამზარეულო–ბავშვების ფილოსოფიის[178] ორ უკანასკნელ მესამედს. ფროიდის გენია განვითარებისათვის საჭიროებდა სრულყოფილი საზოგადოებრივი ნორმების შესაბამის ჩარჩოებს.



Die Neue Zeitung

Der Thronfolger Erzherzog Franz Ferdinand und seine Gemahlin Herzogin von Hohenberg von Serben ermordet.

Ein Heldentod.

ვენის გაზეთი „დი ნოიე ცაიტუნგი" იუწყება ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობას.
30 ივნისი 1914 წ.

## სულის ბნელი კონტინენტები. ლიბიდოს დაძლევა (1915-1923)

პირველი მსოფლიო ომით „ექსტრემიზმის ხანა" დაიწყო (ერიკ ჰობსბომი), რამაც ფროიდის შემოქმედებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. პოლიტიკის და მასების რადიკალიზმს, აქამდე წარმოუდგენელი განადგურების სურვილს, რაც ომმა გამოააშკარავა, ფროიდის თეორიის რადიკალიზაცია მოჰყვა. შესაძლებელია, რომ თვითონ ფროიდი თავდაპირველად ამას ვერც აცნობიერებდა, თუმცა ომის პირველი წლის დასასრულს ლუ ანდრეას-სალომეს ერთგვარი წინასწარმეტყველებით წერდა, რომ *მე და ჩემი თანატოლები ველარ ვიხილავთ მხიარულ სამყაროს*[179] და ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც ამას რეალისტურად აღწერდა ფსიქოანალიზი. ამ მომენტამდე ფროიდი თავის თეორიას ძირითადად ამგზნები ლიბიდოს ნიშნით ავითარებდა და მოითხოვდა მისი ძალის აღიარებას და კულტურის

ბორკილებისგან გათავისუფლებას, რაც მთელ მის თეორიას ოპტიმისტურ-განმანათლებლურ ელფერს ანიჭებდა. ახლა კი იმატა იმედგაცრუების, პესიმიზმის განწყობამ. განმანათლებლობის, ცივილიზაციისა და პროგრესისადმი მთელი ყურადღება უკანა პლანზე გადავიდა და, თუკი ომი თავისი მასობრივი ხოცვა-ჟლეტით არ არის უბრალოდ ირაციონალური დაბრუნება ბარბაროსობაში, არამედ უფრო გარდაუვალი საპასუხო მოქმედება იმ საზოგადოების მხრიდან, რომელშიც *კულტურული ფარისევლობა*[180] მთავარ მცნებად ქცეულა, მაშინ არ შეიძლება შეეგებო მას ჰუმანისტური და მორალური ლოზუნგებით, არამედ საჭიროა გაბატონებული კულტურის და მისთვის დამახასიათებელი ძალაუფლების დაუზოგავი მხილება. ნაშრომში Zeitgemäßes über Krieg und Tod („თანადროული ომის და სიკვდილის შესახებ", 1915) ფროიდი თანამედროვე ცივილიზაციას, უფრო სწორად, საერთოდ კულტურას მრავალი ძნელად შესასრულებელი მოთხოვნების ობიექტად მიიჩნევს,

ლუდვიგ მაიდნერი აპოკალიფსური ლადშაფტი, 1913 წ.



რომელიც ადამიანის ცივილურად ქმედებას შეუძლებელს ხდის. ზოგიერთი შესაძლებელია ფარული სიხარულით შეხვდა ომს, როგორც სასურველ მიზეზსა და საბაბს გათავისუფლებულიყო იძულებით თავს მოხვეული *კულტურული მორჩილებისაგან,*[181] ისევე როგორც სიზმრის მდგომარეობა ხდის შესაძლებელს უფრო მეტად არქაულ და პრიმიტიულ სულიერ დონეზე დაბრუნებას, ვიდრე ეს სიფხიზლეშია დასაშვები: *მას შემდეგ, რაც ფანტასტიკური და დახლართული სიზმრების ახსნა ვისწავლეთ, ვიცით, რომ ყოველი ჩაძინებისთანავე ტანსაცმელივით ვიშორებთ გაჭირვებით შეძენილ ზნეობრიობას – რათა დილით კვლავ დავიბრუნოთ.*[182] ფროიდის აზრით, ის, რომ ადამიანი კეთილი და ზნეობრივია და ამიტომ აღიქვამს ომს, როგორც *იმედგაცრუებას*[183] და არა როგორც კულტურული ნორმებისა და იძულებისაგან გათავისუფლებას, არის კეთილი და საზოგადოებრივი ნორმების შესაბამისი ილუზია: *ილუზიები იმით არის ჩვენთვის სასურველი, რომ უსიამოვნების გრძნობისაგან გვათავისუფლებს და მის ნაცვლად კმაყოფილებას გვაგრძნობინებს.*[184]

ფროიდი იმედგაცრუებული იყო ეროვნებათაშორის ომის წარმოების ბარბაროსობითა და რადიკალიზმით, მზად იყო ეღიარებინა უსიამოვნების გრძნობის (Unlustgefühle) არსებობა საკუთარ თავში და ამით განმანათლებლობის დიალექტიკას იზიარებდა – „ცივილიზაციის ისტორია, ეს არის მსხვერპლის ინტროვერსიის ისტორია", სხვა სიტყვებით: თვითალკვეთის ისტორია.[185] აღმოჩნდა, რომ ადამიანურ კულტურაში ცივილიზებული პროგრესი და კულტურული ევოლუცია განუყოფლად არის გადახლართული სწორედ იმ ფენომენის ჩაგვრასა და დათრგუნვასთან, რასაც ადამიანი „საკუთრივ" და მისი ბუნება წარმოადგენს – სურვილების მანქანა. ამიტომაც არის კულტურა თავიდანვე აუცილებელი მარცხისთვის მომზადებული. ფროიდის თანახმად, ომი მხოლოდ იმას აშკარავებს, რის უარყოფასაც ასე უგუნურად ცდილობს კულტურული ადამიანი – თავის კონსტიტუციურ-კულტურულ უუნარობას. *ის გვაცლის კულტურის დანალექს და კვლავ აჩენს ჩვენში პირველყოფილ ადამიანს,* რომლის სულიერი ფიზიოგნო-

მიკა ფროიდმა „ტოტემი და ტაბუში" ასე პლასტიკურად აღწერა და რომელიც, ფსიქოლამარკიზმის თვალსაზრისით, თავის სულიერ თვისებებს *ფილოგენეტიკური მემკვიდრეობის*[186] სახით გადასცემს შემდგომ თაობებს. *სწორედ აქცენტი მცნებაში: „არა კაც კლა", გვარწმუნებს, რომ ჩვენ მკვლელთა მთელი რიგი თაობების შთამომავლები ვართ, რომლებსაც მკვლელობის ჟინი, როგორც, ალბათ, ჩვენც, სისხლში ჰქონდათ.*[187]

ფროიდის დაინტერესება ისეთი თემებით, როგორიცაა აგრესია და სიკვდილი, ან თუნდაც ფრანგი ევოლუციის თეორეტიკოსის ჟან-ბატისტ ლამარკის უკვე მოძველებული მოძღვრებით (რომლის შესახებ ის ინტენსიურად უზიარებდა აზრებს ფერენცის), განსაკუთრებით „მწუხარებით და მელანქოლიით" (1916-17) და ბოლოს, სიკვდილის ინსტინქტის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და დამუშავება ნაშრომში Jenseits des Lustprinzips („სიამოვნების პრინციპის მიღმა", 1920) – ყოველივე ეს, ალბათ, უფრო რთული მიზეზებით აიხსნება, ვიდრე იმ მოსაზრებით, რომ 1914 წლამდე თითქოსდა სრულყოფილმა ბურჟუაზიულმა სამყარომ თვითონ გაანადგურა თავისი თავი და რომ ფროიდის ვაჟები ომის დროს სამხედრო სამსახურში იყვნენ. ფროიდის სასონარკვეთას სხვა მიზეზები ჰქონდა; თუნდაც შიში იმის გამო, რომ მისი ორიგინალური ქმნილება, რომელიც მან ამდენი საფრთხისა და მტრობისაგან დაიცვა, ომის გამო არ განადგურებულიყო. კავშირი ერთგულ მომხრეებთან დარღვეული იყო. ბრიტანელი ერნესტ ჯონსი გერმანიისა და ავსტრიის მოწინააღმდეგეებს უჭერდა მხარს. სწორედ მას დასწამა ფროიდმა შოვინიზმის ერთ-ერთი საშინელი შეტევის დროს ინგლისური გონებაჩლუნგობა,[188] რადგანაც ჯონსმა გაბედა და საეჭვოდ მიიჩნია გერმანიის გამარჯვების უნარი (ის მართალი აღმოჩნდა). და ამასთანავე ფროიდი დაბერდა. ყბის კიბოს დიაგნოზსა და პირველ ოპერაციამდე (1923) სულ რამდენიმე წელიწადი იყო დარჩენილი. ბევრი რამ მოხდა ერთდროულად პოლიტიკაში, პროფესიაში, პირად ცხოვრებაში, რამაც ფროიდი აიძულა ნაკლებ კეთილგანწყობილი ყოფილიყო სამყაროს მიმართ, ვიდრე ადრე.

მაგრამ სწორედ ომის წყალობით გაუჩნდა ფროიდს დრო – ის წუხილით აღნიშნავდა, რომ ბევრი პაციენტი დაკარგა და დიდი ოჯახი ჰყავდა სარჩენი – და მას შეეძლო დაეწყო იმ პროექტის განხორციელება, რომელსაც ჯერ კიდევ 1895 წელს „ფსიქოლოგიის ესკიზში" და „სიზმრების ახსნის" მეშვიდე თავში ამუშავებდა. ეს იყო იმ თემის ჩამოყალიბება, რომელიც მან „მეტაფსიქოლოგიად"[189] მონათლა და რის შესახებაც უკვე ფლისის წერილებში იყო ლაპარაკი. მეტაფსიქოლოგიად ფროიდი მიიჩნევდა თავისი ფსიქოლოგიის ყველაზე ზოგად და ყველაზე აბსტრაქტულ ცნებით შეჯამებას *(მისი) დინამიური, ადგილობრივი (ტოპიკური) და ეკონომიკური ურთიერთობების მიხედვით,*[190] ე. ი. კონფლიქტურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფსიქიკური ფენომენების წარმოსახვითობის მიხედვით, რაც შეეხება არაცნობიერ ძალებს; დიფერენცირებულ პერსპექტივაში, რაც შეეხება ფსიქიკის სისტემას და „ადგილს"; და ასევე




ჰ.რ. ჰოპსის ანტიგერმანული პლაკატი. დაახ. 1916 წ.



შვილებთან –
ერნსტთან და
მარტინთან ერთად.
1916 წ.

ენერგეტიკული თვალსაზრისით, რაც შეეხება ფსიქიკური ენერგიის რაოდენობასა და გადარქმნას: *ამ [მეტაფსიქოლოგიური ტექსტების] რიგის განზრახვა არის თეორიული ვარაუდების გარკვევა და გაღრმავება, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ფსიქოანალიტიკურ სისტემას.*[191] ფილოსოფიის მეტაფიზიკის მსგავსად მეტაფსიქოლოგიის, ფროიდის იდეალური ქმნილებისა და *მუდმივი ზრუნვის საგნის (Schmerzkind)*[192] დანიშნულება იყო ადამიანური ფსიქიკური სამყაროს უკანასკნელი მიზეზებისა და კავშირების ახსნა, რასაკვირველია, ბიოლოგიის გავლენით, რომლისთვისაც ფროიდს თავი არ დაუნებებია. თუმცა იმდროინდელ წერილებში ის მეტაფსიქოლოგიის *თორმეტ ნარკვევზე*[193] ლაპარაკობდა, 1915-1917 წლებში მათგან მხოლოდ ხუთი გამოქვეყნდა. დანარჩენი მას შემდეგ დაკარგულად ითვლება (ან სულაც არასოდეს შექმნილა). მხოლოდ 1983 წელს სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მეთორმეტე ნარკვევის ესკიზი და ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა Übersicht der Übertragungsneuro-

sen („გადატანის ნევროზების მიმოხილვა").[194] ფროიდის მეტაფსიქოლოგიური ნაშრომები, უპირველეს ყოვლისა, Das Unbewusste („არაცნობიერი"), Die Verdrängung („დათრგუნვა") და Triebe und Triebschicksale („ინსტინქტები და ინსტინქტის ისტორიები"), რომელთა რიცხვს მიაკუთვნებენ აგრეთვე ნაშრომებს Formulierungen über die zwei Prinzipien des psychischen Geschehens („ფსიქიკური ქმედების ორი პრინციპის ჩამოყალიბება", 1911), ასევე Jenseits des Lustprinzips („სიამოვნების პრინციპის მიღმა") და Das Ich un das Es („ეგო და იგი", 1923), რომლებიც ითვლება ავტორის უმნიშვნელოვანეს თეორიულ, მაგრამ ამასთანავე ურთულეს და ბოლომდე მიუწვდომელ ტექსტებად. ფროიდის მიმდევართა შორის ხშირად გაისმოდა ხმები, რომლებიც არჩევდნენ, მეტაფსიქოლოგიას არ შეხებოდნენ.

თუკი თორმეტი ნარკვევის სერია მხოლოდ სავარაუდო მიზეზების გამო ფრაგმენტის სახით შემორჩა, სამაგიეროდ, ფროიდის Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse („ლექციები ფსიქოანალიზის შესავალში"), რომელსაც ის შუა ომის დროს ვენის უნივერსიტეტში კითხულობდა, მონოლითურ ნანარმოებს და ფსიქოანალიტიკური მოძღვრების საინტერესო მიმოხილვასა და პოპულარიზაციას წარმოადგენს და როდესაც იგი წიგნის სახით გამოიცა, ჯერ კიდევ ფროიდის სიცოცხლეშივე უზარმაზარი ტირაჟით იბეჭდებოდა. „ლექციები" მცდარი ქმედების ახსნით ანუ ყოველდღიურობით და ნორმალური ფსიქოლოგიით იწყება და ფროიდი აქ სამ ცნობილ ტკივილს აყალიბებს, რაც კაცობრიობას თანამედროვე მეცინერებამ მიაყენა, მათ შორის ფსიქოანალიზით მიყენებული *შეურაცხყოფა ყველაზე საგრძნობია,* ვინაიდან ის აჩვენებს, რომ *ეგო [. . .] არ არის საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და მხოლოდ იმ მცირეოდენ ინფორმაციაზეა დამოკიდებული, რაც გაუცნობიერებლად ხდება მის სულიერ ცხოვრებაში.*[195] ეს სამწუხარო ინფორმაცია, რომელიც ყოველივე იმის მოკლე რეზიუმეს წარმოადგენს, რაც ფროიდს შეეძლო ეთქვა „სიზმრების ახსნის" შემდეგ, მან მოგვიანებით გაიმეორა თავის ნაშრომში Eine Schwierigkeit der Psychoanalyse

(„ფსიქოანალიზის ერთი სიძნელის შესახებ"), სადაც ლაპარაკია „უცხო სტუმრებზე", რომლებსაც ეგო ვერ აკონტროლებს.

ყოველგვარი სასიცოცხლო ენერგიის მიუხედავად, რასაც ფროიდი უეჭველად ფლობდა, ომით გამოწვეულ გაჭირვებას სულ უფრო ამძაფრებდა ნორმირებული საკვები და სამკურნალო საშუალებები და ასევე გამუდმებული დარდი სამი *მეომრის*,[197] ფრონტზე მყოფი ვაჟიშვილების მარტინის, ოლივერისა და ერნსტის გამო, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ფროიდის განწყობაზე. მისი წინანდელი, – ცოტა არ იყოს უცნაური, მაგრამ, ალბათ, უფრო კერძო საუბარში და არა საჯაროდ გამოთქმული – საიმპერატორო და სამეფო პატრიოტიზმი უკვალოდ გაქრა. „კაცობრიობის უკანასკნელი დღეები" სულაც არ იყო კარლ კრაუზის სატირული გროტესკი, არამედ სუფთა რეალობა, რომელიც ბერგშტრასე 19-ის მცხოვრებლებმა შეიგრძნეს. ომის უკანასკნელ წელს



გეორგ გროსი. სიკვდილის მაჟანკლები, 1919 წ.

ფერენცის, აბრაჰამისა და ანდრეას-სალომეასადმი მიწერილ წერილებში არაერთხელ ჟღერს დაღლილობისა და ბედთან შეგუების ტონი. ის აღიარებს, რომ *მოსწყინდა ჭიდილი: მე უკვე [. . .] გარკვევით წერაც არ შემიძლია. იქნებ ამ დაუძლურებას მოუწევველმა საკვებმაც შეუწყო ხელი. მე ხომ ხორცის მოყვარული ვიყავი.*[198] გარდა ამისა, დაიმსხვრა მისი პატარა იმედი, მიეღო ნობელის პრემია ფსიქოლოგიისა და მედიცინის დარგში, რაზეც ფროიდი ათ წელზე მეტხანს ოცნებობდა. 1929 წელს მან თავის Kürzeste Chronik („უმოკლეს ქრონიკაში") აღნიშნა: *ნობელის პრემია არ მომცეს.*[199] მაგრამ მას ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაეკარგა იმედი. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დარწმუნდა, რომ არაფერი შეიცვლებოდა: *ნობელის პრემია საბოლოოდ არ მომცეს*[200] და არაფერი შეცვლილა.

ფროიდისათვის ამ ბნელ დროში ორმა ბედნიერმა შემთხვევამ სრულიად მოულოდნელად განსაზღვრა ომის უკანასკნელი წელიწადი. ანტონ ფონ ფროინდმა, უნგრელმა მეწარმემ, რომელსაც ფროიდი მკურნალობდა, ომით საკმაოდ დაზარალებულ ფსიქოანალიტიკურ ორგანიზაციას მოზრდილი თანხა უანდერძა, რამაც ფროიდს საშუალება მისცა გაეწყვიტა კავშირი ჰუგო ჰელერთან, რომელთანაც ჯონსის განაჩენის შემდეგ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და საკუთარი გამომცემლობა დაეარსებინა, რაც მას გამომცემლის განწყობის ცვალებადობისაგან გაათავისუფლებდა. გამოირკვა, და ეს არ არის ფროიდის პატარა მიღწევა, – რომ 1919 წელს გახსნილი საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური გამომცემლობა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა გამუდმებით სუბსიდიებს მოითხოვდა. ამ გამომცემლობის მეშვეობით ფროიდმა საკუთარ ხელში აიღო თავისი ნაწარმოებების შემდგომი პუბლიცისტური ბედი. შემდგომში ფროიდი გატაცებული და ასევე მარჯვე გამომცემელი აღმოჩნდა, მას სულაც არ შეეფერებოდა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი და არაპრაქტიკული მეცნიერის კლიშე,[201] რომელსაც კომერციის არაფერი გაეგება. მისთვის, *წიგნის ჭიისათვის*, რომლის *უპირველესი გატაცება ცხოვრებაში*[202] წიგნები იყო, როგორც ის „სიზმრების ახსნაში" წერს, წარმოუდ-



ანტონ ფონ ფროინდი

გენელი ბედნიერება უნდა ყოფილიყო საკუთარი თავის გამომცემლად ყოფნა და საკუთარი შერჩევით წიგნების ბეჭდვის შესაძლებლობა. ამ ბედნიერების შემოქმედი ფონ ფროინდი 1920 წელს გარდაიცვალა; ფროიდმა მას მადლიერებით სავსე ნეკროლოგი უძღვნა.[203]

მეორე ბედნიერი შემთხვევა მსოფლიო ომის შედეგებს უკავშირდება. ე. წ. ომის ნევროტიკთა გასაჭირმა, როგორც იმ ჯარისკაცებს უწოდებდნენ, ვინც ფრონტზე განცდილის გამო მძიმედ იყო ტრამვირებული, ფსიქოანალიზს ბედნიერება მოუტანა. იმ დროის სამხედრო ფსიქიატრთა მთელი წყება მოქმედებდა პრინციპით „სოლს სოლი გააქვსო" და ტრამვირებულ ჯარისკაცებს ფრონტზე დასაბრუნებლად ბარბაროსული მეთოდებით მკურნალობდა – იზოლაციით წამება, იძულებითი წვრთნა და მტკივნეული ელექტროშოკი, რის გამოც ფროიდი ამ თერაპევტებს *ფრონტის ზურგის ტყვიამფრქვევებს*[204] ადარებდა. სწორედ ამ დროს ფსიქოანალიტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ომის ნევროზების შემთხვევაში ის უნდა გამოეყენებინათ, რაც მათ პარადიგმატულად *მშვიდობიანი დროის ნევროზებთან,*[205] თუნდაც ისტერიასთან დაკავშირებით გამოიმუშავეს – ნევროზის ამ მძიმე ფორმის ეტიოლოგია. ამით უარყვეს ზოგიერთი სამხედრო ფსიქიატრის იდეა-ფიქსი, რომ

ყველა ომის ნევროტიკი სიმულანტი და უქნარაა. 1918 წლის სექტემბერში ანალიტიკოსთა მეხუთე კონგრესზე ბუდაპეშტში ფროიდის მოძღვრებამ, თავის თერაპიულ იმპლიკაციებთან ერთად, ერთგვარი ოფიციალური გარღვევა მოახდინა – უეცრად ყველა ფსიქოანალიზზე ალაპარაკდა. ფროიდის მომხრეთა გუნდიდან ყველაზე ნიჭიერმა კლინიკოსებმა – კარლ აბრაჰამმა, მაქს აიტინგონმა, შანდორ ფერენციმ და ერნსტ ზიმელმა სათანადო პრაქტიკული ნამუშევრებით ფსიქოანალიზს მოულოდნელი რენომე მოუპოვეს. ეს იყო ფროიდის პირველი ტრიუმფი ფსიქიატრიაზე, რომელმაც ის მრავალჯერ უარყო. ამ გამოცდილების მიუხედავად, ჩნდება კითხვა: იყო თუ არა, ან რამდენად იყო ფროიდი ფაქტობრივად დაინტერესებული მისი ფსიქიატრიის მიერ აღიარებით. თუ არ ჩავთვლით „შრებერის შემთხვევას"*, სადაც მხოლოდ ლიტერატურულ კონცეფციასთან გვაქვს საქმე, ან კიდევ რამდენიმე გამონაკლისს, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ფროიდს ნაკლებად აინტერესებდა მძიმე დარღვევების მქონე პაციენტები, მისთვის უფრო მისაღები ჭკვიანი ნევროტიკები იყვნენ, ე. ი. პრინციპში ის ტიპი, რომლის წარმომადგენელიც თავად იყო. ასეთი უარყოფითი პოზიციის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო, ალბათ, არა მარტო 1880-იან წლებში თეოდორ მაინერტის კლინიკაში, არამედ აგრეთვე ზოგიერთ მის მოწაფესთან მუშაობის გამოცდილებამ (კ. გ. იუნგი, რომელმაც ფროიდთან კონფლიქტში დეკომპენსაციისადმი მიდრეკილება გამოამჟღავნა, ოტო გროსი თავისი პერიოდული ფსიქოტური შეტევებით და ვიქტორ ტაუსკი, რომელმაც 1919 წელს თავი მოიკლა). გარდა ამისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფროიდის გაუცხოება ფსიქიატრიული უნივერსუმის მიმართ დაკავშირებული იყო უმეტესად მის მიერ ექიმის როლის რელატივიზაციასა და *ნორმალურ ფსიქოლოგიაზე* ორიენტაციასთან, რაც, როგორც ცნობილია, ზოგად ანთროპოლოგიაზე დაიყვანება. ყოველ შემთხვევაში, ომიდან ათი წლის შემდეგ თვითონ ფროიდმა აღიარა *უცნაური არატოლერანტობა* ფსიქოტიკთა და სხვა ფსიქიურად მძიმე ავადმყოფების



ლიტონ სტრეჩი, მხატვარი კერინგტონი, ჯეიმს სტრეჩი

მიმართ: *ბოლოს და ბოლოს, ჩემ თავს გამოვუტყდი [. . .], რომ ეს ავადმყოფები არ მიყვარს, რომ ისინი მაღიზიანებენ და მათ ჩემგან და ყოველი ადამიანურისაგან ძალიან შორს აღვიქვამ.* შემდეგ თავის თავს ეკითხება – შეიძლება თუ არა ეს *სულ უფრო აშკარად გამოხატული სოლიდარობა ინტელექტის პრიმატთან [. . .], ივი-ს მიმართ მტრული განწყობის გამოხატვა იყოს? თუ რამე სხვა?*[206] მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის და ინტელექტუალური ფუნქციების ამ ფავორიზებას – *სადაც იყო ივი, უნდა გახდეს ეგო,*[207] შემდგომ კულტურულ-თეორიულ ნაშრომებში წარმოუდგენლად დიდი პატივი ერგო, ერთგვარად საეჭვო კომპრომისი ჩანს რაციონალისტური და იდეალისტური მსოფლმხედველობების წინაშე, რაც ნაკლებად ეთანხმება მის ბნელ და იგისადმი კეთილგანწყობილ ინსტინქტთა მოძღვრებას. აქ მაინც შეინიშნება პირდაპირობა და ადამიანური სიდიადე, რითაც ფროიდი თავის თავში ადამიანურ სისუსტეებს პოულობს.

ბუდაპეშტის კონგრესის შემდეგ, თავისი ხანმოკლე წარმატებით, დიდების წლები დაიწყო. პატარა სახელმწიფოს ფორმატამდე შევიწროვებულ ავსტრიას ძალიან მწირი საგარეო ურთიერთობები ჰქონდა და ამას ფროიდზეც უნდა ემოქმედა. მიუხედავად ამისა, ფსიქოანალიზი შეუჩერებლად იპყრობდა მსოფლიოს. ამ აღმავლობის შესამჩნევი



ჯოან რივიერი



ვირჯინია ვულფი

ნიშანი იყო საკუთარი ფსიქოანალიტიკური საგანმანათლებლო ინსტიტუტების დაარსება: პირველი ოციანი წლების დასაწყისში ბერლინში შეიქმნა და ყველა შემდგომ დაფუძნებული ინსტიტუტებისათვის სახელმძღვანელო მოდელს წარმოადგენდა.

ახლა ფროიდი სახელგანთქმული პიროვნება იყო, რომლის სახელსა და რჩევაზე დიდი მოთხოვნილება იყო. ამერიკიდან, ინგლისიდან და ევროპული ქვეყნებიდან პილიგრიმთა გუნდები დაიძრნენ ვენისაკენ, რათა ოსტატისაგან კურთხევა მიეღოთ. ლონდონიდან ჩამოვიდნენ ჯოან რივიერი, ასევე ალექს და ჯეიმს სტრეჩები. შემდგომში ფროიდის მთარგმნელი და ფროიდის ნაწარმოებთა „Standard Edition"-ის გამომცემლები, რომლებსაც ასევე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ლეონარდ და ვირჯინია ვულფების ბლუმსბერის წრესთან და მის გარშემო არსებულ ავანგარდისტულ ჰოგარტ პრესთან. ამერიკელებს ფსიქიატრი და ანთროპოლოგი აბრამ კარდინარი წარმოადგენდა, რომელმაც მოგვიანებით გამოაქვეყნა წიგნი „ჩემი ანალიზი ფროიდთან". ჯერ კიდევ გვიანდელ ოციან და ადრეულ ოცდაათიან წლებში მკურნალობდა ფროიდი ამერიკელ პაციენტებს, როგორიცაა სმაილი ბლანტონი და მწერალი ქალი ჰილდა დულიტლი,



ჰილდა დულიტლი



მარი, პრინცესა ბონაპარტი

რომელთა მიერ მყარი ვალუტით გადახდილი ჰონორარები მისთვის ყოველთვის სასურველი იყო. ფრანგი მარი ბონაპარტი ოციანი წლების შუახანებში ფროიდის უახლოეს გარემოცვაში შევიდა ისევე, როგორც ამერიკელი დოროთი ბურლინგჰემი, რომელიც მოგვიანებით ანა ფროიდის უახლოესი მეგობარი გახდა. იტალიაში ედუარდო ვაისმა იზრუნა ფროიდის მოძღვრების თარგმნასა და გავრცელებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მრავალრიცხოვან მიმდევრებზე გერმანიასა და ავსტრიაში, მათ შორის მოგვიანებით ფროიდის ბიოგრაფი ზიგფრიდ ბერნფელდი, ოტო ფენიხელი, კარენ ჰორნეი, მელანი კლაინი და ვილჰელმ რაიხი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოანალიზი კვლავაც, ისევე როგორც ადრე, გარკვეული ღვარძლისა და ცილისწამების ობიექტად რჩებოდა, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ ის ოციანი წლების შუახანებიდან საერთაშორისო პოპულარობის ზენიტში იყო. ცნობილი მწერლები, ხელოვანები და მეცნიერები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს თუ დავასახელებთ – რომენ როლანი, არნოლდ ცვაიგი, შტეფან ცვაიგი, თომას მანი, სალვადორ დალი და ალბერტ აინშტაინი – ამაყობდნენ იმით, რომ ვენელ ავტორიტეტთან პირადი კონტაქტი და მიმოწერა ჰქონდათ.



სოფის, მისი „ბედის ნებიერა" შვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფროიდი შანდორ ფერენცის წერდა: „რამდენიმე წლის განმავლობაში ველოდი ჩემი ვაჟების (ომში) დაღუპვას, და ეს ახლა ქალიშვილი აღმოჩნდა; ვინაიდან მე ღრმად ურწმუნო ვარ, ვერავის დავადანაშაულებ და ვიცი, რომ არ არსებობს ადგილი, სადაც შემიძლია ვიჩივლო [...]".

სოფისთან ერთად. 1912 წ

თუმცა, ყოველივე ამან ფროიდი არც დააბნია და არც მოისყიდა. როდესაც 1920 წელს მან Jenseits des Lustprinzips („სიამოვნების პრინციპის მიღმა") გამოაქვეყნა, ამით ფსიქოანალიტიკურ სამყაროს ისეთი ნაშრომი შესთავაზა, რომლის სიმძაფრისა და რადიკალური სიძლიერის გამო, ის დიდხანს ვერ მოვიდა გონს. ამ პატარა წიგნში, რომელსაც ზოგიერთი რეაქციად მიიჩნევს მისი ქალიშვილის სოფის გარდაცვალებაზე – ავტორმა წარმოადგინა, არც მეტი არც ნაკლები, სრულიად გადასინჯული ინსტინქტის თეორია, რომელიც სიკვდილის ინსტინქტს ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაში ცენტრალურ ადგილს ანიჭებს. თუმცა ფროიდი ყოველი შემთხვევისათვის აღიარებს, რომ სიკვდილის ინსტინქტის შემოტანით საქმე გვაქვს „მხოლოდ განსჯასთან, ხშირად შორს მიმავალ განსჯასთან",[208] ის დაუშვებლად მიიჩნევს ყოველგვარ არაპირდაპირობას: *ჩვენი თვალსაზრისი*

*თავიდანვე დუალისტური იყო,* – კერძოდ, კონცეფციაში სექსუალური და ეგო თვითშენარჩუნების, მხიარულების პრინციპისა და რეალობის პრინციპის პირველადი და მეორადი პროცესების შესახებ, – *და ის დღეს უფრო მეტად გახდა ასეთი, მას შემდეგ, რაც ჩვენ დაპირისპირებულ მხარეებს აღარ ვუწოდებთ ეგო და სექსუალურ ინსტინქტებს, არამედ სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტებს.*[209] ის, რომ არსებობს მოვლენები, როგორიცაა სიძულვილი და აგრესიულობა სხვების მიმართ, ასევე მაზოხიზმის, საკუთარი თავის სიძულვილისა და საკუთარი თავით უკმაყოფილების, პერმანენტული დანაშაულის გრძნობის და *გამეორების იძულების*[210] პარადოქსები და რომ ეს უკანასკნელი იწვევს იმას, რომ უსიამოვნო გამოცდილება კი არ ქრება, არამედ მეორდება, ეს ყველაფერი ფროიდმა, რასაკვირველია, ადრეც შეამჩნია, მაგრამ სისტემატური სახით არ აუსახავს თავის თეორიაში. ამ ფენომენის სათანადოდ შესაფასებლად და მისთვის ადგილის მისაჩენად, რაც მას ამჯერად აუცილებლად მიაჩნდა, ფროიდი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ინსტინქტთა სექსუალურ და თვითშენარჩუნების ინსტინქტებად კლასიფიკაციისათვის და ამის საპირისპიროდ შემოეტანა დამოუკიდებელი აგრესიის ინსტინქტი ანუ სიკვდილის ინსტინქტი, რომლის მიზანიც არის დესტრუქცია – ეს არის ნგრევა, რომელიც თანაბრადაა მიმართული როგორც უცხოს, ასევე საკუთარის წინააღმდეგ. ამ ახალ კონსტრუქციაში, რომელიც *გიგანტების დავას, ბრძოლას ეროსსა და სიკვდილს შორის*[211] მოიაზრებდა, როგორც მთელი ფსიქიკური ცხოვრების განმსაზღვრელ კონფლიქტს, აღარ დარჩა ადგილი ძირითადი ეგოინსტინქტის პოსტულატისათვის ბიოლოგიური თვითშენარჩუნების ფუნქციის თვალსაზრისით; პირიქით, ეგო იმდენად არის დეპოტენცირებული, რომ ის, როგორც ამას ფროიდი *ეგოსა და იგი-ში* აჩვენებს, ამიერიდან მხოლოდ საეჭვო ადგილს იკავებს იგი-ს და სუპერეგოს ანტაგონისტურ ინსტანციებს შორის. ამიერიდან მხოლოდ სიცოცხლის შემნარჩუნებელი და სიცოცხლის დამანგრეველი ტენდენციების ინსტინქტური დუალიზმი, მისი განუწყვეტელი ერთმანეთის სა-

პირისპირო და ერთმანეთისკენ მიმართული მოქმედება მიიჩნევა კულტურის შემქმნელ პრინციპად. სიამოვნების პრინციპმა, რომელიც *ნარცისიზმის შემოტანით* შეირყა, ახლა საბოლოოდ დაკარგა თავისი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა და სამყაროს განაწილება ძლიერ მეტოქესთან მოუხდა. *ცივილიზაცია და უკმაყოფილება*, რისი დიაგნოზიც ფროიდმა *სიამოვნების პრინციპის მეორე მხარეს* გამოსვლიდან ათი წლის შემდეგ დასვა, თავისი ღრმა მიზეზები აქვს; გარეთ მიმართული აგრესია, რომელსაც, ფროიდის თანახმად, ადამიანის ცხოვრებაში სრულიად ლეგიტიმური მოთხოვნები შეიძლება გააჩნდეს, კულტურის სამსახურში დგება და ითრგუნება, რასაც უეჭველად მოჰყვება – ვინაიდან ის ხომ სულ ვერ გაქრება – ის, რომ *მოხდება მისი ინტროაქცია, ღრმად გააზრება და იქ დაბრუნება, საიდანაც მოვიდა, ე. ი. ის დაუპირისპირდება საკუთარ ეგოს. იქ მას ეგოს ერთი ნაწილი მიიღებს, რომელიც როგორც სუპერეგო, დაუპირისპირდება დარჩენილ ნაწილს და როგორც „სინდისი" ეგოს მიმართ იგივე მკაცრ აგრესიულ მზადყოფნას გამოავლენს, რომელსაც ეგო სიამოვნებით განახორციელებდა სხვა, უცხო ინდივიდების მიმართ. დაძაბულობას მკაცრ სუპერ-ეგოს და მასზე დაქვემდებარებულ ეგოს შორის ჩვენ დანაშაულის შეგნებას ვუწოდებთ; ის ვლინდება როგორც დასჯის მოთხოვნილება.*[212] საკუთარი თავის სიღრმეში, ფროიდის აზრით, ინდივიდები გრძნობენ, რომ მათ დანაშაულის გრძნობის და თვითგვემის ბუნდოვან მოთხოვნას რაღაც საერთო აქვს იმ ღონისძიებასთან, რომელსაც ისინი კოლექტიური თვითშენარჩუნების მიზნით ხარკს უხდიან: ეს ღონისძიება არსებული კულტურაა. აქედან მოდის მისი უსიამოვნება, რაც კულტურის წინააღმდეგ გაუცნობიერებელ მტრობაში გამოიხატება.

ფროიდისთვის თავიდანვე ნათელი იყო, თუ რა ეფექტი ექნებოდა მის ინსტინქტთა თეორიულ რევოლუციას, რომლის ბიოლოგიური და ევოლუციურ-თეორიული სარჩული თვალში საცემი იყო და, რომელიც შოპენჰაუერის იდეით ხელმძღვანელობდა, რომ *სიკვდილი არის „ნამდვილი შედეგი" და ამდენად, სიცოცხლის მიზანია.*[213] ეს ის აზრი იყო, რომელიც მან შეცვლილი ფორმით რუს ანალიტიკოს ქალთან, იუნ-



საბინა შპილრაინი

გის მონაფე საბინა შპილრაინთანაც[214] ამოიკითხა. რამდენიმე წლის შემდეგ მან არაერთხელ გაიხსენა თავისი პროვოკაცია და რა წინააღმდეგობებს წააწყდა ის ამასთან კავშირში: *ვიხსენებ, თუ როგორ ვიცავდი თავს, როდესაც დესტრუქციის ინსტინქტის იდეა პირველად გამოჩნდა ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში, — სწორედ შპილრაინთან. — და რამდენი დრო დამჭირდა მის მისაღებად. ის, რომ სხვებიც უარყოფდნენ მას და ახლაც უარყოფენ, მე სულაც არ მიკვირს, რადგან ბავშვებს,* — აღნიშნავს მსუბუქი სარკაზმით ფროიდი, — *არ უყვართ ამის მოსმენა [. . .]*[215]

რასაკვირველია, ფროიდს გარკვეული დოზით თვითირონიაც ახასიათებდა, როდესაც ის თავისი ნაშრომის Jenseits des Lustprinzips (*„სიამოვნების პრინციპის მიღმა"*) ბოლოს ახდენს პოეტ ფრიდრიხ რიუკერტის ციტირებას: „რისი მიღწევაც ფრენით შეუძლებელია, კოჭლობით უნდა მოიპოვო [. . .]". ეს ნიშნავს, რომ კოჭლობა ცოდვა არ არის".[216] ზოგს ამ ციტატამ უნდა ასწავლოს თავის მეცნიერად წარმოდგენა და მისი სამეცნიერო მუშაობის სტილის შექმნა, ასევე მიუთითოს მის შიგნით არსებულ ეჭვზე საკუთარი თავის მიმართ (Selbstzweifel), რაც ფროიდის გვიანდელ ტექსტებში იგრძნობა, რომლებიც სულ უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებენ განყენებული წარმოდგენების მიმართ, მითოლოგიურის მიმართაც კი. ასევე, 1921 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში Massenpsychologie und Ich-Analyse („მასების ფსიქოლოგია და ეგო-ანალიზი") სულ უფრო ნაკლები

ყურადღება ეთმობა მცირე არგუმენტირებებსა და შეზღუდული გამოცდილების კავშირებს, იქნება ეს კლინიკური პრაქტიკა თუ კლინიკის გარე გამოცდილება. ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ მთლიან აღქმას და ამის განხორციელება მხოლოდ უაღრესად განყენებული ნარმოდგენის (სპეკულატური) ფორმით არის შესაძლებელი. არანაკლები ნვლილი შეიტანა ფროიდმა ამ ნაშრომით სოციალურ ფსიქოლოგიაში.[217]

ფროიდმა გუსტავ ლე ბონის „მასების ფსიქოლოგიას" (1895) მიმართა, გადმოიღო მისგან მასების ფენომენოლოგიის ცნება და შეუდგა იმ პრობლემების ახსნას, რომლებიც ლე ბონმა ვერ გადაჭრა. კერძოდ, თუ როგორ ხორციელდება მასების კავშირი ერთმანეთთან, მასებისა და ლიდერის ურთიერთობა, ასევე მასების მზადყოფნა დაემორჩილონ ერთი პიროვნების ავტორიტეტს (ან თუნდაც ისეთ აბსტრაქტულ იდეას, როგორიცაა ერი). აქ მას არაერთხელ დაეხმარა ლიბიდოს ცნება. რადგანაც, მისი აზრით, არსებობს *სასიყვარულო ურთიერთობები*, რომლებიც [. . .] *ადამიანის სულის არსს ქმნიან.*[218] იმისთვის, რომ მასაში იმოქმედო როგორც ცალკეულმა პიროვნებამ, – ფროიდი ამას ხელოვნური მასის ორ მაგალითზე, *ეკლესიასა და ჯარზე*[219] აზუსტებს – და გაჰყვე ლიდერს, საჭიროა ნინააღმდეგობებისაგან თავისუფალი დადებითი გრძნობების კავშირები, *იდენტიფიცირება,*[220] რომელიც გენეტიკურად უფრო ძველია, ვიდრე ოიდიპური ურთიერთობა, არის გრძნობათა კავშირების ყველაზე ადრეული და პირველყოფილი ფორმა. მაშინ, როდესაც ადამიანები, ჩვეულებრივ, როგორც ეს ფროიდმა აჩვენა შოპენჰაუერის ცნობილი *შემცივნებული მაჩვზღარბების*[221] შესახებ პარაბოლის მეშვეობით, თავს არიდებენ მეტისმეტად ინტიმურ სიახლოვეს თავის სნორებთან და ერთგვარ დისტანციას იცავენ, ეს აფექტი ძალას კარგავს. ობიექტთან იდენტიფიცირებით (თვით)კრიტიკული ინსტანციის ამოცანა საშუალებას აძლევს თითოეულს, ისევე როგორც ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ, გაიხსენოს ინფანტილური სიტუაცია და ამით თავიდანვე დანაშაულის გრძნობის გამოვლინებას ხელი შეუშალოს,



შანდორ ფერენცისთან ერთად, 1917 წ.

რაც ფროიდისათვის სიმწიფისა და კულტურის უნარს განასახიერებდა: *სიყვარულით დაპრმავება ყოველივე სინანულის გარეშე დამნაშავედ აქცევს ადამიანს [. . .]*.[222] 1930 წელს „ფიურერის პრინციპით“ გერმანელთა მიერ ბარბაროსობის მასობრივი გამოვლინების წინა დღეს თომას მანის მიერ გამოქვეყნებული ნოველა „მარიო და ჯადოქარი" პასაჟებად იკითხება – უპირველეს ყოვლისა, სადაც მანი „ფიურერ" ციპოლას ჰიპნოტიკურ ურთიერთობას აღწერს თავის მაყურებელთან – როგორც ლიტერატურული კომენტარი ფროიდის ნაშრომისათვის Massenpsychologie und Ich-Analyse („მასების ფსიქოლოგია და ეგო-ანალიზი“).

კიბოს პირველი ოპერაციის წელს ფროიდმა ახალ ინსტინქტთა თეორიას ნაშრომით Das Ich und das Es („ეგო და იგი (Id)“) ახალი ფორმულირება დაუყენა გვერდზე, რომელმაც არაცნობიერის, ქვეცნობიერისა და ცნობიერის განმარტება ახალი ფორმულირებით შეცვალა: იგი (Id), ეგო და სუპერეგო – ეს იყო ერთ-ერთი უკანასკნელი თეორიული სიახლე, რაც ფროიდმა შემოიტანა. ყველაფერი, რაც ამ ფუნდა-




ფროიდის
ყოველდღიური
ჩანაწერების
რვეული 1918 წ.

მენტურ ნაშრომს მოჰყვა, ეს კი ცოტა არ იყო, თავისუფლების ნიშანს ატარებს. თითქოსდა ფროიდმა კიბოს დიაგნოზის შემდეგ თავისთვის გადაწყვიტა საკუთარი თავისთვის ისეთი თემების შერჩევის თავისუფლება მიენიჭებინა, რომლებსაც ის ლიბიდოს თვალსაზრისით განიხილავდა: კულტურა, რელიგია, პრეისტორია, ლიტერატურა, არქეოლოგია, ებრაელობა. ინტერესთა ასეთ ცვლილებას ის ერთგვარი *რეგრესიული განვითარებით* ასაბუთებს. *მუდმივად შემოვლითი გზით სიარულის შემდეგ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მედიცინისა და ფსიქოთერაპიის გავლით, დავუბრუნდი იმ კულტურულ პრობლემას, რამაც ოდესღაც მიიზიდა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც მაშინ იწყებდა აზროვნებას.*[223] ეს ახალი თავისუფლება, რომლის უფლებაც ფროიდმა თავის თავს სიბერის ზღურბლზე მისცა, იმაშიც გამოიხატა, რომ კიბოსა და ექიმის მიერ მოწევის აკრძალვის მიუხედავად, თავის საყვარელ სიგარას ეწეოდა – ნიკოტინზე დამოკიდებულებასთან ბრძოლა პრაქტიკულად



ოტო დიქსი, ომისგან დასახიჩრებულები. 1920 წ.

მთელი მისი ზრდასრული ცხოვრების განმავლობაში გრძელდებოდა.

ფსიქიკურის ახალი ტოპოგრაფია, რომელიც სიზმართა ახსნის ძველ ტერმინოლოგიას (ტოპოგრაფიას) სრულიად ვერ ცვლის, მაგრამ ფარავს მას, ეგოს განსაზღვრავს როგორც იმას, რაც ფროიდისთვის ყოველთვის იყო ადაპტაციური ინსტანცია, რომელიც წვდება შინაგან გრძნობებს, აზრებს და ფანტაზიებს და ამუშავებს მათ, მაშინ როცა გარეთ ის რეალობის შემოწმების, ცენზურისა და მრავალფეროვნების სინთეზის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ ეგო ახლა ამასთანავე რაღაც სხვა არის და არა მხოლოდ ბიოლოგიური თვითგადარჩენის იარაღია, ვინაიდან მას ყოველი მხრიდან საფრთხე ემუქრება, ის თავის ადაპტაციურ ამოცანას საეჭვო შემთხვევაში არასრულყოფილად ასრულებს. *თავისი შუალედური მდგომარეობით იგი (Id) -სა და რეალობას შორის ის ხშირად განიცდის ცდუნებას, ემსახუროს საყვარულს, გახდეს ოპორტუნისტი და ცრუ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც კეთილგონიერების შემთხვევაში საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვება სურს. ორივე ინსტინქტს შორის [სიცოცხლის ინსტინქტი და სიკვდილის*

*ინსტინქტი] ის მიუკერძოებელი არ არის. იდენტიფიცირებისა და სუბლიმირების სამუშაოს შესრულებით მხარს უჭერს სიკვდილის ინსტინქტს იგი (Id)-ში ლიბიდოს დასაძლევად. მაგრამ ამ დროს აღმოჩნდება საფრთხის წინაშე, იქცეს სიკვდილის ინსტინქტის ობიექტად და თვითონ დაიღუპოს. თუ ის თვითონ უნდა აივსოს ლიბიდოთი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ამით ის ეროსის წარმომადგენლად იქცევა და მხოლოდ სიცოცხლისა და „სიყვარულის ობიექტად" ყოფნის სურვილი ექნება.*[224] თუ ეგო თავდაპირველად კონფლიქტის პარტნიორი იყო, ე. ი. შედარებით ავტონომიური ინსტანცია, რომელსაც კონფლიქტის საკუთარი თავის სასარგებლოდ გადაჭრა შეეძლო, ახლა ის ერთგვარ სათამაშო ბურთად იქცა სხვადასხვა სუ-ლიერი ძალების ხელში. სახიფათოა ეგოს არსებობა, რომელიც მოთავსებულია იგი (Id)-ს ცნებას, – რომელსაც ფროიდი გროდეკისგან იცნობდა, თუმცა მას ნიცშეს უკავშირებდა, რომელსაც ინსტინქტთა *დიდ რეზერვუარს*[225] უწოდებდა – და ტირანულ სუპერ-ეგოს შორის, რომელიც ემუქრება, კრძალავს და აკრიტიკებს. შესწევს თუ არა მას, როგორც ფროიდი წერს, იგი (Id)-ს დაპყრობის პროგრესული უნარი,[226] ღიად უნდა დარჩეს, როგორც საერთოდ ფროიდის მიერ *ეგოსა და იგი (Id)-ში* და ასევე 1920-იანი წლების მთელ რიგ მონათესავე ნაშრომებში – Die Verneinung, Hemmung, Symptom und Angst („უარყოფა, დაბრკოლება, სიმპტომი და შიში"), Fetischismus („ფეტიშიზმი") წამოჭრილი მრავალი საკითხი. გამოცანების დიდი ამომხსნელი ამასთანავე დიდი გამოცანების შემქმნელიც იყო.

## ოიდიპოსი კოლონოსზე
## დიდება, ემიგრაცია და სიკვდილი
## (1924-1939)

მრავალი უსიამოვნო მოვლენა ახლდა მისი სიცოცხლის უკანასკნელი თექვსმეტ წელს. ეს იყო მძიმე ოპერაციის შედეგები, უახლოესი მეგობრის ოტო რანკის წასვლა, რომელსაც ის მუდამ განსაკუთრებით მფარველობდა, მისი ბერლინელი წარმომადგენლის კარლ აბრაჰამის სიკვდილი და სულ უფრო მზარდი გაუცხოება შანდორ ფერენცის მიმართ (*მკურნალობისა და დახმარების მოთხოვნილება მასში უკიდურესად გაძლიერდა*[227]). ამ წლებს ლონდონის ემიგრაციაში სიკვდილამდე ფროიდი, ალბათ, ვერც გადაიტანდა მისი ქალიშვილის ანას თანადგომის გარეშე. მასში იპოვა ფროიდმა „იდეალური პარტნიორი" (აისლერი), ქალიშვილი, თანამშრომელი, სათნოების და ემოციური საყრდენი ერთდროულად. *იმას, რაც ჯერ კიდევ სასიხარულო დამრჩა, ანა ჰქვია,* – წერდა ის 1935 წელს თავის *საყვარელ ლუს, გასაოცარია, რამ-*




მაქს ერნსტი, ოიდიპოსი. 1931 წ (Cahiers d'Art-ის სპეციალური ნომრის ყდა,პარიზი 1937 წ.).

*დენი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა მან ანალიტიკოსთა საზოგადოებაში [. . .]*[228] და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მარი ბონაპარტეს გამოუტყდა: *[. . .] მე სულ უფრო ვკარგავ დამოუკიდებლობას და მასზე დამოკიდებული ვხდები.*[229] უკვე ადრევე გახდა ნათელი, რომ ფროიდს განსაკუთრებული გრძნობები აკავშირებდა თავის უმცროს ქალიშვილთან, რასაც ის, თავის მხრივ, მხურვალედ პასუხობდა. ანა მასწავლებელი გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა მამის სამუშაოსა და ნაშრომების მიმართ და ფროიდმა 1918-სა და 1924 წლებს შორის ის ანალიზში ჩართო. ანას სურვილს, გამხდარიყო ფსიქოანალიტიკოსი და შეესწავლა მედიცინა, ფროიდი მისთვის დამახასიათებელი მოთხოვნით შეხვდა. ანა მოყვარული ანალიტიკოსის გზას უნდა დასდგომოდა – ანა ფროდი, რომელმაც მოგვიანებით, როგორც ბავშვთა ანალიტიკოსმა, ბრწყინვალე სახელი მოიხვეჭა, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, ვისაც ფროიდმა მედიცინაზე ხელი აალებინა. ის, რომ ანა გაუთხოვარი დარჩა (რაც ფროიდს ერთ ხანს ძალიან აწუხებდა) და თავისი თავი საკუთარი საქმის გვერდით, რომელსაც ის მამისაგან შესამჩნევი ინტელექტუალური დამოუკიდებლობით ასრულებდა, რითაც ფროიდი არანაკლებ ამაყობდა, მთლიანად მამას უძღვნა, *ანტიგონეს*[230] სურათს შეესაბამება, რომელიც ბრმა მეფე ოიდიპოსს ხელჩაკიდებულს დაატარებდა. ნამდვილად დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ 1930 წელს, როდესაც ფროიდს გოეთეს პრემია მიანიჭეს მაინის ფრანკფურტში, ანამ, როგორც მამის წარმომადგენელმა, პრემია მიიღო და მისი სამადლობელი სიტყვა წაიკითხა. ფროიდისთვის პრემიის გადაცემა მწერალ ალფრედ დიობლინის შუამდგომლობით მოხდა, რადგან საერთოდ ინტელექტუალები და ლიტერატორები აშკარად ყველაზე უფრო ენერგიულად მოით-


ალფრედ დიობლინი



ანა ფროიდი. 1925 წ.

ხოვდნენ ფროიდის ნაწარმოებების აღიარებას.[231]

გასაოცარია, რომ ფროიდი, ასაკითა და ავადმყოფობით განპირობებული შეზღუდვების მიუხედავად, საკმაოდ ცნობისმოყვარე და მებრძოლი აღმოჩნდა და ოციანი წლების შუახანებში ჩაერთო ფსიქოანალიტიკურ დებატებში, უპირველეს ყოვლისა, *არაპროფესიონალთა ანალიზის საკითხზე,* რომელიც, როგორც ვნახეთ, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო (და დღესაც წარმოადგენს ფსიქოანალიზის ღია ჭრილობას). როდესაც ერთ-ერთი მისი ვენელი მიმდევარი, ლიტერატურათმცოდნე თეოდორ რაიკი (მან, სხვათა შორის, დაწერა წიგნი „არტურ შნიცლერი, როგორც ფსიქოლოგი" და ამით ფროიდის სანუკვარი ოცნება შეასრულა) ექიმბაშთა პროცესში გაება, ფროიდმა ეს მეორეხარისხოვანი შემთხვევა საბაბად გამოიყენა საკითხის გასარკვევად, აქვთ თუ არა არაექიმებს *ანალიზის წარმოების უფლება.*[232] ფროიდის პოზიცია ამ საკითხის მიმართ ყოველთვის ნათელი იყო. მისთვის ფსიქოანალიზთან დაკავშირებით საზღვარი გადიოდა არა ექიმებსა და არაექიმებს შორის, არამედ უფრო მეცნიერებასა და განსხვავებულ – საექიმო ან არასაექიმო – გამოყენებას შორის. 1925 წელს შექმნილ Selbstdarstellung-ში („ავტოპორტრეტი") ნათქვამია: *უკვე შეუძლებელი*

*გახდა ფსიქოანალიზის გამოყენება მხოლოდ ექიმთა პრეროგატივად მივიჩნიოთ და არაპროფესიონალები გამოვრიცხოთ. სინამდვილეში ექიმი, რომელსაც განსაკუთრებული განათლება არ მიუღია, მიუხედავად თავისი დიპლომისა, შეიძლება დილეტანტი იყოს ანალიზში და არაექიმს კი, შესაბამისი მომზადებითა და აუცილებლობის შემთხვევაში ექიმის დახმარებით შეუძლია ნევროზების მკურნალობა.*[233] ერთი წლის შემდეგ მან კატეგორიულად მოითხოვა: *არის თუ არა ეს პიროვნება*, რომელიც ფსიქიკურ ავადმყოფს მკურნალობს, *ექიმი, თუ არ არის, ჩემთვის მეორეხარისხოვანია.*[234] რადგნაც *სულაც არ არის [. . .] სასურველი, რომ ფსიქოანალიზი მედიცინამ ჩაყლაპოს და შემდეგ მას ადგილი ფსიქიატრიის სახელმძღვანელოში მიუჩინოს.*[235] ფროიდის მხურვალე მხარდაჭერამ არაექიმების მიმართ, რომელთა შორისაც ის, ალბათ, არაცნობიერის შესახებ მეცნიერების მომავლის გარანტიებს ხედავდა, როგორც ცნობილია, თითქმის არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ზოგიერთი მისი საუკეთესო და გავლენიანი მომხრე, როგორც აბრაჰამი და ჯონსი, სკეპტიკურად უყურებდნენ არაპროფესიონალთა ანალიზს, უარყოფითადაც კი. და ფროიდის ისედაც ძლიერმა უკმაყოფილებამ ამერიკის მიმართ დამატებითი მიზეზი მოიპოვა, ვინაიდან სწორედ ამერიკელი ანალიტიკოსები ყველაზე თანმიმდევრულად მოითხოვდნენ არაპროფესიონალთა გამორიცხვას. ეს ბრძოლა ფროიდმა წააგო – და ეს იქცა დამარცხებად, რომელსაც მისი საქმისათვის საზიანო შედეგები მოჰყვა.

ამასობაში ფროიდი კვლავ დაუღალავად იბრძოდა. 1927 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი Die Zukunft einer Illusion („ერთი ილუზიის მომავალი“) – ტონით დამთმობი, არგუმენტირების არსით კი რელიგიასთან ანგარიშსწორება – აქ, ფროიდმა თავის მოუყარა ყველაფერს, რამაც ახალგაზრდობის დროიდან მის სულს დაღი დაასვა. ისევე, როგორც XVIII და XIX საუკუნეების მატერიალისტ განმანათლებელთათვის, დიდროთი და ვოლტერით დაწყებული, ფოიერბახისა და დარვინის ჩათვლით, თვით ჰეკელით და ჰელმჰოლცით დამთავრებული, რომელთა მიმდევრადაც თვლიდა თავს, ასევე მისთვისაც მისაღები



ზიგმუნ ფროიდი ფსიქო-ანალიტიკოსების მე-6 საერთაშორისო კონ-გრესზე ჰააგაში, 1920 წ

იყო მარქსის ძირითადი პრინციპი, რომ „რელიგიის კრიტიკა არის ყოველი კრიტიკის ნინაპირობა".[236] რადგანაც მეცნიერება და რელიგია შეუთავსებელია, ამიტომ ფროიდისათვის მისი მეცნიერება, ფსიქოანალიზი, თავისუფალია ყოველგვარი რელიგიოზური ნალექებისაგან, ანუ თავისუფალია ილუზიისაგან, თითქოს არსებობდეს რაღაც ინსტანცია, რომელიც სამყაროს მეცნიერულ სურათს სცილდება. ეს, პირველ რიგში, მისი მეგობრის, შვეიცარიელი მღვდლის ოსკარ პფისტერისადმი იყო მიმართული: *სამეცნიერო მუშაობა არის [. . .] ჩვენთვის ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს ჩვენს გარეთ არსებულ რეალობასთან.*[237] თუმცა ფროიდი აღიარებს, რომ, როგორც ფსიქოლოგი, გაგებით ეკიდება ადამიანების რელიგიური მოთხოვნილებების გამოხატვას, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ძნელია აღიარო საკუთარი უმნეობა და *უმნიშვნელობა სამყაროს ორომტრიალში, მაგრამ ხომ მართალია, რომ ინფანტილიზმი დასაძლევად არის განწირული.*[238] არც ერთ სხვა ნაშრომში ფროიდი ასე აშკარად არ უხდის ხარკს თავის ღმერთს Λόγος[239] და *ინტელექტის პრიმატს;* მისი ხმა შეიძლება ძალიან ჩუმი იყოს, *მაგრამ არ მოისვენებს, სანამ ყურადღებას არ მიიპყრობს.*[240] ათეულობით წლის განმავლობაში, ფროიდის შემდეგ, მას შემდეგ, რაც უდავო გახდა

კავშირი გონებასა და უგუნურობას შორის, მეცნიერებას, განდიდების მანიას და დესტრუქციობას შორის, ასეთი გონებრივი ოპტიმიზმი ანაქრონიზმად ითვლება. ფროიდისთვის კი ეს ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია საკუთარი თავის მეცნიერად გააზრებისათვის. აქ საჭიროა დავუმატოთ, რომ როდესაც ის *ილუზიის მომავალზე* ფიქრობდა, საუკუნის ყველაზე საშინელი კატასტროფის აქეთა მხარეს იდგა: აუსშვიცის (ოსვენციმის), ჰიროსიმასა და კოლიმას აქეთა მხარეს. ექსტრემიზმის ხანა სწორედ მაშინ იწყებოდა და „გონების დაბნელება" (მაქს ჰორკჰაიმერი) ჯერ არ დასრულებულიყო.

ფროიდის მიერ მეცნიერების რელიგიის რანგში აყვანა და მისი ურყევი ათეიზმი ფსიქოანალიზის შექმნაზე უფრო ძველი იყო, რაც კარგად ჩანს მისი წერილებიდან ედუარდ ზილბერშტაინისადმი: *„ჩვენ ერთნაირად ვჭამთ კვირა დღეს და დღესასწაულის დღეებშიც. მაგრამ ღვთისმოშიშები ჩვენგან განსხვავებით თვლიან, რომ ამით კარგი საქმე ჩაიდინეს. ხოლო ჩვენ, ერისკაცები დარწმუნებული ვართ: ჩვენ ერთი კარგი ულუფა მივირთვით.*[241] ორივე, დოგმატური რწმენა მეცნიერებაში და ყოველგვარი რელიგიის უარყოფა, მათ შორის ებრაულისაც, მას სულაც არ უშლიდა ხელს, კატეგორიულად მოეხდინა საკუთარი თავის იდენტიფიცირება იუდეველობასთან. რაც უფრო ზემოთ სწევდა თავს აშკარა და აგრესიული ანტისემიტიზმი, მით უფრო ჯიუტად აღიარებდა ფროიდი თავის წარმომავლობას – თავგანწირული და ასიმილატორული ტენდენციები მისთვის, ვინც თავს დავალებულად თვლიდა გერმანული და ანგლოსაქსური კულტურის წინაშე, მიუღებელი იყო. *თუმცა ჩემი წინაპრების რელიგია ჩემთვის დიდი ხანია გაუცხოვდა, მე არასოდეს დამიკარგავს ჩემს ხალხთან იდენტურობის გრძნობა [. . .].*[242] როდესაც მან პფისტერისადმი მიწერილ წერილში თავის თავს *სრულიად უღმერთო ებრაელი*[243] უწოდა, ამ დახასიათებაში ებრაელობის აღიარება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ათეიზმის. ფროიდი უკანასკნელ დიდ ნაწარმოებში Der Mann Moses und die monotheistische Religion („ადამიანი მოსე და მონოთეისტური რელიგია") მითოლოგიურ მოსეს წარმოაჩენს წარჩინებულ, ეგ-



ოსკარ ნემონი აკეთებს ფროიდის ბიუსტს.

ვიპტური წარმოშობის მქონე პიროვნებად და ამით, სულ ცოტა, თაობათა შორის კავშირის წყვეტასა და მამის ტრადიციების ტვირთისაგან გათავისუფლების პოსტულირებას ახდენს. ამ ნაწარმოებში ფროიდმა უკანასკნელად გამოხატა თავისი დამოკიდებულება იუდეიზმის მიმართ. თუკი ფროიდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, როგორც ებრაელი, მედგრად უპირისპირდებოდა მტრულ სამყაროს – სიამაყე ფროიდს არასოდეს აკლდა – ახლა კი *მოსეში* მისი დამოკიდებულება ეგვიპტის ებრაელ მონათა მიმართ შესუსტებული და წინააღმდეგობრივი იყო. თუ ვიხელმძღვანელებთ ფროიდის აშკარა იდენტიფიცირებით მოსეს, როგორც *განმათავისუფლებლის, კანონმდებლისა და რელიგიის შემქმნელის*[244] სახესთან, რაც კიდეც აშკარად ჩანს მისი ნაშრომიდან Moses des Michelangelo („მიქელანჯელოს მოსე"), მაშინ თავისთავად ჩნდება ფსიქოლოგიური დასკვნა, რომ ფროიდი თავისი გრძნობების ამ დონეზე უფრო მეტ დისტანციას იცავს თავისი ერის მიმართ. ვინაიდან

ეს ერი შეზღუდული და მერყევია, მას გამუდმებით ექვი უჩნდება თავისი წინამძღოლის მოსეს და მისი ღმერთის გადაწყვეტილებების მიმართ და ამასთანავე, კერპებს სცემს თაყვანს – ზუსტად ისე, როგორც შტეკელი, ადლერი და იუნგი, როგორც რანკი და ფერენცი და სხვა მრავალი, ვინც მერყეობა დაიწყო და გადაუხვია ფროიდის მონოთეისტურ კანონებს. *თუ მოსე ეგვიპტელი იყო...*,[245] ფროიდის ჰიპოთეზის თანახმად, რომელსაც ის სრულიად მოულოდნელად მაქს ვებერთან ერთად იზიარებს, რომელმაც თავის ნარკვევში ანტიკური ხანის ებრაელობის შესახებ ასევე მოსეს არაებრაული წარმომავლობა ივარაუდა, ე. ი. *თუ მოსე ეგვიპტელი იყო*,[246] მაშინ ფროიდი არ იყო ებრაელი. ამის საფუძველი აშკარაა: *მოსეს ებრაელ ერს, ისევე როგორც მე-18 დინასტიის ეგვიპტელს არ შეეძლო* (აქ უნდა დავუმატოთ; როგორც ფროიდის მრავალ მომხრეს, ეს გამოჩნდა, მაგალითად, არაპროფესიონალთა ანალიზის საკითხისათვის ბრძოლაში ან თუნდაც სიკვდილის ინსტინქტის გარშემო ხანგრძლივ დებატებში, სადაც მათი სახე გამოაშკარავდა) *ასეთი მაღალი სულიერების მქონე რელიგიის ატანა. მის არსში თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება*. და შემდეგ ფროიდი უბრუნდება ერთ-ერთ თავის საყვარელ ძველ ანთროპოლოგიურ იდეას და წერს, რომ *ველურმა სემიტებმა* საკუთარი ბედი თავის ხელში აიღეს და ტირანი მოსე მოკლეს,[247] ისე როგორც

მართა ბერნაისი, მისი და მინა, ზიგმუნდ ფროიდი. 1929 წ.



*ტოტემი და ტაბუ-ში* საძმომ თავიდან მოიშორა სექსუალურად მოძალადე მამამთავარი, რათა ამიერიდან საკუთარი დანაშაული მოენანიებინა.

ეს იყო ფროიდის უკანასკნელი სიტყვა ებრაელობაზე და მან მოწონება დაიმსახურა. როდესაც „მოსე" 1939 წელს, უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის წინ, ერთდროულად გამოჩნდა ამსტერდამის ემიგრაციულ გამომცემლობაში „Allert de lange" გერმანულ ენაზე და „Leonard Woolfs Hogarth Press"-ში ინგლისურ ენაზე, სწორედ ამ დროს გერმანელი და ავსტრიელი ებრაელობა საშინელი რეპრესიების წინაშე აღმოჩნდა. ფროიდის ბევრი მიმდევარი – აიტინგონი, ფენიხელი, რაიხი, რაიკი, ზაქსი – 1933 წლამდე ცოტა ხნით ადრე ან მის შემდეგ ემიგრაციაში წავიდნენ. თვითონ მან კი ოჯახთან ერთად ვენა 1930 წლის ადრეულ ზაფხულს დატოვა და ლონდონს შეაფარა თავი; გერმანიისა და ავსტრიის ფსიქოანალიტიკური საზოგადოებები 1936 და 1938 წლებში დაშალეს და ნაცისტებმა მისი საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური გამომცემლობის ლიკვიდირება მოახდინეს. ასეთ სიტუაციაში ისეთი წიგნის, როგორიცაა Der Mann Moses („ადამიანი მოსე") ზოგს შეიძლება იმის ნიშნად მიეჩნია, რომ ფროიდი დევნილ ებრაელობას სოლიდარობას არ უცხადებდა.

თითქმის ათი წლით ადრე ფროიდმა ის ნაწარმოები შექმნა, რომელიც „სიზმრების ახსნასთან" ერთად მის ყველაზე ცნობილ ნაშრომად იქცა – Das Unbehagen in der Kultur („უკმაყოფილება კულტურაში", 1930). მხოლოდ აქ ვლინდება სრული თანმიმდევრობით, თუ რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ფროიდმა ნაწარმოებში Jenseits des Lustprinzips („სიამოვნების პრინციპის მიღმა) ადამიანური არსებობა უმეტესად სიამოვნების პრინციპისა და სურვილების ასრულების კანონის მორჩილებაში მყოფად მოიაზრა, რომელიც თუმცა უამრავ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაინც მთელი ძალით და ქედუხრელად ცდილობდა ანგარიშგასაწევ მოვლენად დარჩენილიყო, შეუძლებელი იყო ინდივიდისათვის იმ ტრაგიკული ნიშნების მინიჭება, რომლებიც ფროიდს აუცილებლად მიაჩნდა. ის (ინდივიდი) ვერ გაუძლებდა იმ შეზღუდვებს,

რაც ლიბიდოს რეალობის პრინციპმა და კულტურულმა ნორმებმა მოახვიეს თავს – და ფროიდიც გამუდმებით წერდა და ჩიოდა ამის შესახებ მრავალ თავის ადრეულ ნაშრომში, თუნდაც თხზულებაში *კულტურული სექსუალური მორალის შესახებ;* თუმცა მას (ინდივიდს) ასევე შეეძლო მისგან თავი დაეცვა; მაგრამ მაინც, ორი თანაბარ სიძლიერის პროტაგონისტის, ეროსის და თანატოსის (სიკვდილის) დამკვიდრებით, რომლებიც ერთდროულად ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და ერთად მოქმედებდნენ, – *მთელი ცხოვრების მიზანი სიკვდილია,*[248] – ნათქვამია ნაშრომში „სიამოვნების პრინციპის იქითა მხარეს", – ადამიანი აღარ არის მოსურნე ცხოველი, არამედ ის ტრაგიკული ცხოველია, რომელიც ბერძნული ტრაგედიის გმირის მსგავსად გარდაუვალ ბედისწერას ემორჩილება, რომლის ბოლოს აღსასრული დგას. ვინაიდან მთელ ადამიანურ არსებობას წინ უძლოდა დანაშაული და ვინაიდან კულტურა, რომელიც ადამიანებმა შექმნეს როგორც ცხოვრებისეული გასაჭირის საწინააღმდეგო ღონისძიება, დანაშაულს და შემდგომ სინანულს ეფუძნება, ამიტომ ადამიანი, ისევე როგორც კულტურა, მარცხისთვის არის განწირული. ადამიანს არაფერს მისცემს ის, რომ მან მეცნიერების და ტექნიკის წყალობით Prothesegott[249] (ღმერთი-პროთეზი) შექმნა, რომელმაც შეძლო ბუნების დამორჩილება. ბუნება არავის ემორჩილება, რადგან სიკვდილის ინსტინქტის ჩუმი სამუშაო შეუჩერებლად მიმდინარეობს. ეს არის ულრმესი მიზეზი ადამიანის საყოველთაო „უკმაყოფილება კულტურაში" (Unbehagen in der Kultur).[250] თავდაპირველად ფროიდი აპირებდა, როგორც ამას აიტინგენი გვამცნობს, თავის წიგნისთვის, რომლის წარმატებაც მისთვის საეჭვო იყო, დაერქმია Das Unglück in der Kultur („უბედურება კულტურაში") და ეს სათაური, ალბათ, სწორი იქნებოდა, რადგანაც ერთ-ერთი კვინტესენცია, რომელიც ფროიდმა ადამიანისა და კულტურის დილემიდან მიიღო, ასე ჟღერს: „*შექმნის*" *გეგმაში* არ იყო ჩადებული, რომ ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს, რომ ბედნიერება მხოლოდ *ეპიზოდური ფენომენის სახით არის შესაძლებელი.*[251] მაგრამ მიუხედა-



ალბერტ აინშტაინი და მისი ცოლი ელზა.

ვად მისი პესიმისტური და უიმედო თვალსაზრისისა, კულტურის წინააღმდეგობრივ ბუნებასა და ინდივიდის აუტანელ მტრულ დამოკიდებულებაზე მის მიმართ, მიუხედავად მისი რეალისტური ვარაუდისა, რომ შეუძლებელია აგრესიების გაქრობა, ანუ თითქოს განზრახ, მიუხედავად ამის ცოდნისა (რომელიც მან, პირველ რიგში, ბიოლოგიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისიდან სიცოცხლის გულგრილობის და უმნიშვნელობის შესახებ მიიღო) ფროიდი მაინც დაჟინებით განაგრძობდა ცივილიზაციის პროექტის სრულყოფას და მოითხოვდა, რომ გააზრების საშუალებით ყოფილიყო შესაძლებელი გარდაუვალი დანაშაულის გრძნობა ჩაეყენებინა ცივილიზაციის პროგრესის სამსახურში. *ადამიანები,* – ასე მთავრდება Das Unbehagen in der Kultur („უკმაყოფილება კულტურაში“), – *ისე შორს წავიდნენ ბუნების ძალების დამორჩილებაში, რომ მათი დახმარებით ადვილად შეუძლიათ ერთმანეთის უკანასკნელ ადამიანამდე განადგურება. მათ ეს იციან, აქედან მოდის დიდი ნაწილი მათი ახლანდელი*

*მღელვარებისა, მათი უბედურების, მათი შიშის.* მართლაც, წინასწარმეტყველური სიტყვებია, *და ახლა მოსალოდნელია, რომ მეორე „ორი ზეციური ძალიდან", მუდმივი ეროსი, მოინდომებს გაიმარჯვოს ბრძოლაში მის ასევე უკვდავ მეგობართან.* 1931 წლის მეორე გამოცემაში ფროიდმა სკეპტიკური კითხვა ჩაუმატა: *მაგრამ ვის შეუძლია წარმატებისა და დასასრულის წინასწარმეტყველება?.*[252]

ფროიდის თავშეკავებული ოპტიმიზმი, რომ „მუდმივი ეროსი", ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს, კიდევ ერთხელ იჩენს თავს 1932 წელს ალბერტ აინშტაინისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ის ცდილობს დაარწმუნოს თავისი სახელგანთქმული რესპონდენტი, რომ ძალაუფლებიდან სამართლისაკენ „bellum omium contia omnes"-დან* ინდივიდების და ერების მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ გზის წარმატებით გავლა შესაძლებელი იქნებოდა, თუ ცივილიზაციის პროცესი შეუქცევადი გახდებოდა. ეს პროცესი – და აქ ფროიდი ეწინააღმდეგება პრინციპში ყველაფერს, რაც მან ცივილიზაციაში უარყოფითის და საზიანოს არსებობის შესახებ თქვა – იზრუნებდა *ინტელექტის თანდათანობით გაძლიერებაზე, აგრესიისადმი მიდრეკილების გაცნობიერებაზე*




ალბერტ აინშტაინი, ზიგმუნდ ფროიდი. მიმოწერა: რატომ ომი?



ნორბერტ ელიასი.
გ. ფროინდის ფოტო.
1935 წ.

და ბოლოს, იმ *ფსიქიკურ განწყობამდე მიგვიყვანდა, რასაც შედეგად ომის მიმართ შეუწყნარებლობა* მოჰყვებოდა, *ყველაფერი, რაც ცივილიზაციის განვითარებას უწყობს ხელს, ომის წინააღმდეგ მუშაობს.*[253] რამდენად უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს ფროიდის კულტურულ-ოპტიმისტური პერსპექტივები XX საუკუნის ფონზე, – საერთოდ პერსპექტივები, რომლებსაც მასზე 40 წლით უმცროსი ჰუმანიტარი (Menschenwissenschaftler) ნორბერტ ელიასიც იზიარებდა, – როდესაც ის თვლის, რომ შესაძლებელია ინდივიდის გათავისუფლება აგრესიისაგან ერთგვარი ევოლუციური განვითარების შედეგად (ალბათ, ფროიდი საკუთარ თავს და მის მსგავს ადამიანებს გულისხმობდა, ერთგვარ ელიტას, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა *ბრბოსაგან*[254]), იმდენად აშკარად სალი და რეალისტურია მის მიერ საბჭოთა კავშირში *დიდი კულტურული ექსპერიმენტის*[255] შეფასება. მან კატეგორიულად *უარყო, რომ ბოლშევიკების მიერ მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების გარანტიებით და საზოგადოების წევრთა გათანაბრებით შესაძლებელი იყოს ადამიანური აგრესიის გაქრობა. მე ეს ილუზიად მიმაჩნია.*[256] *ისტორიის განვითარებამ დაამტკიცა, რომ ფროიდი მართალი ალმოჩნდა.*

ოცდაათიან წლებში პოლიტიკური ჰორიზონტის სწრაფი დაბნელება ისედაც მცირე საფუძველს ტოვებდა იმისათვის, რომ ფროიდის მიერ პოსტულირებული *ფსიქოლოგიური იდეალი, ინტელიგენტობის პრიმატი*[257] რეალისტურ პერსპექტივად მიჩნეულიყო. ადოლფ ჰიტლერის რაიხსკანცელარია 1933 წლის 30 იანვრიდან გერმანიაში და უშუალოდ ამასთან დაკავშირებული პოლიტიკური ძვრები მარცხნივ კლერიკალ-ფაშისტური კორპორაციული სახელმწიფოსაკენ ავსტრიაში (რომელსაც ფროიდი ნაკლებ ბოროტებად თვლიდა) პირიქით ადასტურებენ იმის საშიშროებას, რომ გონიერება გარკვეული დროით გაქრებოდა შუაევროპული სცენიდან. როდესაც 1933 წლის მაისში ფანატიკურად განწყობილმა ნაციონალ-სოციალისტთა ბრბომ ბერლინში, მიუნჰენსა და სხვა გერმანულ ქალაქებში კოცონზე დაწვა ჰაინრიხ ჰაინეს და კარლ მარქსის, ჰაინრიჰ მანისა და კურტ ტუხოლსკის, ფრანც კაფკასა და ასევე მისი, ფროიდის ნაწარმოებები, მას ჯერ კიდევ შერჩენოდა სარკაზმი ამასთან დაკავშირებით: *რა პროგრესია! შუა საუკუნეებში მე დამწვავდნენ, დღეს კი წიგნების დაწვით კმაყოფილდებიან.*[258] იუმორი მას მძიმე წუთებშიც არ დაუკარგავს: *შექსპირმა „ზაფხულის ღამის სიზმარში" ერთ ქალს ვირი შეაყვარა, რამაც ყველა გააკვირვა. ახლა კი ნახეთ, 65 მილიონიანმა ერმა....*[259]

ფროიდის დამოკიდებულება სახიფათო პოლიტიკურ განვითარებასთან გერმანიასა და ავსტრიაში წლების განმავლობაში გულგრილი და დისტანციური იყო. მისი ზომიერად სოციალურ-ლიბერალური შეხედულებების გამო, რითაც ის ოციან წლებში „წითელი ვენის" პოლიტიკურ ატმოსფეროს კარგად მოერგო, მისგან უფრო მეტ თანაგრძნობას მოელოდნენ დევნილი ავსტრიული მუშათა მოძრაობის მიმართ. და ის, რომ ეს არ მოხდა, უფრო მეტიც, მასში ერთგვარი პოლიტიკური კვიეტიზმიც (პასიურობა) კი იგრძნობოდა, რის გამოც მან სათანადოდ ვერ შეაფასა ის საფრთხე, რომელიც მას და მის ოჯახს ემუქრებოდა, აიხსნება მისი ნაკლებ იღბლიანი მოქმედებით, როდესაც საქმე ეხებოდა გერმანიაში ებრაელ ანალიტიკოსთა ბედს. ნაცვლად იმისა, რომ




ჯონ ჰარტფილდის ფოტომონტაჟი. „AIZ (მუშათა ილუსტრირებული გაზეთი)" №18. 1933 წ

წიგნების დაწვა ბერლინში 1933 წლის 10 მაისს.

უკომპრომისოდ დაეცვა მათი ინტერესები, ის ჯონსთან ერთად, რომელიც მაშინ საერთაშორისო გაერთიანების პრეზიდენტი იყო, გულგრილად და ათასი დათმობებით მოქმედებდა – ებრაელების ხარჯზე. ეს ვილჰელმ რაიხსაც, აღიარებულ კომუნისტს შეეხო, რომელიც სწორედ ამის გამო ფროიდის მიმნებებლობით, ან იქნებ სულაც თანხმობით, გაირიცხა გაერთიანებიდან. მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო, როდესაც ფსიქოანალიზი გერმანიასა და ავსტრიაში პრაქტიკულად განადგურებული იყო, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ფროიდს სულ რამდენიმე წლის სიცოცხლე დარჩენოდა და მას ეს სულ უფრო მეტი ტანჯვის ფასად უჯდებოდა, რასაც ის საოცარი სტოიციზმით იტანდა და განაგრძობდა მუშაობას, თავის უკვე საერთაშორისო მიმოწერის მოწესრიგებას და თავის ანტიკვარიატის კოლექციაზე ზრუნვას. 1933 წელს მან გამოაქვეყნა ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი წიგნი Neue Folge der Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse (ლექციათა ახალი ციკლი ფსიქოანალიზის შესავლისთვის), სადაც მისი ანდერძი მემკვიდრეებისადმი თითქოს ქვაზე ამოტვიფრული სიტყვებით არის გადმოცემული: *ფსიქოანალიზის განზრახვაა „ეგოს გაძლიერება, მისი სუპერ-ეგოსაგან გათავისუფლება, მისი აღქმის ველის გაფართოება და მისი განვითარება, ისე, რომ მან შეძლოს იგი (Id)-ს ახალი ნაწილების შეთვისება. იქ,*



*სადაც იყო ივი (Id) უნდა იყოს ეგო.* და შემდეგ ამას მოჰყვა ფროიდის ცნობილი მეტაფორა, რომელსაც სხვადასხვა ინტერპრეტაციას უკეთებდნენ: *ეს ისეთი კულტურული სამუშაოა, როგორიც თუნდაც სიდრის ზღვის (Zuydersee) დაშრობა.*[260]

1936 წლის 6 მაისს, დაბადებიდან ოთხმოცი წლისთავზე, ფროიდს, რომელიც მსგავსი რამით განებივრებული არასოდეს ყოფილა, განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად. ას ოთხმოცდათერთმეტმა მწერალმა და ხელოვანმა მას მისალოცი ადრესი გადასცა, რომელიც თომას მანმა და შტეფან ცვაიგმა შეადგინეს. ოდნავ მოგვიანებით მანი პირადად ჩავიდა ვენაში და სახლში ბერგშტრასე 19-ში დატოვა თავისი მოხსენება „ფროიდი და მომავალი". და ბოლოს, ივნისის მიწურულს ფროიდი ექსკლუზიური სამეფო საზოგადოების (Royal Society) წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს – *Foreign member of Royal Society (სამეფო საზოგადოების უცხოელი წევრი),*[261] როგორც მან ამაყად და ლაკონურად ჩაწერა თავის დღიურში.

მაგრამ *Finis Austriae*, მისი ბურჟუაზიული სამყაროს დასასრული შეუჩერებლად ახლოვდებოდა. 1938 წლის 13 მარტს მან იმავე Kürzeste Chronik-ში („უმოკლესი ქრონიკა") ჩაწერა: *გერმანიასთან მიერთება,* 14-ში: *ჰიტლერი ვენაში,* თითქმის ერთი კვირის შემ-

დეგ *ანა გესტაპოში.*[262] ახალი ხელისუფლების მხრიდან მისი საყვარელი შვილის რეპრესირებამ ფროიდი საშინლად შეაშინა – ახლა საბოლოოდ დადგა დრო, *ციხე-ვენა* დაეტოვებინა. და ფროიდს თავისი ახლობლების გადარჩენასთან ერთად კიდევ ერთი პირადი სურვილი ჰქონდა: *to die in freedom*, სიკვდილი თავისუფლებაში. *ზოგჯერ ჩემ თავს მოხუც იაკობს ვადარებ, რომელიც შვილებმა, უკვე ხნიერი, ეგვიპტეში წაიყვანეს [. . .]. იმედია, ამას არ მოჰყვება, როგორც ოდესღაც, ეგვიპტიდან გამოსვლა". დადგა დრო, რომ აპასვერმა სადმე სიმშვიდე ჰპოვოს.*[263]

მარი ბონაპარტეს და ერნესტ ჯონსის უანგარო დახმარებით და ასევე უმაღლესი დიპლომატიური დონის ჩარევის წყალობით შეძლო ფროიდმა და მისმა ოჯახმა 1938 წლის ივნისს პარიზის გავლით ინგლისში ჩასვლა, სადაც მათ თავი შეაფარეს მშვენიერ სახლს მარესფილდ გარდენის 20-ში, დღევანდელ ფროიდის მუზეუმში. ფროიდი კი ჯერ არ ნებდებოდა. ის განაგრძობდა მუშაობას ნანარმოებზე „ადამიანი მოსე" („Mann Moses"), რომლის გამოქვეყნებასაც მოესწრო და წერდა Abriss der Psychoanalyse-ს („ფსიქოანალიზის მიმოხილვა"), რომელიც მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომის ინგლისური ვერსია ეკუთვნოდა ჯეიმს სტრეჩს, რომელიც 20-იან წლებში ვენაში მისი პაციენტი იყო. ბოლო წუთამდე ფროიდი ცხოვრობდა აქტიური ცხოვრებით, რომელიც ემოციურად და ინტელექტუალურად სამყაროსკენ მიმართული რჩებოდა.

მაგრამ დაღლილობის, მობეზრებისა და ტკივილის ნიშნები მატულობდა – კიბო ასრულებდა თავის საქმეს. ფროიდმა პირობა ჩამოართვა თავის პირად ექიმს მაქს შურს, რომელიც ანასა და მარი ბონაპარტესთან ერთად, ალბათ, უმნიშვნელოვანესი ადამიანი იყო მის გვიანდელ ცხოვრებაში და, რომელიც მას ჯერ კიდევ ვენაში მკურნალობდა, რომ *როცა დრო დადგება [. . .], თქვენ მე ამაოდ არ მაწვალებთ.*[264] 1939 წელს დრო დადგა. მას შემდეგ, რაც ფროიდი 19 სექტემბერს თავის ძველ მოკავშირესა და თანამებრძოლს ჯონსს გამოემშვიდობა, შურმა ანასთან მოთათბირების შემდეგ 21-სა და



ჰიტლერი აცხადებს ვენაში „ანშლუსს", შეერთებას გერმანიასთან 15 მარტი 1938 წ.

22-ში ფროიდს რამდენიმე დოზა მორფი გაუკეთა, რამაც კომა გამოიწვია, საიდანაც ფროიდი აღარ გამოსულა. ის გარდაიცვალა დილით ადრე 1939 წლის 23 სექტემბერს. ფროიდს არ სურდა იქამდე ეცადა, სანამ ავადმყოფობა და ტკივილი მის საბოლოოდ პარალიზებასა და დაუძლურებას გამოიწვევდა. ფროიდის ბიოგრაფიაში პიტერ გაი იხსენებს ფსიქოანალიზის შემქმნელის მიერ 1910 წელს ოსკარ პფისტერისადმი მიწერილ სიტყვებს: *და, აბჯარასხმული მოვკვდე, როგორც მეფე მაკბეტი ამბობს.*[265] და ის ასეც გარდაიცვალა, უკანასკნელ წუთამდე სულიერი ძალებით აღსავსე.

ფროიდის ცხოვრება და შემოქმედება, ყველა მარცხის, არათანმიმდევრულობისა და წინააღმდეგობების გათვალისწინებით, იყო სიცოცხლე და მოქმედება სისულელის – განდიდების მანიის, საკუთარი თავის ვერშეცნობის, აკვიატებული აზრის, რასობრივი ილუზიის – წინააღმდეგ, ანუ იმ სენის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც ცნობილია, უკურნებელია. *არაფერია ცხოვრებაში უფრო წამგებიანი, ვიდრე [. . .] სისულელე*[266] და მიუხედავად ამისა, შეებრძოლა მას: ამაში არის ტრაგიკული ამაოება და შეუდარებელი ღირსება.




ფროიდი თვითმფრინავში ადის. ბერლინი, 1930 წ.

## 2. პრობლემები და წინააღმდეგობები. ფსიქოანალიზი ფროიდის შემდეგ

ვისაც სურს ფროიდის და მისი შემოქმედების სათანადოდ დაფასება და გაგება, რომლის გავლენაც მე-20 საუკუნის სულიერების ისტორიაზე ფასდაუდებელია, უნდა ფლობდეს მკვეთრად გამოხატული ამბივალენტობის გრძნობას გადასაჭრელი – და იქნებ პრინციპულად გადაუჭრელი დაძაბულობებისა და წინააღმდეგობების მიმართ. ვისაც არ გააჩნია ამბივალენტობის, დაძაბულობისა და წინააღმდეგობრიობის შეგრძნების უნარი, ფროიდი ხელიდან დაუსხლტება. ფროიდის მრავალი „ინტერპრეტაცია" არსებობდა. მას მიიჩნევდნენ პოზიტივისტური „სულის ბიოლოგად" (ფრანკ ი. სალოუეი) და გამოუსწორებელ ნევროპათოლოგად, რომელიც მთელი სიცოცხლე ორიენტირებული იყო ისეთ ავტორიტეტებზე, როგორიცაა დარვინი და ბრიუკე, ასევე მგრძნობიარე ექიმად და ფსიქოთერაპევტად, რომელიც მოთმინებით ისმენდა პაციენტების მონათხრობს, ფსიქოანალიტიკური მოძრაობის ძლიერ ორგანიზატორად, რომელიც განდგომილებს და „მოღალატეებს" სასტიკად უსწორდებოდა, მრავალმხრივ განათლებულ კულტურის თეორეტიკოსად და ანთროპოლოგად, და იქამდეც კი მივიდნენ, რომ ის მეცნიერების ნიღაბს ამოფარებულ ლიტერატორად შერაცხეს, რომელიც სიამოვნებით ახდენდა შექსპირის, გოეთესა და ჰაინეს ციტირებას. ყველა ამ „დახასიათების" დადასტურება ფროიდთან შესაძლებელია, გარკვეული სამართლიანობით, ზოგიერთი ასპექტით და კუთხით. მაგრამ აქ უბედურება ისაა, რომ მსგავსი კონსტანტაციების დროს, თუნდაც მისი მიჩნევით მკურნალ-თერაპევტად ან კულტურის დიაგნოსტად, როგორც წესი, ხდება ფროიდის შემოქმედების ერთი ან რამდენიმე სფეროს დაკარგვა, დაფიქსირება მუდამ რაღაცის მიჩქმალვის ხარჯზე ხდება. თუ, მაგალითად, ფრანგი ფსიქოანალიტიკოსი ოქტავ მანონი წერს, რომ ფროიდის ადრეული ნაწარმოები Zur Auffassung der Aphasien („აფაზიის შეცნობა") და Entwurf einer Psychologie („ფსიქოლოგი-



ედუარდ მუნქი, ყვირილი. 1893 წ.

ის ესკიზი") ნევროლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის კავშირის პოვნის უსარგებლო მცდელობა იყო" და რომ ფროიდს 1895 წლის შემდეგ „ალარასოდეს" უცდია ამ ორი მხარის შეთავსება,[267] ეს არის არა მარტო მცდარი მოსაზრება, არამედ აგრეთვე გაუფასურებაც, როგორც „სიზმრების ახსნის" მეშვიდე თავის, სადაც ფროიდმა „ესკიზის" მოსაზრებები გადმოიტანა, ასევე ყველა მისი შემდგომი მცდელობისა დაეახლოვებინა ერთმანეთთან ზოოლოგია და ფსიქოლოგია. ის, რომ ეს მცდელობები ხშირად მარცხით მთავრდებოდა (და ფროიდის თანახმადაც, მუდამ მარცხით მთავრდება), არ გვაძლევს უფლე-

ბას, ვილაპარაკოთ მხოლოდ „მატერიალისტური აზროვნების აქტზე",[268] რომლის სერიოზულად აღქმა შეუძლებელია. ნაცვლად იმისა, რომ ფროიდი მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიას მივაკუთვნოთ და ამით ის, როგორც სუფთა ჰუმანიტარი და ჰერმენევტიკოსი წარმოვადგინოთ, როგორც ეს უმეტესად ფროიდის აღქმის ფრანგული ტრადიციით ხდება, უნდა დასმულიყო კითხვა; რა სამეცნიერო და მეცნიერულ-პოლიტიკური მოტივები შეიძლება ჰქონოდა ფროიდს, რომ მატერიალისტური, ე. ი. სომატურ-საბუნებისმეტყველო საფუძვლების მქონე ფსიქოლოგია აერჩია. იგივე ეხება, რასაკვირველია, სხვა დაძაბულობებს და გარდატეხვის ხაზებს ფროიდის შემოქმედებაში; თუნდაც კულტურის თეორიას, ასევე ფროიდის თეორიას ქალურობის შესახებ ან იმ წინააღმდეგობრივ ფაქტს, რომ ფსიქოანალიზი ფაქტიურად კერძო პრაქტიკის მქონე ექიმების წრეში ვითარდებოდა, თუმცა ფროიდის გაგებით ის არის მეცნიერება, რომლის „ბუნებრივი" სოციალური ადგილი მხოლოდ უნივერსიტეტი შეიძლება იყოს – ანუ ის არ არის თერაპია, რა სახითაც მან სახელი გაითქვა. ფროიდის სულიერი სიდიადე იმაშიც მდგომარეობს, რომ მას არ შეეშინდა თითქოსდა ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებისა და საპირისპირო ინტერესებისათვის და მოტივებისათვის დაეთმო ადგილი და მათთვის თვალი ედევნებინა მათივე საკუთარ „ლოგიკაში" – თუმცაღა ბუნდოვანი იმედით, რომ „ისინი ოდესმე შეერთდებიან". ამ თვალსაზრისით, შემდგომში საჭიროა ვაჩვენოთ, სად ეჯახებოდა ფროიდის შემოქმედება თავის საზღვრებს, სად იხლართებოდა ის წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებში, მაგრამ ასევე, სად იყო ის სწორედ ასეთი წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობების წყალობით უაღრესად ორიგინალური და საინტერესო აზრებით სავსე.

## ბიოლოგია და ინტერპრეტაცია – განსხვავებული და-ძმა

იმის აღმოჩენასთან ერთად, რომ სექსუალობა, მასთან დაკავშირებული აგრესიის ჩათვლით, ყველა ადამიანური გრძნობისა და ქმედების ძირითადი ფაქტორია და ასევე სიზმრისა და მისი ქვეცნობიერზე გავლენის სისტემატური კვლევა ფროიდის ნოვატორულ სამეცნიერო მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან მან თავის ეპოქაში – ეს კი ისეთი დიდი ექიმების ხანა იყო, როგორებიც იყვნენ ჟან-მარტი შარკო (1825-1893), ემილ კრეპელინი (1856-1926), პიერ ჟანე (1859-1947) და ადოლფ მაიერი (1866-1950), პირველმა მიუჩინა განსაკუთრებული ადგილი სამედიცინო შემთხვევების ისტორიებს, რომლებიც ფროიდამდე ფილიპ პინელის (1745-1825) დროიდან არსებობდა. ეს მოხდა არსებითად საბუნებისმეტყველო დისკურსის მიღმა და მისგან დამოუკიდებლად, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დებატებს განსაზღვრავდა, მას შემდეგ, რაც უარყვეს რომან-

დოქტორი ფილიპ პინელი სალპეტრიერში. რობერტ ფლორის ნახატის მიხედვით.



DR. PHILIPPE PINEL AT THE SALPÊTRIÈRE, 1795

The great pioneer of humanitarian reform orders the chains removed from patients at the Paris asylum for insane women.



ისტერიული კონვულსია



მაქს ერნსტი. სერიიდან „სიკეთის კვირა", 1934 წ.

ტიკული ვიტალიზმი, როგორც თანამედროვე ტექნიციზმისა და ინდუსტრიალიზაციის შედეგი. აქ, ალბათ, როგორც ეს მეცნიერებაში ხშირად ხდება, შემთხვევამაც ითამაშა როლი. რადგანაც სწორედ იმ დროს, როდესაც ფროიდი მიხვდა, რომ ავადმყოფების მკურნალობის დროს არსებული საშუალებებით, შთაგონებით და ჰიპნოზით, ელექტროთერაპიითა და სამკურნალო აბაზანებით შედეგს ვერ მიაღწევდა, მან გაიხსენა ბროიერის მონათხრობი ერთი პაციენტი ქალის შესახებ, რომელსაც ის რამდენიმე წლით ადრე მკურნალობდა. „ანა ო.". „talking cure"-ის (განკურნება საუბრით) შემქმნელი, რომელიც თავისი მძიმე ისტერიული სიმპტომების განეიტრალებას მხოლოდ მაშინ ახერხებდა, როდესაც, – რასაკვირველია, ჰიპნოზის ქვეშ – სიტყვებით აღწერდა ტრამვული რემინისცენციებს და ამასთანვე ახდენდა ამ მოგონებების თანმხლები ადეკვატური აფექტის მობილიზებას. ექიმის ხელოვნება, რომელიც ფროიდმა უაღრესად დახვეწა, სხვა არაფერია, თუ არა უნარი მოუსმინო ავადმყოფს *თანაბრად განაწილებული ყურადღებით*[269] და შემდეგ მეეოტიკურად (სოკრატესეულად) ჩაერიო, თუ ენობრივი გადმოცემა დაბრკოლებებისა და თავდაცვითი ქმედებების გამო შეფერხდება ან მცდარ აფექტებს დაუკავშირდება. ერთი სიტყვით, ფროიდულ ფსიქოლოგიაში საქმე გვაქვს სისტემატურ მცდელობასთან, მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოთა წარმოქმნის ველში – პაცი-

ენტის მონათხრობის და თავისუფალი ასოციაციების და ასევე ექიმის მხრიდან ფრთხილი განმარტებებით – დაედგინა პაციენტისათვის გონივრული კავშირი თავდაპირველ ტრამვასა და ავადმყოფობის აქტუალურ სიმპტომებს შორის – სწორედ განდევნილი შემთხვევის მოყოლით, გაცოცხლების საშუალებით: Erinnern, Wiederholen und Durcharbeiten („გახსენება, გამეორება და დამუშავება") – ასე ეწოდება ფროიდის ერთ-ერთ ნაშრომს (1914).[270] „მგელკაცას" („Wolfsmann"-ის) ავადმყოფობის ისტორიაში, ფროიდის მიერ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და დაწვრილებით აღწერილ შემთხვევაში, ლაპარაკია ენობრივ-ნარატიული ელემენტების განსაკუთრებულ უპირატესობაზე: *ახსნის ამოცანა ფსიქოანალიზში საერთოდ ძალზე შეზღუდულია. ასახსნელია აშკარა სიმპტომების წარმოშობა მათი გენეზისის გამოვლენის გზით; ფსიქიკური მექანიზმი და ინსტინქტური პროცესები, რომლებთანაც ამ გზას მივყავართ, აუხსნელია, მხოლოდ მათი აღწერაა შესაძლებელი. იმისათვის, რომ ორივე ამ უკანასკნელი პუნქტის დადგენიდან ახალი განზოგადება მივიღოთ, საჭიროა უამრავი ასეთი კარგად და ღრმად გაანალიზებული შემთხვევაა,* – კვლევის ასეთ ხარისხს ფროიდი „Wolfsmann"-ის* ანალიზის დროს იყენებდა, იმ განზრახვითაც, რომ განდგომილი იუნგი შეერცხვინა.[271] *ამ შემთხვევების მოპოვება ადვილი არ არის. თითოეული მათგანი მრავალწლიან შრომას მოითხოვს.* ქვეცნობიერის შინაარსსა და ფუნქციებში ჩახედვა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევაში და მხოლოდ იქ, და არა დაჩქარებული განზოგადებით. ასეთი ჩახედვა ხდება მხოლოდ ენის მედიუმში – ის არის ქვეცნობიერის პრივილიგირებული გამოხატვის ადგილი. საერთოდ კი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფროიდი, რაც შეეხება მის თვალსაზრისს ინდივიდუალური შემთხვევისა და ყოველი ინდივიდუალური ქვეცნობიერის იდეოსინკრეზიის შესახებ, რაც კარგად ჩანს მის დიდი ავადმყოფობის ისტორიებიდან, ზოგჯერ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდა. თუნდაც მაშინ, როდესაც მან „სიზმრების ახსნაში" ვერ გაუძლო ცდუნებას, შეედგინა მუდმივად და საყოველთაოდ გამოსაყენებელი მნიშვნელობების, ანუ სიმბოლური კატალოგი,



მარსელ დუშამპი. შიშველი ქალი ჩამოდის კიბეზე. 1912 წ.



გერჰარდ რიხტერი. შიშველი ემა კიბეზე. 1966 წ.

რომელიც სიზმრად მყოფის ინდივიდუალურ ასოციაციებს თავის სიზმრებთან ზედმეტს ხდის. ის, რასაც ფროიდის ფსიქოლოგია, ერთი მხრივ, თავის მიღწევად მიიჩნევს, კერძოდ, ყოველი ცხოვრების განუმეორებლობისა და ინდივიდუალიზმის ხაზგასმა, რაც უზრუნველყოფილი იყო ენობრივი ნიშნებით, მეორე მხრივ, აკნინებს მას ზოგად სიმბოლიკაზე დაყვანით, *რომელიც ჩვეულებრივ ან თითქმის ჩვეულებრივ იგივეს* ნიშნავს:[272] *კიბეები, ასასვლელები, შესაბამისად, მათზე ასვლა, როგორც ზემოთ, ასევე განზე, არის სქესობრივი აქტის სიმბოლური გამოსახვა.*[273] რა ასოციაციებს იწვევს ეს სიზმრად მყოფში, რა პიროვნულ *განმარტებებს* უძებნის ის მათ, ამის ახსნა ზედმეტი ხდება. ამით ფროიდი არავითარ შემთხვევაში არ აღწევს *იდეალს*, როგორც თვითონ წერს, არამედ უფრო როგორც *ანტიკური, ასევე პოპულარული სიზმრის ახსნის პრიმიტივიზმს.*[274]

ამ მძიმე მეთოდოლოგიური წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც ფროიდის სიმბოლოთა თეორიას ტვირთად აწევს და სამართლიანად ხდება



ფრიდრიხ ნიცშე

კრიტიკის საგანი,[275] თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ფროიდის მიერ შემთხვევათა ისტორიების აღმოჩენამ, რაც ფსიქოანალიზის ქვაკუთხედად ითვლება, გამოაჩინა ნარატიული ველი, სადაც აქამდე არავის დაედგა ფეხი. ფროიდმა სპეციალური რიტორიკა გამოიყენა, რათა თავის ავადმყოფებთან დავიწყებული და მიჩქმალული გამოეაშკარავებინა – მნემოტექნიკის რიტორიკა, რომელიც თავისუფალი ასოციაციების მეშვეობით უთქმელს ენობრივ გამოსახულებას ანიჭებს და ფროიდს არისტოტელესა და ნიცშეს თვალსაზრისს უკავშირებს (რაც უფრო მეტად იმის მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს, რომ ფროიდი ასე ჯიუტად უარყოფდა ნიცშეს შემოქმედებასთან ახლო ნაცნობობას[276]). სხვაგვარად, ვიდრე, მაგალითად, შარკოსთან, რომელიც როგორც კლინიცისტი ხილულსა და სივრცულზე იყო ორიენტირებული – მისი, ფროიდის მიერ მოწონებული კლინიკური ხედვა – ეს რიტორიკა განვითარდა დროითი და თქმადის განზომილებაში, ანუ ცხოვრებისეული ისტორიის განზომილებაში, რომელსაც დასაწყისი და დასასრული გააჩნია. ის სიცარიელე, რომელიც ფროიდის ისტერიულ ადამიანებთან ჩნდება, შესაძლებელია ნარატიულად ამოივსოს, თუ შესაძლებელი გახდება კავშირის გამოვლენა რაიმეს დავიწყების ან მიჩქმალვის ბიოგრაფიულ მოტივსა და სიმპტომს შორის, და კერძოდ, მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი რეკონსტრუქციის საშუალებებით.

ფროიდის განსაკუთრებული მიღწევა მისი დროის კორიფეთაგან განსხვავებით, რომლებიც, როგორც შარკო და კრეპელინი, კონცენტრირებული იყვნენ „ავადმყოფობის სურათზე“, იმაში მდგომარეობდა, რომ ის სურათიდან ისტორიაზე გადავიდა და ამით რაღაც პრინციპულად ახლის დამკვიდრება დაიწყო: რომ ადამიანის ფსიქიკას ურთიერთსაწინააღმდეგო და დახლართული მოტივაციების კომპლექსურ გამოხატულებას, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან არის დაკავშირებული, ასევე გააჩნია ბუნებრივი ნათესაობა ნარატიულ კონსტრუქტებთან.[277] როდესაც ფროიდი წერს, რომ ფსიქოანალიზი, უპირველეს ყოვლისა, *განმარტების ხელოვნებაა*,[278] მაშინ ის სწორედ ამ ვითარებას უწევს ანგარიშს.



ემილ კრეპელინი

ადრეულ შემთხვევათა ისტორიების აღწერასთან დაკავშირებით, ფროიდმა მისთვის გასაოცარი დაკვირვება გააკეთა, რომ ეს შემთხვევები *ნოველებივით* იკითხება და რომ მათ, ასე ვთქვათ, მეცნიერული ხასიათი არ გააჩნიათ: *თავი იმით უნდა დავიმშვიდო. რომ ამ შედეგზე აშკარად. უფრო საგნის ბუნებაა პასუხისმგებელი. ვიდრე ჩემი მიკერძოება: ლოგიკური დიაგნოსტიკა და ელექტრული რეაქციები ისტერიის შესწავლის დროს გამოუსადეგარია. მაშინ. როდესაც სულიერი პროცესების დაწვრილებით აღწერა. როგორც მას ჩვეულებრივ პოეტებთან ვხვდებით. საშუალებას მაძლევს ზოგიერთი მცირეოდენი ფსიქოლოგიური ფორმულების გამოყენებით ისტერიის წარმოშობა გარკვეული სახით დავინახო. ავადმყოფთა ასეთი ისტორიები უნდა შეფასდეს როგორც ფსიქიატრიული. მაგრამ ამ უკანასკნელთან შედარებით მათ ერთი უპირატესობა აქვთ. კერძოდ შინაგანი კავშირი სნეულების ისტორიასა და ავადმყოფობის სიმპტომებს შორის.*[279]

ეს გამონათქვამი მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. ერთი მხრივ, ის საშუალებას იძლევა გავეცნოთ ფროიდის მუშაობის სტილს – ავტორი წერის დროს თითქოს საკუთარ თავს ზურგსუკან უდგას და თავის ნაწერში რაღაც განსაკუთრებულს ამჩნევს. მეორე მხრივ, ნათლად ჩანს, რომ ცხოვრებისა და ავადმყოფობის ისტორიის ფსიქოლოგიური აღქმა და რეკონსტრუქცია ხდება არა ზოგადი და დედუქციური წინადადებებიდან, როგორც ეს 1895 წლის „ესკიზებისთვის" იყო ტიპური, არამედ ერთგვარი ნოველისტიკის გზით, venia verbo-ს დროიდან ცნობილი პირველად პროცესებთან დაახლოებული ლიტერატურული ენით, *როგორც ეს ჩვეულებრივ პოეტებთან ხდება.* ცხოვრებისეული ისტორიების განსაკუთრებული განუმეორებლობა ადეკვატურად უნდა გამოიხატოს თხრობის განსაკუთრებულობასა და განუმეორებლობაში, რომელიც ჯერაც გაუგონარ მოვლენას აღწერს, რაც ერთხელ მოხდა და არასოდეს განმეორდება. ფროიდის ყველა დიდი შემთხვევის აღწერა ასეთ „ლიტერატურულ" ნიმუშს მიჰყვება და აქ ადვილად შეიძლება დაეთანხმო სტივენ მარკუსის შეფასებას *დორას* ავადმყოფობის შესახებ, რომ აქ საქმე გვაქვს გამორჩეულ და ფანტაზიით აღსავსე ლიტერატურულ ნაწარმოებთან.[280]

ბოლოს ფროიდი აღიარებს, რომ მის მიერ არჩეულ, ან მისთვის *საგნის ბუნებით* თავს მოხვეულ გადმოცემის ფორმას *აკლია მეცნიერულობის სერიოზული კვალი* – ფროიდისთვის სავარაუდოდ გამაოგნებელი შეგრძნება. ვინაიდან, თუ ფროიდი ვინმე იყო ან სურდა ყოფილიყო, ეს მეცნიერი იყო. ერთგვარი სამართლიანობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღემდე შენარჩუნებული დისკუსია ფსიქოანალიზის მეცნიერულ-ლოგიკური სტატუსის შესახებ, – რომელიც მრავალი მკვლევარის აზრით, საერთოდ არ წარმოადგენს მეცნიერებას, – სწორედ აქ იწყება. ერთი მხრივ, 1895 წლის „ისტერიის შესახებ ნარკვევების" ნოველისტიკაში და იმავე პერიოდში შექმნილ ნევროპათოლოგიურ პროზაში „ფსიქოლოგიის ესკიზი", მეორე მხრივ, ძალზედ ნიშანდობლივია, რომ ისინი, ვინც უპირატესობას ანიჭებდა ფსიქოანალი-



კაბინეტში

ზის ლიტერატურულ-ჰერმენევტიკულ ინტერპრეტაციას, უარყოფდა ფროიდის მეტაფსიქოლოგიას და ეგოფსიქოლოგიას, მაშინ, როდესაც ისინი, ვინც ფსიქოანალიზის „მეცნიერულობას" აპროტესტებდა, მის „ლიტერატურულ" და „რბილ" ხასიათს იწუნებდა.

ფროიდს სურდა და პრაქტიკულად ორივეს აკეთებდა: მისი შემოქმედება უნდა ყოფილიყო (საბუნებისმეტყველო) მეცნიერება მკაცრი გაგებით, ასევე ენის სკოლა და მოძღვრება, რომელიც ექიმსა და პაციენტს შორის ინტერაქციაშია გამართლებული. ეს კი მეცნიერული და შემეცნებითი თეორიების თანახმად, შეუძლებელი პოზიციაა.

მიუხედავად მეტისმეტად აშკარა ფაქტისა, რომ ფსიქოანალიტიკური დისკურსი ტექსტებისა და ნიშნების, შედარებების, მეტაფორებისა და მეტონიმების სფეროში მიმდინარეობს და რომ მასში განუწყვეტლივ ხდება ერთი ტექსტის მეორეში გადასვლა და მეტაბოლიზება და რომ აქ, მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს მეტისმეტად ლიტერატურული სახის დისკურსთან, რომლის „არსიც" მოითხოვს მონაწილეთა თანხმობას, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ფროიდის უარყოფითი დამოკიდებულება ბუნებისმეტყველების, ნევროლოგიის და ბიოლოგიის მიმართ მხოლოდ ეპიზოდური იყო და მით უმეტეს, არ შეიძლება ითქვას, რომ ფროიდი 1895 წლის შემდეგ, როგორც მანონი ამტკიცებს, საერთოდ დაშორდა მათ. უკვე მისი სამეცნიერო ბიოგრაფია, მისი ბრიუკეს ინსტიტუტში მრავალწლიანი მუშაობის ფიზიკურ-მატერიალისტური ფონი, მისი კოკაინის




ზიგმუნდ ფროიდის თხზულებათა სრული კრებულის სარეკლამო ფურცელი.

ექსპერიმენტები, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იყო ახალგაზრდული ცელქობა, მისი აფაზიის კვლევები, მისი მიბრუნება ლამარკიზმისაკენ, რომლის ნიშნებიც პირველი მსოფლიო ომის დროინდელ მეტაფსიქოლოგიურ ნაშრომებში ჩანს, და მრავალი სხვა, სავსებით შესაძლებელს ხდის ვარაუდს, რომ ეს ამპლუა მისთვის მნიშვნელოვანი დარჩა – ისევე, როგორც ფსიქოანალიტიკოსისა. ფროიდისთვის მეცნიერება ბუნებრივად იყო ის, რაც ფიზიკურობის დომინანტური გავლენის ქვეშ მეცნიერებად ითვლებოდა. და რადგანაც ფროიდის ამბიცია იყო მისი აღმოჩენა, ფსიქოანალიზი მეცნიერებად წარმოედგინა, ამიტომ ცდილობდა არამეცნიერულობის გამანადგურებელი ვერდიქტისათვის თავი დაეღწია და დაემკვიდრებინა ის, როგორც „beyond interpretation" (ინტერპრეტაციის მიღმა, ჯონ ე. გედო) მისთვის საბუნებისმეტყველო ნომენკლატურის მისადაგების გზით. ამაში სულაც მეცნიერულ-პოლიტიკური ღონისძიების დანახვა შეიძლება, რაც ფროიდს იმისთვის სჭირდებოდა, რომ მეცნიერულ ველში ფსიქოანალიზისათვის აღიარება მოეპოვებინა, რომელსაც მისი აღმოჩენის სიახლე მეორეხარისხოვან მოვლენად დარჩენის საფრთხეს უქმნიდა.

მაგრამ აქ, ალბათ, სხვა რამესთან გვქონდა საქმე. ფროიდი თავიდანვე ზრუნავდა იმაზე, რომ ფსიქოანალიზისათვის მყარი საფუძველი შეექმნა, რაც, მისი აზრით, მხოლოდ ბუნებისმეტყველების მეშვეობით იყო შესაძლებელი. „აზრის" გამოხატვის ჰერმენევტიკული მეტყველება, რომელიც, ერთი მხრივ, ფსიქოანალიზს განსაზღვრავს, ამის გამო გამუდმებით წყდება ან იცვლება „ძალის" გამომხატველი ანუ ფიზიკურობის და ბიოლოგიის მეტყველებით. ეროსი და თანატოსი მაშინ, ვთქვათ, არ არიან ცხოვრებისეული არსის გაგებისა და (რე)კონსტრუქციის ფიგურები, არამედ ასევე ორგანული ბიოს ფიგურები თავისი აუცილებელი მოთხოვნილებებით. პაულ რიკოერმა ფროიდის დისკურსის ამ თავისებურებას „შერეული მეტყველება"[3] უწოდა და ის მთელი შემოქმედებისათვის ფუძემდებლურად გამოაცხადა. გვიანდელ ფროიდთან ვკითხულობთ: *ფენომენები, რომლებსაც ჩვენ ვამუშავებთ, არა მარტო ფსიქოლოგიას ეკუთვნიან, მათ ასევე ორგანულ-ბიოლოგიური მხარეც გააჩნიათ და ამიტომ ფსიქოანალიზის აგებულებაზე მუშაობის დროს მნიშვნელოვანი ბიოლოგიური აღმოჩენები გავაკეთეთ და გვერდს ვერ ავუვლით ახალ ბიოლოგიურ ჰიპოთეზებს [. . .] ვვარაუდობთ, რომ არსებობს სივრცეში განფენილი, მიზანდასახულად გაერთიანებული, სიცოცხლის მოთხოვნების*

ალფრედ ადლერის აშშ-ში საემიგრაციო ბარათი. 1933 წ





იურგენ ჰაბერმასი

*შესაბამისად განვითარებული ფსიქიკური აპარატი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ადგილას, გარკვეულ პირობებში წარმოშობს ცნობიერების ფენომენებს და ამან საშუალება მოგვცა აგვეგო ფსიქოლოგია ისეთივე საფუძველზე, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, მაგალითად, როგორც ფიზიკა. აქაც და იქაც ამოცანა იმაში მდგომარეობს, აღმოვაჩინოთ საკვლევი ობიექტის უშუალოდ მოცემული თვისებების ჩვენეული ალქმის მიღმა სხვა თვისებები, რომლებიც ჩვენი გრძნობათა ორგანოების აღქმის უნარისაგან დამოუკიდებლად არსებობს და სავარაუდო რეალურ გარემოებას უფრო მეტად უახლოვდება.*[282] სინამდვილეში ფროიდს იმედი ჰქონდა, რომ *ყველა ჩვენი ფსიქოლოგიური საწყისი ოდესმე ორგანულ საფუძველს უნდა დაემყაროს [. .] სწორედ, რადგანაც მე ვცდილობ ყოველივე განსხვავებული და ასევე ბიოლოგიური აზროვნება არ დავუახლოვო ფსიქოლოგიას, მსურს ხაზგასმით ვაღიარო, რომ მართალია ეგო- და სექსუალურ-ინსტინქტთა, ანუ ლიბიდო-თეორიის ვარაუდი ფსიქოლოგიურ საფუძველს ეყრდნობა, არსებითად ბიოლოგიურად არის გამყარებული.*[283] ბოლოს და ბოლოს, ფროიდს ეკუთვნის ის ცნობილი ფორმულირება, რომლის თანახმად, *ფსიქიკურისათვის [. .] ბიოლოგიური, მართლაც მის საფუძველში მდებარე ხელუხლებელი კლდის როლს თამაშობს.*[284]

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ასეთი გამონათქვამები, როგორც იურგენ ჰაბერმასი თვლის, მართლაც ფროიდის „მეცნიერულ თვითგაუგებრობად",[285] ერთგვარ თვითშეუცნობლობად, რაც როგორც ასე-

თი, გამორკვევას და დაძლევას მოითხოვს? ერთი შეხედვით ეს შეიძლება ასეც გამოიყურებოდეს, რადგანაც არაფერი უნდა იყოს ისეთი შეუთავსებელი, როგორც საბუნებისმეტყველო ობიექტივიზმის ცნებათა ენა, რომელიც კანონების გამოხატვისთვის არის გამიზნული და ჰერმენევტიკული სუბიექტივიზმის რბილი და მეტაფორული ენა, რომელიც გაგებას, ინტერსუბიექტივობას და თვითრეფლექსიას ემსახურება.

ეს ნამდვილად არასრულყოფილი შეფასება სათანადოდ ვერ აცნობიერებს იმას, რომ ფროიდს უამრავი მიზეზი ჰქონდა, დაეცვა ფსიქოანალიზის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერების, პროექტი. ერთ-ერთი უკვე დავასახელეთ, მეცნიერულ-პოლიტიკური: ფროიდი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რომ იზოლაცია, რომელშიც ის თავის ფსიქოლოგიურ სიახლესთან ერთად იმყოფებოდა, იმით შეერბილებინა, რომ იგი საჯაროდ მიეკუთვნებინა ბუნებისმეტყველებისათვის, ის ხომ დღემდე მხოლოდ მეცნიერების პარადიგმაა. ამასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, რომ ფროიდი თავისი დროისათვის ერთადერთი არ იყო, ვინც საბუნებისმეტყველო ახსნის მოდელის სხვა სფეროებზე გადატანას ცდილობდა. მაშინდელ ახალგაზრდა საბჭოთა კავშირში ტროფიმ ლისენკო შეეცადა მარქსისტული საზოგადოებრივი მოძღვრებისათვის საბუნებისმეტყველო ფუნდამენტი შეექმნა. ასევე ფროიდის მონაფეები ფენიხელი, ფერენცი და რაიხი, სამივე ნიჭიერი ფსიქოანალიტიკოსი, მზად იყვნენ ფროიდის გამოგონება არ შეეზღუდათ სუფთა ჰერმენევტიკული ველით. რომ ამ დროს, ისევე როგორც თვითონ ფროიდთან, ბევრი რამ განსჯის დროს იკარგებოდა. ეს სულ სხვა საკითხია.


ვილჰელმ რაიხი



ტროფიმ ლისენკო

ფროიდის მიერ ბიოლოგიისათვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება შესაძლებელია იმის შეგრძნებით იყო გამოწვეული, რომ ფსიქოლოგიის ცალმხრივი, ჰერმენევტიკული გაგება, რაც უკვე რიკოერმა სამართლიანად უარყო,[236] გზას უხსნიდა სუბიექტივიზმს. ეს საფრთხეს უქმნიდა არა მარტო მისი ქმნილების მის მიერ მუდამ ხაზგასმულ მეცნიერულ ხასიათს, არამედ თვით ფსიქოანალიზს სრულიად აცარიელებდა და ამით სუბიექტურ სურვილებს უქვემდებარებდა. თუ გადავხედავთ მის განვითარებას ფროიდის შემდეგ, რაც იქამდე მივიდა, რომ ფსიქოანალიზი ბევრი პიროვნების ხელში იარაღად იქცა, რომელსაც ყველაფრისთვის და ყველაფრის წინააღმდეგ იყენებდნენ, მაშინ უკეთ გავიგებთ, თუ რატომ უჭერდა ფროიდი კატეგორიულად მხარს ბუნებისმეტყველების ობიექტურობის იდეალებს. მხოლოდ მოჩვენებით პარადოქსული შეიძლება იყოს ის, რომ ფროიდმა ფსიქოსომატიკოს ვიქტორ ფონ ვაიცზეკერს ინტერპრეტირების იმ პრობლემატურობაზე მიუთითა, რომელიც თავს იჩენს ორგანოთა მეტყველებაში: *ისინი გვიჩვენებენ დარღვევების ფაქიზ მექანიზმს და ამით საპირისპირო ინერვაციებზე მიუთითებენ. რომლებიც ერთმანეთს ახშობენ ან მცდარ მიმართულებას აძლევენ. ასეთი კვლევებისაგან ანალიტოკოსებს აღმზრდელობითი მიზნით ვურჩევდი თავი*

*შეეკავებინათ, რადგანაც ინერვაციები, სისხლძარღვთა გაფართოებები, გამტარი გზები მათთვის საკმაოდ სახიფათო ცდის ობიექტები იქნებოდა; მათ უნდა ისწავლონ ფსიქოლოგიური აზროვნებით შემოფარგვლა.*[287] Quod licet Jovi, on licet bovi (რისი უფლებაც აქვს იუპიტერს, იმის უფლება არა აქვს ხარს, – მთარგმ.). „აღმზრდელობითი მიზნით" ფროიდს იმისთვის უნდა მიექცია ყურადღება, რომ ქვეცნობიერის შესახებ ჯერ კიდევ ახალი მეცნიერების პროტაგონისტები ეთანხმებოდნენ იმას, რომ სამყაროს ყველა ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურ ფაქტებად უნდა განვიხილოთ – რადგანაც ეს იყო ფროიდის პირველი ინოვაციური მიღწევა. მხოლოდ ამის შემდეგ, მეორე ნაბიჯით შეეძლო მას იმით დაპირისპირებოდა ფსიქოანალიტიკოსებს, რომ სულიერი (Seelische), ყოველგვარი ადამიანური ქცევა, როგორც ყოველთვის კულტურის მეშვეობით გამოხატული, დაფიქსირებულია „ბოლო ინსტანციაში" (ფრ. ენგელსი) ბიოლოგიურ-ორგანულ სუბსტრაქტში: *ჩატარებული ფსიქოანალიტიკური სამუშაოს შემდეგ ჩვენ უნდა ვიპოვოთ კავშირი ბიოლოგიასთან და უნდა კმაყოფილი ვიყოთ, თუ ის უკვე რომელიმე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტში უზრუნველყოფილი იქნება [. . .]. ბიოლოგიაში ჩვენ გვხვდება უამრავი უკვდავი ემბრიონული პლაზმა, რომელსაც, როგორც თანმიმდევრულად განვითარებულ ორგანოს, მოკვდავი (წარმავალი) ინდივიდები უკავშირდებიან; მხოლოდ აქედან შეგვიძლია სწორად გავიგოთ სექსუალური მამოძრავებელი ძალის როლი ფსიქოლოგიაში და ცალკეული არსების ფსიქოლოგიაში.*[288]

გარდა ამისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფროიდის ბიოლოგიზმი შესანიშნავად გამოდგა იმისათვის, რომ დაესაბუთებინა მისი თეზისი ადამიანის მოდგმის სამი ნარცისისტული ტკივილის შესახებ კოპერნიკის, დარვინისა და თვით მის მიერ მეორეს აზრით. ის, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მოკვდავი არსებაა, რომელიც „ყველა ცხოველთან" ერთად (ბერტოლდ ბრეხტი) უნდა მოკვდეს და რომ Homo Sapiens-ის მოკვდავობა და ანიმალობა ხელს უწყობს იმ უფსკრულის გადალახვას, რომელიც *ადრეულ ხანაში ადამიანურმა ამპარტავნობამ გაჩინა ადამიანსა და ცხოველს შორის, როგორც ეს „ადამიან მოსეშია" ნათ-*



ბარუხ სპინოზა

*ქვამი.*[289] – ეს რასაკვირველია, ფროიდის ღრმა რწმენა იყო და მზად არ იყო უარი ეთქვა მასზე. მაგრამ თუ ლაპარაკია *ადამიან-ცხოველზე*, მაშინ ეს არ არის მეტაფორა, არამედ შეესაბამება ლამარკის ფროიდისეულ გააზრებას, რომ ცხოველის ინსტინქტური აპარატი და ადამიანის *არქაული მემკვიდრეობა*[290] შორს არ არის ერთმანეთისაგან.

და ბოლოს, იმისათვის, რომ სათანადოდ შევაფასოთ ფროიდის დადებითი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, გულუბრყვილო დამოკიდებულება თანამედროვე ბუნებისმეტყველების მიმართ, საჭიროა მივუთითოთ, ალბათ, ნაკლებ ცნობილ გარემოებაზე, რომ ფროიდი, თუმცა ფარულად – იქნებ შემოვლითი გზით, მისი საყვარელი პოეტის ჰ. ჰაინეს წყალობით, – ფილოსოფოს სპინოზას თაყვანისმცემელი იყო.[291] ის მცირერიცხოვანი შემთხვევები, როდესაც ფროიდი მე-17 საუკუნის დიდ ერეტიკოსს მოიხსენიებდა, ნათელს ხდის, თუ რა დიდ პატივს მიაგებდა ის, ვინც საერთოდ მკაცრ დისტანციას იცავდა ფილოსოფიასთან, მარანელ ებრაელს, მის *მეგობარს ურწმუნოებაში.*[292] შესაძლებელია ფროიდმა სპინოზაში ინტუიციით შეიგრძნო თავისი საკუთარი აზროვნების შორეული წინამორბედი; ამას ადასტურებს ის, რომ სპინოზა, – რომელიც ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება, როგორც ახალი დროის თავისებურად პირველი მეცნიერ-ფსიქოლოგი,[293] ისევე



ჰაინრიხ ჰაინე. მორიც ოპენჰაიმის ნახატი. 1831 წ.

როგორც თვით ფროიდი, როგორც მაკიაველი, ჰობსი, დარვინი, მარქსი და ნიცშე, – ეკუთვნოდა „ბნელი განმანათლებლობის ფილოსოფოსთა“ რიცხვს (ირმიაჰუ იოველი).

ფროიდის მსგავსად, სპინოზასთვისაც მნიშვნელოვანი იყო ადამიანის ნატურალიზაცია, ბუნებრივ-სხეულებრივი უფლებამოსილება; და როგორც ფროიდი, სპინოზაც კარტეზიანიზმთან, მის „res cogitans“ და „res esctensa“-ს გონისა და ბუნების დუალიზმთან დაპირისპირებით იცავდა იდეას, რომ არსებობს ერთგვარი შევსებადობა (Komplementarität) მენტალური და სხეულებრივ-ბუნებრივი ფენომენებისა.[29] სპინოზასთვის გონი, შესაბამისად, სული, არის „idea corporis“; აზროვნება და შეგრძნება ამას-თანავე სხეულს გაივლიან, თუმცა მისგან ავტონომიურად, როგორც სუფთა გონებისმიერი, არ განვითარდებიან. მსგავსად განმარტავს ფროიდი ხალისის (Lust) და უსიამოვნების (Unlust) რიგის აფექტებს, როდესაც ის მათ აღწერს როგორც საფუძველში არსებულ ერთგვარი კვაზი-ფიზიოლოგიური პროცესის ცნო-

ბიერ მანიფესტაციას. ინსტინქტი მისთვისაც არის *შუალედური ცნება სულიერსა და სომატურს შორის. ის არის სხეულის შიგნიდან წამოსული სულში შეღწეული გაღიზიანების ფსიქიკური წარმომადგენელი [. . .]. მუშაობის მოთხოვნის ერთგვარი ზომა, რომელიც სულიერისათვის არის დადგენილი მის ფიზიკურთან დამოკიდებულების გამო.*[29] რასაც ფროიდი საკმაოდ გაბედულად „დამოკიდებულებას" უწოდებს, სპინოზასთან ატარებს სათაურს „კომპლემენტარობის პრინციპი". თუმცა ერთს, მენტალურს, შესაბამისად ფსიქიკურს არ შეუძლია შეიზღუდოს მეორის, ფიზიკურ-ბუნებრივის მიერ, რაც აგრეთვე vice versa (პირიქით) მოქმედებს; მაგრამ ორივე ავლენს საერთო ონტოლოგიური შეხების წერტილს. თუ ფროიდს ფარულ სპინოზისტად მივიჩნევთ – ფარულად იმიტომ, რომ ის არ თვლიდა ფილოსოფოსებს ციტირების ღირსად, – მაშინ მისი მცდელობა, დააფუძნოს ფსიქოანალიზი ბუნებისმეტყველებაზე, სხვა სახით წარმოგვიდგება, ვიდრე უბრალო „მეცნიერული თვითგაუგებრობა", არამედ ცდის სახით, მოსპოს სხეულისა და სულის, ბუნებისა და გონის – და სამეცნიერო ველში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ახალი დროის ფრაგმენტარიზმი. შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ ფროიდის ამ მცდელობამ მარცხი განიცადა – მაგრამ, როგორც ასეთი, ის (მცდელობა) უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

ცოლთან ერთად (ვერცხლის ქორწილი. 1911 წ.).



## ექიმი, რომელსაც არ სურდა ექიმად ყოფნა

ფროიდის პროფესიულ და ინტელექტუალურ ბიოგრაფიაში არის ერთი წინააღმდეგობა, რომლის დაბალანსებას თვითონვე ცდილობდა, მაგრამ რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ფროიდის სკოლისთვის პრობლემატური შედეგები მოჰყვა და, რომელსაც ამიტომ ფსიქოანალიზის სოციოლოგიურ „კონსტრუქციულ შეცდომას" (მიხაელ შრიოტერი) უწოდებდნენ.[296] ამ შეცდომის გენეზისისათვის თვალის გაყოლება ადვილად არის შესაძლებელი ფროიდის პროფესიული და ინტელექტუალური ბიოგრაფიის დახმარებით. თუ ფროიდს თავდაპირველად სურდა მეცნიერისა და მკვლევარის კარიერას გაჰყოლოდა, 1880-იან წლებში ის მიხვდა, რომ კარიერული პერსპექტივები ბრიუკეს ინსტიტუტში არცთუ ხელსაყრელი იყო, რის გამოც მან პრაქტიკული მოსაზრებებით – ღარიბი იყო და დაქორწინება სურდა – გადაწყვიტა, ნევროპათოლოგის პროფესია აერჩია. ეს არჩევანი, უნდა ვივარაუდოთ, ფროიდისთვის მტკივნეული იყო, ვინაიდან, როგორც მოგვიანებით ხშირად აღნიშნავდა, არასოდეს ყოფილა *თერაპიის ენთუზიასტი*,[297] არამედ თავისი მიდრეკილებებით მეცნიერი იყო, რომელიც თავის მომავალს უნივერსიტეტში ხედავდა. თავისი ნევროპათოლოგიური სპეციალიზაციის ფარგლებში ფროიდი თავდაპირველად ისტერიით იყო დაკავებული, შემდეგ ნევროზებით ზოგადად, რათა ბოლოს, „სიზმრების ახსნით" პირდაპირ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში აღმოჩენილიყო. იმ დროს, როდესაც 90-იან წლებში იძულებული იყო ნევროზების სისტემატურ კლინიკურ თეორიაზე მუშაობა შეეწყვიტა და დაეფიქსირებინა „ყველა ღირებულების დაცემა", ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რომ ფროიდი იძულებული გახდა შორს გამიზნუ-



ვილჰელმ ბრიუკე

ლი ნევროპათოლოგიური ამბიციები დაესამარებინა. ერთადერთი, რაც ამ დაცემის დროს, როგორც ფლიზს წერდა, *ხელუხლებელი ვადარჩა – ფსიქოლოგიური იყო.*[298] ეს იყო ფსიქოანალიზის, როგორც მეცნიერების, დაბადების საათი, რომელიც შემდგომში მეცნიერებად ლეგიტიმურად მხოლოდ იმდენად მიიჩნეოდა, რამდენადაც, როგორც ქვეცნობიერის ნორმალურმა ფსიქოლოგიამ, თერაპიული პრაქტიკის საზღვრები გაარღვია და მივიდა ქვეცნობიერ-სულიერის და არა მარტო მისი პათოლოგიური დეფორმაციების განმაზოგადოებელ მოსაზრებებამდე. *თავდაპირველად,* – წერდა ფროიდი მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით, – *ანალიტიკური კვლევა სხვა არაფერს ისახავდა მიზნად, თუ არა ზოგიერთი ავადმყოფური სულიერი მდგომარეობის გამომწვევი პირობების გამოკვლევას. მაგრამ ამ მცდელობის დროს გამოვლინდა ფუძემდებლური ურთიერთობები სწორედ ახალი ფსიქოლოგიის შესაქმნელად. ასე, რომ, შემდეგ შესაძლებელი გახდა თქმა, რომ ახალი აღმოჩენების მნიშვნელობა შეუძლებელია პათოლოგიის სფეროთი შემოიფარგლოს.*[299] ფროიდი მუდამ დარწმუნებული იყო იმაში, რომ 1900 წელს შექმნილი „სიზმრების ახსნა" თერაპიიდან მეცნიერებისაკენ, *ფსიქოთერაპიული მეთოდიდან სიღრმისეული ფსიქოლოგიისაკენ*[300] შემო-

კადრი გ.ვ. პაბსტის ფილმიდან „სულის საიდუმლოება", 1926 წ.



*ბრუნების წერტილს* აღნიშნავდა და ასევე იმაშიც, რომ ფსიქოანალიზმა სწორედ ამ შემობრუნების წყალობით მოახერხა „ინტელექტუალური სამყაროს ყურადღება" მიეპყრო და დაემკვიდრებინა თავისი ადგილი The History of our times (ჩვენი დროის ისტორიაში).[301] ფროიდის ფსიქოანალიზიდან მომდინარე ხიბლი უეჭველად უკავშირდება იმას, რომ თავისი ინტერესების ცენტრში ავადმყოფ და სამკურნალო ადამიანებს კი არ აყენებს, არამედ ნორმალურ ინდივიდებს ბედნიერებისაკენ სწრაფვისა და კულტურული ნორმების, სურვილისა და განზილების დაძაბულობის ველში.

რა თქმა უნდა, ფროიდი იყო და რჩებოდა ექიმად იძულებით, ვინაიდან მისთვის საუნივერსიტეტო აკადემიური კარიერა მიუწვდომელი იყო და ოთხსულიანი ოჯახი უნდა ერჩინა. ის, ერთი მხრივ, საჭიროდ მიიჩნევდა მთელი ძალით ეწარმოებინა ნევროპათოლოგიური პრაქტიკა და საკმარისი რაოდენობის პაციენტები მიეზიდა, რომელთა ჰონორარებიც მის საარსებო წყაროს უზრუნველყოფდნენ, მეორე მხრივ, მას ამასთანავე ან პარალელურად მის მიერ პოსტულირებული ახალი ფსიქოლოგია ნაბიჯ-ნაბიჯ, ფუნდამენტურ მეცნიერებად უნდა ექცია და ყოველმხრივ გაეფართოვებინა. კარლ აბრაჰამის კითხვაზე, როგორც ახერხებდა ის *პრაქტიკასთან ერთად კიდეც ეწერა*, ფროიდმა უპასუხა: *ფსიქოანალიზისგან,* – იგულისხმება მკურნალობის პრაქტიკა, – *უნდა დავისვენო მუშაობით, თორემ ვერ გავუძლებ.*[302] მუშაობა, ემპათიური თვალსაზრისით, ფროიდისთვის მეცნიერული სამუშაო იყო და არა საექიმო თერაპია. ერთგვარი გაზვიადებით, მაგრამ ასევე სამართლიანობით შეიძლება ითქვას, რომ პაციენტები მას რასაკვირველია „მასალას" ანვდიდნენ, რომელიც მეცნიერული ჰიპოთეზების ჩამოსაყალიბებლად სჭირდებოდა. პაციენტი ქალის *დორას* შემთხვევაში მხარს უჭერდა Bruchstück einer Hysterie-Analyse („ისტერიის ანალიზის ფრაგმენტის") გამოქვეყნებას იმის მითითებით, რომ *ექიმს მოვალეობები გააჩნია არა მარტო ცალკეულ ავადმყოფთა წინაშე არამედ აგრეთვე მეცნიერების წინაშეც*[303] – ადრე იტყოდნენ,




ავსტრიული 50 შილინგის კუპიურა.

რომ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერების წინაშე. ფსიქოანალიზის მოვალეობები მეცნიერებისა და კვლევის წინაშე ფროიდისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი მკურნალობის მხარე, რომელსაც ის, თუმცა არ უგულვებელყოფდა, მაგრამ არც განსაკუთრებულ პრივილეგიას ანიჭებდა. პირიქით. უკვე ფლისთან მეგობრობის ხანაში ფროიდი თერაპიულ სამუშაოს ხუმრობით *შავის გათეთრებას*[304] უწოდებდა და აბრაჰამს კი ერთ-ერთ წერილში უსურვა, *რომ „შავის გათეთრება" ნევროზებში მალე თქვენთვის ისევე საძულველი გამხდარიყოს, როგორც ჩემთვის.*[305] მართალია, ის ფსიქოზებს უკურნებლად მიიჩნევდა, მაინც მოითხოვდა მათ სამკურნალოდ მიღებას, ვინაიდან ამით ბევრი რამის სწავლა იყო შესაძლებელი, – წერდა ის ფერენცის.[306] ერთ-ერთი პაციენტის შემთხვევაში, რომელიც თავის ანალიტიკოსს გაექცა, ფროიდი ერთგვარი ცინიზმით ამბობდა: *ის მართალია, რადგანაც ყოველი უსასრულო შანსის საპირისპირო მხარესაა, მაგრამ ვალდებულია, თავი გაწიროს მეცნიერებისათვის.*[307] ამ პოზიციისათვის, სადაც მკურნალობის მიზანი აშკარად მეცნიერების მიზანთან შედარებით მეორე პლანზე გადადის და პაციენტი ფაქტიურად უფრო საშუალებაა მიზნის მისაღწევად, ფროიდმა მოგვიანებით შერბილებული ფორმულირება გამოძებნა. *მკურნალობასა და კვლევას შორის ურთიერთკავშირის*[308] შესახებ, რასაც ანალიტიკოსთა შემდეგი თაობები მუდამ იმოწმებდნენ.

სინამდვილეში კი, ალბათ, ფროიდი კონფლიქტურ სიტუაციაში მზად იყო, ეს ურთიერთკავშირი კვლევის სასარგებლოდ გადაეწყვიტა და მკურნალობის ინტერესები უგულვებელყო.

თუ რამდენად იყო ფროიდი მეცნიერული პატივმოყვარეობით შეპყრობილი, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ 1910 წელს შექმნილი საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური გაერთიანების წესდებაში ჩააწერინა, რომ გაერთიანების მიზანი „ფროიდის მიერ შექმნილი ფსიქოანალიტიკური მეცნიერების მოვლა და ხელშეწყობა იყო, როგორც სუფთა ფსიქოლოგიის, ასევე მისი გამოყენებისათვის მედიცინასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“.[309] ეს მიზანდასახულობა ნათელს ხდის, რომ ფროიდი ფსიქოანალიზს ფუნდამენტალურ მეცნიერებად მიიჩნევს („სუფთა ფსიქოლოგია“), რომლის გამოყენებაც სხვადასხვა სფეროშია შესაძლებელი, მათ შორის მედიცინაში. ჯერ კიდევ გვიანდელ დავაში არაპროფესიონალთა ანალიზის უფლებამოსილებისათვის ფროიდი დაუღალავად აღნიშნავდა, რომ ზღვარი გადის არა საექიმო ანალიზსა და ფსიქოანალიზის არასაექიმო გამოყენებას შორის, არამედ უფრო მეტად *მეცნიერულ ფსიქოანალიზსა და მის გამოყენებას შორის სამედიცინო და არასამედიცინო სფეროში.*[310] ფროიდისათვის მისი *ქმნილება* იყო და რჩებოდა, *უბრალოდ ფსიქოლოგიად, რასაკვირველია არა მთელ ფსიქოლოგიად, არამედ მის საძირკვლად, იქნებ სულაც ფუნდამენტად.*[311] და ბოლოს, ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ, რომ უკვე ოთხშაბათის საზოგადოებებში, სადაც ფროიდის პირველი მონაფეები იკრიბებოდნენ, დისკუსიის ცენტრში არავითარ შემთხვევაში არ იდგა ფსიქოანალიზის საექიმო ინტერესები, არამედ მისი, როგორც ახალი მეცნიერების ზოგადი ხასიათი. ვინც შეისწავლის ოთხშაბათის საზოგადოების მემკვიდრე „ვენის ფსიქოანალიტიკოსთა გაერთიანების ოქმებს“, ადვილად დარწმუნდება იმაში, რომ არსად არის ლაპარაკი მედიცინის ერთგვარ ბუნებრივ უპირატესობაზე.

რაც უფრო თავდაჯერებულად ამუშავებდა ფროიდი ფსიქოანალიტიკურ პროექტს, როგორც სა-

მეცნიერო პროექტს, მით უფრო ნაკლებად მალავდა, რომ მან თავისი არსებობის საექიმო მხარე, რომელიც მხოლოდ სარჩოს მოპოვების აუცილებლობის გამო გაჩნდა, არცთუ იოლად იტვირთა: *განსაკუთრებული სიყვარული ექიმის თანამდებობის და საქმიანობის მიმართ ახალგაზრდობაში არ მივგრძვნია და არც შემდეგ. უფრო მეტად ერთგვარი ცოდნის წყურვილი მამოძრავებდა,*[312] – წერდა ის მოგვიანებით. ფერენცისთან მზარდი კონფლიქტის აფექტური მიზეზი ოციანი წლების მეორე ნახევარში, ალბათ, იმაში მდგომარეობდა, რომ ფროიდმა უმცროს კოლეგაში ის ტენდენცია აღმოაჩინა, რომელსაც თვითონ მუდამ გადაჭრით უარყოფდა – „მკურნალობის და გამოსწორების ე. წ. დედობრივი სურვილი". *ეს იყო,* – განუმარტა მას ჯონსს 1933 წელს ფერენცის სიკვდილის შემდეგ, – *ფაქტიურად რეგრესია მისი ბავშვობის კომპლექსებისაკენ. რომლის უდიდესი ტკივილი ის ფაქტი იყო. რომ დედას ივი. საშუალო ასაკის ბავშვი 11 ან 13-მდე არ უყვარდა მხურვალედ. გამორჩევით [. . .]. ამრიგად. ის თვითონ იქცა უკეთეს დედად. შვილებიც იპოვა. რომლების მას სჭირდებოდა [. . .]*[313] მამობრივი, კანონმდებელი ფროიდისათვის საქმის ღალატის ტოლფასი იყო ის, რომ მეცნიერების მკაცრი მოთხოვნები დედობრივი ზრუნვისა და მოვლისთვის მსხვერპლად შეეწირა. მისი გამარჯვება, ასე მიიჩნევდა ის, იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავის თავში ჩაახშო თერაპიული იმპულსები და შესაძლებლობები გაათავისუფლა, რომლებიც მას ზოგადის და აუცილებელის აღმოჩენასთან მიიყვანდა – ქვეცნობიერის ფსიქოლოგიასთან: *ორმოცდაერთწლიანი საექიმო საქმიანობის შემდეგ ჩემი თვითშემეცნება მეუბნება. რომ სინამდვილეში ნამდვილი ექიმი არ ვყოფილვარ. ექიმი ჩემი თავდაპირველი განზრახვის იძულებითი უარყოფის გამო გავხდი და ჩემი ცხოვრების ტრიუმფი იმაში მდგომარეობს. რომ დიდი შემოვლითი გზის გავლის შემდეგ კვლავ ვიპოვე საწყისი მიმართულება. ადრეული წლებიდან არაფერი მახსენდება, რაც დაკავშირებული იქნებოდა ავადმყოფი ადამიანების განკურნების მოთხოვნილებასთან, ჩემი სადისტური მონაცემები არცთუ დიდი იყო [. . .]. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემმა ნაკლმა ნამდვილ საექიმო დისპოზიციაში ჩემს პაციენტებს ძალიან არ ავნო. რადგანაც*



დედასთან ერთად

*ავადმყოფისათვის ბევრი არაფერი მოაქვს იმას, რომ ექიმთან თერაპიული ინტერესი აფექტურად სჭარბობდეს.*[314] ფროიდის მინიშნება საექიმო სადიზმზე, რომელიც თვითონ აკლდა, არ შეიძლება პირდაპირ გავიგოთ, როგორც ნამდვილი პოლემიკა. პირველი მსოფლიო ომის დროს მან ნახა, თუ რა საშინელებების და სადიზმის ჩადენა შეეძლო სამედიცინო ფსიქიატრიას. და სწორედ მე-20 საუკუნეში მეორე მსოფლიო ომის გამოცდილების შემდეგ, რომლის საფარქვეშაც გერმანელი ექიმები ავადმყოფ ადამიანთა დახმარების საბაბით სამეცნიერო კვლევას ანარმოებდნენ და საშინელ დანაშაულს ჩადიოდნენ კაცობრიობის წინაშე,[315] შეუძლებელია ფროიდის ნათქვამი, როგორც დამახინჯება, უარვყოთ.

ის, რაც ფროიდმა თავის პიროვნებაში შეძლო – საექიმო მოღვაწეობის და მეცნიერული კვლევის დაკავშირება სახელგანთქმული აკადემიური დაწესებულებების ანუ უნივერსიტეტების გარეთ, – ხანგრძლივად ვერ იარსებებდა მოდელის სახით. თუმცა ფროიდის მოწაფეები ცდილობდნენ, უმეტესად ექიმები (*ოთხი მეხუთედი პიროვნებებისა, ვისაც მე ჩემს მოწაფედ ვაღიარებ, ისედაც ხომ ექიმები არიან*[316]), ფროიდის მაგალითისთვის მიებაძათ და როგორც „თავისუფალი დროის მკვლევარებს" (შრიოტერი) ფსიქოანალიზის სამეცნიერო ავტორიტეტი გაეძლიერებინათ.

მაგრამ ეს de facto ხანგრძლივი პერსპექტივით ვერ იმოქმედებდა. უკვე პირველი თაობა ფროიდის შემდეგ, რომელიც უნივერსიტეტს და ამით საარსებო წყაროს უზრუნველყოფის საშუალებას იყო მოკლებული, იძულებული გახდა მიეჩნია ფსიქოანალიზი უპირატესად თერაპიულ პროფესიად და ეზრუნა პაციენტებზე. ბერლინელი ექიმი კარლ აბრაჰამი ფროიდის შემდეგ და მის გვერდით პირველი ფსიქოანალიტიკოსი იყო, რომლის საარსებო წყაროსაც მხოლოდ და მხოლოდ პაციენტთა მკურნალობის ჰონორარები წარმოადგენდა. ექიმ-ანალიტიკოსთა უმეტესობა ამ კვალს მიჰყვება დღემდე. თვით არაექიმებმა ფროიდის მომხრეთა შორის, თუნდაც ოტო რანკმა და ჰანს ზაქსმა, რომლებზედაც ის ამდენ იმედს ამყარებდა, როდესაც საქმე ფსიქოანალიზის, როგორც არათერაპიულ, არამედ სამეცნიერო პროექტად დამკვიდრებას შეეხო, ვერ მოახერხეს ხანგრძლივად თავის გატანა, როგორც მხოლოდ მეცნიერებმა; როდესაც საქმე გამძაფრდა და ფულის შოვნა დასჭირდათ, მათ, ფროიდისათვის სამწუხაროდ, თერაპიულ პრაქტიკას მიმართეს.

ფსიქოანალიზის სოციოლოგიური „კონსტრუქციული ნაკლი" თავიდანვე იმაში მდგომარეობდა, რომ ტრადიციული სოციალური ადგილი ახალი ფსიქოლოგიისათვის – როგორც მეცნიერებისათვის, – უნივერსიტეტი,[317] ფროიდის სკოლისთვის დაკეტილი რჩებოდა. კ. გ. იუნგთან ურთიერთობაში მარცხის შემდეგ, რომლის მეშვეობითაც ფროიდი აკადემიურ ველში ფეხის მოკიდებას იმედოვნებდა, ეს ადგილი საბოლოოდ დაკარგული აღმოჩნდა. და ამრიგად, ფროიდის ქმნილება მისი შემქმნელის ჩანაფიქრის საპირისპიროდ, წარმატებას აღწევდა როგორც თერაპია, როგორც ექიმთა კერძო პრაქტიკა. და შემდეგ, რაც უფრო ფერმკრთალდებოდა ფროიდის იდეალის ძალა, რომელმაც თავის პიროვნებაში, თუნდაც გაჭირვებით, კვლევისა და მკურნალობის ურთიერთკავშირი განახორციელა, მით უფრო ფერმკრთალდებოდა ფსიქოანალიზის, როგორც მეცნიერების სახე. და ის, რომ ის დღემდე შემორჩა, თითქმის სასწაულად უნდა მივიჩნიოთ.[318]

## ქალები და მამაკაცები

ფროიდის შემოქმედება საკუთარი თავის სრულ ეგზეკუციას ახდენს „მამის სახელით“ (ჟაკ ლაკანი[317]), ფალოსური მნიშვნელის სახელით, მამათა ებრაული რელიგიის და პატრიარქალური კანონის ნიშნით. ის, რაც შემოქმედებისათვის, განსაკუთრებით კი ფროიდის მამაკაცობისა და დამატებით ქალურობის თეორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მამათა კანონების აპრიორული და უეჭველი დომინირება, ეს ფროიდის საკუთარ ბიოგრაფიაში, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის გასაკვირი, პოულობს თავის სრულიად ბუნებრივ გამოხატულებას. უკვე ბიოგრაფიული ჩანართი „სიზმრების ახ-



ეგონ შილე. წითელი ზიარება. 1911 წ.

სნის" დასაწყისში, რომლის მიხედვითაც, მამამისის იაკობის სიკვდილი *უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო და გადამწყვეტ დანაკარგს წარმოადგენდა მამაკაცის ცხოვრებაში,*[323] ცხადყოფს ფროიდის მზადყოფნას, დაუქვემდებაროს თავისი შემოქმედება პატერნალურ გენეალოგიას, ვინაიდან *სიზმრების ახსნის*, ამ უპირველესი წიგნის და ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ნაწარმოების საწყისს წარმოადგენს ის *თვითანალიზი*, რომელიც იაკობის სიკვდილმა გამოიწვია. მის ნაწარმოებში არსად ჩნდება დედა, როგორც ნარმმართველი და მნიშვნელოვანი ფიგურა – *ის დარჩა*, – როგორც ფროიდი მოგვიანებით მორჩილად ადგენს, – *ანალიტიკური აღქმისათვის იმდენად ძნელი, იმდენად ბუნდოვანი, ძნელად გასაცოცხლებელი,*[324] თითქოს განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ მის განდევნას მეხსიერებიდან. დავუშვათ, რომ აქ ლაპარაკია არა დედაზე, არამედ *პირველ კავშირზე დედასთან*, მაინც სრულიად მშვიდად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს უბრალოდ დედაა, რომელსაც ფროიდი-მამაკაცი აღიქვამს, როგორც *განსაკუთრებული ულმობლობით განდევნილს* – საკუთარ თავში.

შვილიშვილებთან – ჰაინცთან და ერნსტთან ერთად (გარდაცვლილი ქალიშვილის, სოფის შვილები. 1923 წ.).



თუ რამდენად კონგრუენტულია ფროიდის შემთხვევაში ბიოგრაფია და შემოქმედება, როდესაც საქმე მამობრივ კანონმდებლობას ეხება, გვიჩვენებს ერთი მოვლენა, რომელიც პიტერ გაიმ გონებამახვილურად გააშუქა.[322] თუ ფროიდს სიტყვაზე დავიჯერთ – და ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, – მაშინ სახელის მინიჭების პროცესი არის რაღაც, რაც არა მარტო ცნობიერებას ექვემდებარება, არამედ აგრეთვე ქვეცნობიერი მაგიური არსის შექმნას და გამოგონებას. უფრო მეტიც, ის გაჟღენთილია ქვეცნობიერი არსით და შორეული მნიშვნელობებით: *სახელი პრიმიტივებისათვის – ისევე, როგორც დღევანდელი ველურებისათვის და თვით ჩვენი შვილებისათვის – არ არის რაღაც ჩვეულებრივი და საზოგადოებრივი ნორმების შესაბამისი, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, არამედ რაღაც მნიშვნელოვანი და არსებითი. ადამიანის სახელი არის მისი პერსონის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, იქნებ მისი სულის ნაწილიც კი.*[323] გაის თანახმად, ფროიდმა დაიტოვა უფლება, პირადად შეერჩია თავისი ექვსი შვილისთვის სახელები ისე, რომ თავის ცოლს მართას აზრის გამოთქმის უფლება არ დაუტოვა – და ეს არჩევანი მოხდა მხოლოდ და მხოლოდ მამის სახელით. მატილდეს დაერქვა მამის მეგობრისა და მენტორის იოზეფ ბროიერის ცოლის სახელი; ჟან-მარტინი პირდაპირ უკავშირდება მის სამეცნიერო იდეალს შარკოს; ოლივერმა მიიღო ინგლისელი დიქტატორის კრომველის სახელი, რომელმაც თავისი ქვეყნის კარი გაუღო ებრაელებს (და პიკანტური შტრიხი: ის ისტორიაში შევიდა, როგორც სიმბოლური მამის მკვლელი, ვინაიდან სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯას მოაწერა ხელი); ერნსტის სახელი ბრიუკეს უძლიერესი ავტორიტეტის შედეგია; სოფი და ბოლოს, ანა თავის სახელებს სამუელ ჰამერშლაგის, ფროიდის პატივცემული რელიგიის მასწავლებლის ძმისშვილსა და ქალიშვილს უნდა უმადლოდნენ, და რომ მეექვსე შვილი გოგონა არ ყოფილიყო, არამედ ვაჟი, მაშინ ის შესაბამისად მიიღებდა სახელს, რომელიც „მამის“ რიგში აუცილებლად უნდა ყოფილიყო: *ეს რომ ვაჟი ყოფილიყო, მე დეპეშით გაცნობებდი, რადგან მას შენი სახელი*



ფრანკ ვედეკინდი



აუგუსტ სტრინდბერგი

*დაერქმეოდა*,[33] – წერდა ფროიდი ფლისს. ფროიდის შვილების ყველა სახელში კონდენსირდება ერთი სახელი: მამის სახელი, იქნება ეს ფროიდის რეალური მამის იაკობის, თუ მისი სიმბოლური მამების, რომლებიც ფროიდის ნაწარმოებებში სხვადასხვა სახით ჩნდებიან, ყველაზე ხშირად კი ოიდიპოსის და მოსეს სახელით, გამოცანის ამომხსნელის და კანონმდებლის, მამის მკვლელისა და წინამძღოლის. მამის სიმბოლურ სახეზე ექსკლუზიურ კონცენტრაციაში, შემდგომ მორჩილებაში ებრაულის მიმართ (იაკობ ფროიდი, ბროიერი, ჰამერშლაგი) და სამეცნიერო პატერნალიზმში (შარკო, ბრიუკე, კრომველი) მჟღავნდება ფროიდის მიერ სახელების შერჩევის ქვეცნობიერი არსი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს არა მის კერძო ბიოგრაფიას, არამედ მის მეცნიერულ შემოქმედებას.

ამიტომ ფროიდი ქმნის ქალის სახეს აბსოლუტურად გამორიცხვისა და უკმარისობის ნიშნით. ქალურობის არსებობის ფორმა არ ფლობს არაფერს არსებითს, სწორედ იმას, რაც აყალიბებს სუბიექტს: პენისს, სუპერ-ეგოს (სინდისს), ინტელექტს, სუბლიმაციისა და კულტურული ქმედების უნარს – ამ საკითხში ფროიდი, საზოგადოებრივი აზრის შესა-

ბამისად და თანადროულად, ერთსულოვანია თავისი ეპოქის უმეტეს მამაკაცთან, კარლ კრაუსთან, აუგუსტ სტრინბერგთან, ფრანკ ვედეკინდთან და ოტო ვაინინგერთან. ქალი სხვა არაფერია, თუ არა არასრულყოფილი კაცი.

სხვა ველზე ფროიდის მიერ საგნების მონისტური ხედვა სავსებით პროგრესული, რევოლუციურიც კი აღმოჩნდა, რომელმაც დროისთვის დამახასიათებელი ცრურწმენები დაამსხვრია, კერძოდ, დაავადებათა მოძღვრების სფეროში. როგორც დავინახეთ, „სიზმრების ახსნის" დროიდან ფროიდი პრინციპულად უარყოფდა განსხვავებას ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის. მისი *არსებითად ეგალიტარული წარმოდგენების*[325] თანახმად, მისთვის ავადმყოფობა ითვლებოდა თანდათანობით გადასვლად ან გადახრად – ფიქტიური – ჯანმრთელობის ნორმიდან, ჯანმრთელობა კი, პირიქით, უმეტესად წარმოადგენდა *საშინელ უბედურებას*,[326] ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის რელატიურ მდგომარეობას, ისევე როგორც ჰომოსექსუალობა და სხვა „პერვერსიები" არ წარმოადგენენ აბსოლუტურ მოწინააღმდეგეს სავარაუდოდ ნორმალური ჰეტეროსექსუალობისა.

ამის საპრისპიროდ, იგივე მონიზმი, რომლისთვისაც პატარა გოგონა იგივე *პატარა კაცია*,[327] სქესობრივი თეორიის ველში ქალებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ვინაიდან ფროიდის თანახმად, გოგონა ერთ დღესაც აღმოაჩენს, რომ მას სრულყოფილი და ნორმალური მამაკაცობისათვის რაღაც აკლია, რაღაც ანატომიური ატრიბუტი, რისი დანაკლისიც მას აიძულებს, ქალად იქცეს, ანუ არსებად, რომელიც per definitionem არასრულფასოვანია. იმის შეგრძნება, რომ კასტრირებულია – რადგანაც გარდა მამაკაცური გენიტალიისა, არაფერი არსებობს, – ამასთან დაკავშირებული ნარცისისტული წყენა (პენისის შური[328]) გოგონას დედას უპირისპირებს, ის ზურგს აქცევს მას და მამისკენ მიბრუნდება. მაგრამ ოდესმე გოგონა, ფროიდის თანახმად, მიხვდება, რომ მამასაც არ შეუძლია მისთვის იმის მიცემა, რაც მას აკლია და ამიტომ იმედებს შვილზე გადაიტანს. მაშინ, როცა ბიჭი ოიდიპოსის კომპლექსს იმით სძლევს,



კარენ ჰორნეი

რომ ის მამის მხრივ, კასტრირების საფრთხეს თავს არიდებს და თავისი ინცესტური ლტოლვის ობიექტს თავს ანებებს, გოგონა კი, ოიდიპურ სიტუაციას აღიქვამს როგორც უკვე შემდგარ კასტრაციის ფაქტის შედეგს; ამიტომ მას ნაკლები მიზეზი აქვს იმისა, რომ ეს სიტუაცია დატოვოს: *გოგონა კარგავს ოიდიპოსის კომპლექსის მსხვრევის მოტივს: კასტრაციამ უკვე ადრევე გამოიღო შედეგი და ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვი ოიდიპოსის კომპლექსის სიტუაციაში მოახვედრა.*[329] უკვე მოგვიანებით ფროიდმა დაადგინა, რომ გოგონა *მიილტვის ოიდიპური სიტუაციისაკენ, როგორც ნავსაყუდელისაკენ* მაშინ, როდესაც ბიჭი იძულებულია სწორედ ეს სიტუაცია დატოვოს და როგორც მისმა მემკვიდრემ, *მკაცრი სუპერ-ეგო* შექმნას.[330] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: არასრულყოფილი ქალისთვის მამაკაცი რჩება ყველაფრის საზომად. *ანატომია არის ბედისწერა*,[331] ან კიდევ: *ანატომიური განსხვავება ფსიქიკურ შედეგებში აისახება.*[332]

ფსიქიკური შედეგები ქალისთვის, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ქალის დაუოკებელი პენისის შურის გამო გაჩნდა, ფროიდმა პლაკატის სახით ჩამოაყალიბა, რაც ეჭვს არ ტოვებს, რომ მისი ქალურობის თეორია პატერნალური კანონის პირმშოა ან უფრო ზუსტად: მთავარი მამაკაცური ფანტაზიის საგნისა (კრისტა როდე-დაქსერი[333]), რომელიც ქვეცნობიერია

და, რომელიც ფროიდმა მეცნიერულ შემეცნებად წარმოადგინა. ასეა ნათქვამი თუნდაც ნაშრომში Neue Folge der Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse („ლექციების ახალი ციკლი ფსიქოანალიზის შესავალში"): *სუპერ-ეგოს წარმოქმნას ასეთ პირობებში – ოიდიპალური სიტუაცია გოგონებისათვის – ხელი ეშლება. ის ვერ აღწევს იმ სიძლიერეს და დამოუკიდებლობას, რაც მას კულტურულ მნიშვნელობას მიანიჭებდა [. . .]*[334] და: *ის, რომ ქალს არ შეიძლება გააჩნდეს სამართლიანობის შეგრძნება, დაკავშირებულია მის სულიერ ცხოვრებაში შურის სიჭარბესთან. [. . .] ჩვენ ასევე ვფიქრობთ ქალების შესახებ, რომ მათი სოციალური ინტერესები უფრო სუსტია და მათი ინსტინქტთა სუბლიმაციის უნარი მცირე, ვიდრე მამაკაცებისა.*[335] და ბოლოს, სხვაგან ვკითხულობთ: *ხასიათის თვისებები, რომლებსაც კრიტიკა მუდამ მიაწერს ქალებს, რომ ის ნაკლებ ავლენს სამართლიანობის გრძნობას, ვიდრე მამაკაცი, ნაკლებ მიდრეკილებას დაემორჩილოს ცხოვრებისეულ გარდაუვალობას, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ხშირად ხელმძღვანელობს ნაზი და მტრული გრძნობებით*



ედუარდ მუნქი. მომწიფების ასაკი. 1895 წ.



ფროიდის დები

*სუპერ-ეგოს ჩამოყალიბების მოდიფიკაციაში საკმარის დასაბუთებას იპოვიდა. ფემინისტების წინააღმდეგობა, რომლებიც ცდილობენ თავს მოგვახვიონ სქესების სრული გათანაბრება და მათი თანაბარი შეფასება, ხელს ვერ შეგვიშლის ასეთი განაჩენის გამოტანაში [. . .].*[336]

ფროიდის ასეთი კატეგორიული გამონათქვამები, რომლებიც მაინც შერბილებული იყო იმით, რომ მათ ავტორთან იგრძნობოდა სულ უფრო მზარდი დაეჭვება მისი გამოკვლევის დამაჯერებლობაში (ფსიქოლოგიაც *ვერ გადაჭრისო ქალურობის გამოცანას*[337]), ჯერ კიდევ ფროიდის სიცოცხლეში *ფემინისტთა წინააღმდეგობას* აწყდებოდა, კერძოდ კარენ ჰორნეის მხრიდან, რომელმაც უკვე 1926 წელს მნიშვნელოვანი დაკვირვება გააკეთა, რომ ბიჭის ფანტაზიები და ფროიდის ქალურობის თეორია არასრულფასოვნების თეორიის იდენტურია".[338] ქალის სრულფასოვნება, ამ დაკვირვების თანახმად, ემთხვევა იმას, რომ ინტიმური განსხვავების აღმოჩენა ბიჭებსა და გოგონებს შორის პირველთან კასტრაციის შიშის მობილიზებას იწვევს, რომელსაც შემდეგ ქალს მიაწერს, რათა თვითონ შეძლოს თავი „სრულყოფილად" და „ჯანმრთელად" იგრძნოს დევიზ-

ით: მას (გოგონას) აკლია რაღაც და არა მე". ჰორნეიმ თავისი მეამბოხე თვალსაზრისით ერნესტ ჯონსის მხარდაჭერა მოიპოვა, რომელმაც ქალისთვის, როგორც „un homme manque" (არასრულფასოვანი კაცი), ფროიდის მიერ უფლებების აყრა უარყო.[339] მაშინ, როცა ფროიდმა ელენე დოიჩის და ჟან ლამპლ-დე გროოტის მხარდაჭერა მიიღო. ის, რომ ჰორნეიმ მოგვიანებით ერიჰ ფრომთან ერთად ფროიდის ფსიქოანალიზი კულტუროლოგიურად დააკნინა „და ამით მისი საუკეთესო ნაწილი განირა", ალბათ, მათი ფხიზელი გონების წყალობით იმასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რომ ფროიდის ბიოლოგიზმი სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა, რათა ქალისთვის საკუთარი და ავტონომიური განვითარების პერსპექტივა ეჩვენებინა, რომელიც მას „კასტრირებულ" და დამატებით „საშინელი" ქალის კლიშედან გამოიყვანდა.

ფროიდის მიერ ქალის არასრულყოფილ არსებად აღიარებიდან სამოცდაათი, ოთხმოცი წლის შემდეგ ბევრი აღარაფერი დარჩენილა. ფროიდო-ფემინიზმმა, რომელმაც მეოცე საუკუნის ბოლო მესამედში დიდი აღმავლობა განიცადა, დაუნდობლად გამოააშკარავა ფროიდის ქალურობის კონსტრუქციის[340] სუსტი ადგილები და წინააღმდეგობები, რითაც მან შესძლო ეჩვენებინა, რომ მას საფუძვლად ქვეცნობიერი ფანტაზიები უდევს, რომელთა ფუნქციასაც აღქმის და აზროვნების იდენტობის დადგენა წარმოადგენს – „ანალიზის შედეგად „ქალის" ანალიტიკური მითოსი წარმოიშვება".[341] ამ ქვეცნობიერის ერთი ნაწილი შესაძლებელია იმაშიც მდგომარეობდეს, რომ ფროიდმა, რომელსაც როგორც ებრაელს, თვითონ ტანჯავდა არასრულყოფილებისა და არამამაკაცურობის გავრცელებული ეჭვი – საუკუნის მიჯნის ფარულად თუ აშკარად ანტისემიტური ლიტერატურა სავსე იყო მინიშნებებით ებრაელთა არასრულფასოვნებასა და გამდედრობითობაზე (Effeminiertheit)[342] – ეს ეჭვი გადაიტანა ქალებზე და ამით დააკმაყოფილა საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობა.[343] ფროიდი განმეორებით და ენერგიულად უარყოფდა მოსაზრებას, რომ ებრაელები რაიმე სახით უფრო არასრულფასოვანი არიან, ვიდრე სხვა რასების

წარმომადგენლები და ამაში, როგორც ფროიდმა თვითონ გვიჩვენა, – *ქვეცნობიერის აღიარება ეგოს მიერ უარყოფითი ფორმულით გამოიხატება,*[344] – იმალება არასრულფასოვნების აღიარება: ებრაელები და ქალები გამორიცხვის იგივე ლოგიკას ექვემდებარებიან. და იმისთვისაც, რომ ქალები ასე ცუდად ჯდებიან მის თეორიათა სისტემაში, ფროიდს ბრწყინვალე ახსნა ჰქონდა მზად, როდესაც წერდა, *რომ სწორედ პატარა განსხვავებები ჩვეული მსგავსების დროს ასაბუთებს მათ შორის გაუცხოებისა და მტრობის გრძნობების არსებობას. ძალიან მიმზიდველი იქნებოდა ამ იდეის გაგრძელება და ამ პატარა განსხვავებების ნარცისიზმიდან მტრობამდე მისვლა, რომელსაც ჩვენ ყველა ადამიანურ ურთიერთობაში წარმატებით გამოვიყენებდით ერთიანობის გრძნობების წინააღმდეგ და დაძლეულად ვისილავდით საყოველთაო კაცთმოყვარეობის მცნებას.*[345]

თეორეტიკოსის მტრულმა და ქალთმოძულე მხარეებმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მისი სხვა მხარეების დანახვაში. თუკი ის, როგორც ფსიქოლოგი „არასრულფასოვანი ქალის" („defekte Frau") აღმომჩენი იყო, მაშინ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ

ზიგმუნდ ფროიდი. 1938 წ.





ჰანს ბელმერი. სექსუალურობის სწავლა I ფურცელი 2. 1974 წ.

მან ერთგვარად, ქალი, როგორც ქალი, პირველმა აღმოაჩინა; ის, რომ ქალები დამოუკიდებელი სუბიექტების სახით მეცნიერებაში ფიგურირებენ, როგორც ეს ფროიდმა და ბროიერმა ნარკვევში „ისტერიის შესახებ" წარმოადგინეს, საუკუნეების მიჯნაზე სულაც არ იყო თავისთავად ცხადი რამ. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ფროიდის რაკურსით ფსიქიკურზე და ადამიანის სუბიექტურობაზე, მის მიერ სუბიექტური მონათხრობისათვის, ფანტაზიებისა და გრძნობებისათვის მნიშვნელობის მინიჭებით, ინტროსპექციის და ემპათიის პრივილიგირებით – თვისებები, რომლებიც იმ დროს მიღებული სამეცნიერო თვითაღქმის მიხედვით, სერიოზულ მეცნიერებასთან შეუთავსებელი იყო – მან ფსიქოანალიზში ჩადო ძლიერი ანტიპატრიარქალური ელემენტები, რაც ფემინისტთა საყვედურს, რომ ფსიქოანალიზი პრინციპულად ქალებისადმი მტრულად არის განწყობილი, თუნდაც ნაწილობრივ აბათილებს. და ბოლოს, საჭიროა იმის მითითება, რომ ფროიდის თუნდაც ყველაზე მძაფრი კრიტიკა ფროიდოფემინიზმის მხრიდან სწორედ იმ სამეცნიერო მეთოდებს იყენებდა, რომელიც ფსიქოანალიზის შემქმნელმა შემოიტანა.

თითქმის კურიოზული შეიძლება ეწოდოს იმ შეუ-

საბამობას, რომ იგი, რომელმაც სრულიად უარყო ქალების რაციონალობისა და კულტურის უნარი, განსაკუთრებით მაღალი კულტურის და ინტელიგენტობის მქონე ქალებს იზიდავდა.[346] მისი მეგობრობა ლუ ანდრეას-სალომესთან, მარი ბონაპარტესთან, ჰელენე დოიჩთან, ჰილდა დულიტლთან, ჟან ლამპლ-დე გროოტთან, რუთ მაკ ბრუნსვიკთან და ჯოან რივიერთან ლეგენდარულია და არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლებოდა კერძოთი, არამედ თავისთავად გულისხმობდა მეცნიერულსაც. ამ ქალების, როგორც ანალიტიკოსების მიღწევები ამას დამაჯერებლად ადასტურებს. მეცნიერულ-სოციოლოგიური თვალსაზრისით, ფსიქოანალიზი მიეკუთვნება იმ დისციპლინებს, სადაც ქალების წილი ოდითგანვე და დღემდე საგანგებოდ დიდია, და თუ იმის დამტკიცება კიდევ საჭიროა, რამდენად არამყარი საფუძველი აქვს ფროიდის პატერნალური ქალურობის თეორიას, მაშინ ეს მტკიცებულება მისი ქალიშვილი ანა იქნებოდა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით ყველა სიცრუე გააქარწყლა, რაც მამამისს ოდესმე ქალებზე უთქვამს ან დაუწერია. ის, ალბათ, ამის საწინააღმდეგოდ იტყოდა, რომ არსებობენ ქალები, რომლებიც „ნამდვილ" მამაკაცებად გამოდგებიან.

ანდრე მასონი. ეროტიული მიწა. 1939 წ.



## დეცენტრირება – რეცენტრირება

მე-19 საუკუნის დასაწყისის რწმენა, რომ ნამდვილი გონიერია და გონიერი ნამდვილია (ჰეგელი), ათასწლეულის უკანასკნელ მესამედში საკმაოდ ძლიერად შეირყა. რწმენა იმის გონიერებაში, რაც არსებობს და ადამიანის გონიერების უნარში, ხანგრძლივი დროით დაზარალდა ბოროტის, მახინჯის, ავადმყოფურისა და ირაციონალურისათვის ხოტბის შესხმით და მისი პოეტიზირებით ედგარ პოს, შარლ ბოდლერის, არტურ რემბოს, ჟორეს კარლ ჰუიზმანის და გრაფ დე ლოტრეამონის პოეზიაში, – ერთმა მოდერნმა პასუხი მოსთხოვა მეორე მოდერნს, რომელიც ექსპანსიური ინდუსტრიალიზაციისა და ბუნების უწყვეტი დამორჩილების ნიშნით მიმდინარეობდა. სინამდვილის გონიერებაში რწმენამ სრული მარცხი განიცადა შოპენჰაუერისა და ნიცშეს შრომებში. ის, რომ რაციონალობის ფასადის უკან რაღაც სულ სხვა იმალება, რასაც პროგრესზე გაგიჟებული პუბლიკა საკუთარ ტრიუმფად აღიქვამს, რომ ადამიანი არ არის მორალის მხრივ კარგი ან თუნდაც სრულყოფილების უნარის მქონე, რომ ის არ არის „შემოქმედის გვირგვინი", უფრო მეტიც, ის ღორია" (გოტფრიდ ბენი), რომ მას არ ამოძრავებს ნათელი აზროვნება, არამედ ბნელი ძალები – ეს მე-19 საუკუნის შემოქმედებითი და ინტელექტუალური ავანგარდისთვის გადაწყვეტილი საქმე იყო.

ფროიდის შემოქმედებაში სუბიექტის დეცენტრირების ეს პროცესი, რომელიც რაციონალურის, მეცნიერულისა და მცნების სირთულით არის გაჯერებული, თავის აპოგეას აღწევს. მაშინ, როდესაც ფროიდი ზოგადად – და ამდენად სრულიად არაისტორიულად აჩვენებს, რომ ადამიანური კულტურა თავის საწყისში დანაშაულს ემყარება და რომ მან თავი დააღწია ამ ბოროტებას, რომლის უზომო სიამოვნების ძიებას გაჭირვებით კულტივირებული სუბიექტი ნებისმიერ დროს შეიძლება დაუბრუნდეს (და ხშირად, ისურვოს კიდეც მასთან დაბრუნება) და რომ კულტურა, ვინაიდან ის გაერთიანების მცნებას ემორჩილება („გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა



არტურ რემბო



შარლ ბოდლერი

თავი შენი"), სხვა არაფერია, თუ არა *ძნელად შესასრულებელი მოთხოვნა* (Zumutung),[347] რომელსაც ადამიანები, ასე ვთქვათ, მეგნებულად თავს არიდებენ. მაშინ, როდესაც ფროიდი ყოველივე ამას აჩვენებს, ის ამასთანავე მიზეზებსაც ასახელებს, თუ რატომ არის „სტაბილური კულტურა", რომელიც ინდივიდებს ხანგრძლივად დაამშვიდებს და დაიცავს, სრულიად შეუძლებელი რამ. ადამიანებმა, – ამბობს ფროიდი, – უნდა ისწავლონ, რომ უკლებლივ ყველა მათი კულტურული ღონისძიება ქვიშაზეა დაშენებული, ვინაიდან კონფლიქტურ შემთხვევაში – და ეს შემთხვევა პრაქტიკულად მუდამ არსებობს – სექსუალური სურვილი (რომელიც ფროიდის ადრეულ ფსიქოანალიტიკურ თეორიაში დომინირებს) ან მოკვდავის სურვილი (რომელიც გვიანდელ ფროიდთან წინ არის წამოწეული) უფრო ძლიერია, ვიდრე შემზღუდავი და ინდივიდების ერთმანეთისაგან დამცავი კულტურის ნორმები. ამ რადიკალური თვალსაზრისით, ცალკეული მართლაც სრულიად დეცენტრირებულად გვევლინება, თუ ერთადერთი უტყუარობა, რაც მას რჩება, არის ის, რომ ვერ ენდობა ვერც სხვას და ვერც საკუთარ თავს, ფროიდთან სწორედ ჰეგელის წინადადების საპირისპიროდ ნამდვილი უგუნურია და უგუნური ნამდვილია. ნაშ-

რომში Unbehagen in der Kultur („უსიამოვნება კულტურაში") არის ადგილი, სადაც ფროიდი ჰ. ჰაინეს დამოწმებით თავს ნებას აძლევს „ძნელად უარსაყოფი ფსიქოლოგიური ჭეშმარიტებები, თუნდაც ხუმრობით გამოხატოს: *მე მშვიდობიანი განწყობა მაქვს. ჩემი სურვილებია: მოკრძალებული ქოხი, ჩალის სახურავი, მაგრამ კარგი ლოგინი, კარგი საჭმელი, რძე და კარაქი, ძალიან ახალი, ფანჯრის წინ ყვავილები, კარის წინ რამდენიმე ლამაზი ხე და, თუ ღმერთი ისურვებს სრული ბედნიერება მიანიჭოს, იგი გამახარებს, რომ ამ ხეებზე ექვს ან შვიდ ჩემს მეგობარს ჩამოკიდებს. გულაჩუყებული შევუნდობ მათ ყველა უსამართლობას, რომელიც სიცოცხლეში ჩემს მიმართ ჩაიდინეს – დიახ, მეგობრებს უნდა ვაპატიოთ, მაგრამ არა უადრეს, ვიდრე მათ ჩამოახრჩობენ.*[348]

ფროიდის არასასიამოვნო და ასევე ზუსტი დიაგნოზი, რომ *ავხორცი ვნებები [. . .] უფრო ძლიერია, ვიდრე გონიერული ინტერესები* – რადგანაც *საზოგადოებრივი ინტერესები მათ ვერ შეაკავებს*[349] და რომ დამანგრეველი იმპულსი გაიმარჯვებს გამაერთიანებელ, კულტურის შემქმნელ და დამცველ იმპულსებზე, რაც დადასტურდა მე-20 საუკუნის ხოცვა-ჟლეტით, რომელმაც ისტორიული ნარსულიდან ყველაფერი დაჩრდილა. ლიტერატურაში ნაციონალ-სოციალისტთა მიერ ებრაელთა განადგურების შესახებ ყოვ-

ჟორის კარლ ჰუისმანსი



ედგარ ალან პო



ელთვის მიუთითებენ იმაზე, რომ რაციონალური, თუნდაც ვთქვათ, ეკონომიკური საფუძვლის მქონე ნაციონალ-სოციალისტთა ინტერესი ებრაული სამუშაო ძალის ექსპლუატაციის მიმართ, რომელიც ომის ნიშნით და შეიარაღების წარმოების პრიმატით სასწრაფოდ გახდა საჭირო, ბოლოს და ბოლოს, ებრაელთა განადგურების ირაციონალური ინტერესით გადაიფარა. ესესის ობერშტურმბანფიურერ ფრანცს, ტრებლინკას საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს, ჯერ კიდევ მისი დაპატიმრების დროს,1959 წელს ჰანოვერში აღმოაჩნდა ფოტოალბომი, სადაც უამრავი ფოტო იყო მისი ტრებლინკაში მოღვაწეობის შესახებ და, რომელსაც წარწერა ჰქონდა: „ჩემი ცხოვრების უმშვენიერესი ხანა“. ფაქტი, რომ მან ეს მისთვის დამამძიმებელი მასალა 1945 წლის შემდეგ ყოველი რაციონალიზმის საწინააღმდეგოდ ვერ გაანადგურა [. .], ხსნის იმ იძულებით როლს, რომელიც მათ (ფოტოსურათებმა) მათი მფლობელის იდენტურობისათვის ითამაშეს.[350] ისინი ახდენდნენ ილუსტრირებას და ამტკიცებდნენ



არტურ
შოპენჰაუერი



კურტ ფრანცი იტალიაში დასვენების დროს.

ფროიდის მიერ დიაგნოსტირებულ გარემოებას უგუნური, დესტრუქციული და ავტოდესტრუქციული ვნებების უპირატესობის შესახებ გონიერისა და ინდივიდუალურის წინაშე და თვითგადარჩენის გვაროვნულ ინტერესებს.

თავისი რადიკალურად პესიმისტური ანთროპოლოგიით, რომელიც ადამიანს ამხელს, როგორც ინსტინქტურ, უგუნურ ცხოველს და გადაჭრით უარყოფს *ფიზიკური თავისუფლებისა და ნებაყოფლობის ღრმად გამჯდარ რწმენას*,[351] ფროიდი თავის ეპოქაში მარტო არ ყოფილა. უპირველეს ყოვლისა, ნიცშეს და მის მიერ პროკლამირებულ „amor fati"-ს კვალდაკვალ, რომლის თანახმადაც, უნდა გიყვარდეს ის, რასაც condition humaine ყოველთვის უმზადებს ბედს – სასტიკი, მძიმე და გარდაუვალი, – კონსერვატული რევოლუციის ავტორები მე-19 საუკუნის გონიერებასა და პროგრესში რწმენის საწინააღმდეგოდ წინასწარმეტყველებენ ადამიანური ყოფიერების გარდაუვალ ტრაგიზმს და ყოველი კულტურული მცდელობის ამაოებას, რისი გმირულად ატანაც იყო საჭირო. ვილფრედ პარეტოს, ჟორჟ სორელის, ოსვალდ შპრენგელის და ერნსტ იუნგერის ნაშრომებში



ჟორჟ სორელი



ვილფრედო პარეტო

ადამიანი წარმოდგენილია თითოეულისათვის დამახასიათებელი აქცენტირებით მხოლოდ ინსტინქტებით მართულ არსებად, რომლის რაციონალობა სხვა არაფერია, თუ არა დაგვიანებული და ნებაყოფლობითი რაციონალიზება და, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თავს მხოლოდ ბრძოლისა და ძალის მეშვეობით იმკვიდრებს.[352] აშკარაა სიახლოვე გვიანდელი ფროიდის ინსტინქტთა თეორიის გარკვეულ ასპექტებთან და ის, რომ ფროიდს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიცშეს შესახებ არაფრის ცოდნა არ სურდა, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ფროიდი გრძნობდა, ნიცშე იყო ის, ვინც მასზე ადრე თქვა ის, რისი თქმაც მას თვითონ სურდა და რის რეკლამირებასაც საკუთარ აღმოჩენად აპირებდა.

მართლაც, ფროიდს ხშირად უკავშირებდნენ პარეტოს და მის ემფაზას ირაციონალურისა და ინსტინქტურისათვის, რის დროსაც, რასაკვირველია, გარკვეულ განსხვავებაზე არავინ ლაპარაკობდა. ვინაიდან კონსერვატული რევოლუციის თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, რომელთა დეცენტრირებული ანთროპოლოგია მხოლოდ და მხოლოდ „ძალის კულტიდან" (პიტერ გაი[353]) და ძლიერის სუსტზე ბატონობის პოსტულატიდან იღებდა სათავეს, ფროიდი უარყოფდა ასეთი კულტის და

ასეთი პოსტულატის არსებობას. მის ცივ და უალ-რესად უსიხარულო დიაგნოზს, რომლის თანახმად, ქვეცნობიერის ძალაუფლება ბევრად უფრო შორს ვრცელდება, ვიდრე გაცნობიერებული ამბიციები და ინტენციები, და ინსტინქტური მოთხოვნილე-ბების მოთოკვა გონებასთან აპელირებით ძნელია, მიჰყავს ის პარეტოს, სორელის და შპენგლერისაგან განსხვავებით, ერთადერთ ჰუმანურ აზრთან, რომ მათ მიერ აღიარებულ ძალას, რომელიც „დასავ-ლეთის დაღუპვას" (შპენგლერი) და ახალი, ძლიერი მმართველი ადამიანების რასის გაჩენას გამოიწვევს, არ შეიძლება ეკუთვნოდეს უკანასკნელი სიტყვა. ფროიდის მიერ უბრალო მყოფადის ფაქტიური უპი-რატესობის აღიარება არის არსებითად კრიტიკული და არ ესაჭიროება ტრიუმფალური ჟესტით იმის დადასტურება, რაც არის.

ამ უარყოფას, როგორც ყველაფერს ცხოვრებაში, თავისი ფასი აქვს და ფროიდმა გადაიხადა ის. მარ-თალია, ის კვლავ თვლიდა, რომ *კულტურა თითქმის აუ-ტანელ ზეწოლას ახდენს ჩვენზე*[354] და, რომ ჩვენ ამიტომ *ჩვენს დღევანდელ კულტურაში კარგად არ ვგრძნობთ თავს,*[355]

ოსვალდ შპენგლერი



ერნსტ იუნგერი





მაქს ბილის ქანდაკება. ერნსტ ბლოხის „იმედის პრინციპის“ მიხედვით შექმნილი უსასრულო კიბე.

მაინც ღირს ჩავეჭიდოთ კულტურის განვითარების მიზანს, თუ ის გვპირდება შესამჩნევ პროგრესს და შვებას, ადამიანი გარკვეული ინსტინქტების დაკმაყოფილებაზე უარს იტყვის, როგორც ოდესღაც პირველყოფილმა ადამიანმა თქვა უარი ჰომოსექსუალური სიამოვნების მიღებაზე ურინირების გზით ცეცხლის ჩაქრობით: *ვინც პირველად უარი თქვა ამ სიამოვნებაზე, დაიცვა ცეცხლი. შეძლო მისი თან წაღება და თავის სამსახურში ჩაყენება. იმით, რომ მან საკუთარი სექსუალური აგზნების ცეცხლის დაოკება მოახერხა, ბუნების ძალა (სტიქია) დაიმორჩილა. ეს დიდი კულტურული მონაპოვარი, გასამრჯელო უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ ინსტინქტზე უარის თქმის გამო. და შემდეგ, თითქოს ქალს დაევალა საოჯახო კერაში დატყვევებული ცეცხლის დაცვა, რადგან ქალს მისი ანატომიური აგებულება არ აძლევდა ნებას დამორჩილებოდა ასეთი სიამოვნების ცდუნებას.*[356]



ერნსტ ბლოხი

ჩვეულებრივ, ასე დამცირებული კულტურა ფროიდის გვიანდელ ნაშრომში მოულოდნელად მაშველ რგოლად გვევლინება. კულტურა, როგორც ბასტიონი ბარბაროსობაში დაბრუნების მუდამ არსებული საფრთხის გზაზე (როგორც ამას ფაქტიურად კონსერვატული რევოლუციის მოძღვრება ქადაგებდა და ნაციონალ-სოციალიზმი ახორციელებდა), შესაძლებელია არსებობდეს, რამდენადაც ადამიანები მზად არიან *გონიერი მორჩილებისთვის*[357] და *სიამოვნებით ცდუნებისათვის* – შეგვიძლია ვთქვათ, ვაჟკაცურად წინააღმდეგობის გასაწევად. სუბლიმაცია და კულტურა ერთიანია ისევე, როგორც ორივე ერთიანია „სახელითა მამისა", ერთიანია ოიდიპოსთან და მოსესთან.

იმისათვის, რომ კულტურა გამოდგეს „იმედის პრინციპად" (ერნსტ ბლოხი), რომელსაც შეიძლება ჩავეჭიდოთ, ფროიდი იძულებული აღმოჩნდა მის მიერ გამძაფრებული ინდივიდისა და კულტურის დეცენტრირების პროცესი შეეჩერებინა და შემოეტანა რეცენტრირების მთელი რიგი თეორიული ელემენტები. ნაცვლად იმის რეალიზებისა, რომ კულტურის დამფუძნებელი თავდაპირველი ძალადობრივი აქტი აუცილებლად იწვევს კულტურის დაშორებას იმისაგან, რომ შეარიგოს ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ინდივიდები, ამიტომ, თავის მხრივ, ძალადობას აკანონებს,[358] ნაცვლად იმის გააზრებისა, რომ თანამედროვე ცივილიზაციის დამანგრეველი და



თეოდორ ადორნო. „ავტოპორტრეტი" შტეფან მოზესის ფოტოსერიიდან „თვითონ სარკეში"

თვითგამანადგურებელი ტენდენციები – ფროიდის კულტურის არაისტორიული ცნების დისტანციიდან განხილვის მიზნით, – თვით მასშია ჩადებული, რომ ისინი წარმოადგენს ზუსტ „ნეგატივს ცივილიზაციისა" (თეოდორ ვ. ადორნო), იმ თვალსაზრისით, რომ „კეთილი თვისებები, რომლებშიც დესტრუქციული ტენდენციების რაციონალიზება ხდება [. .], გამონაკლისის გარეშე და სრულიად უშუალოდ „ცივილიზაციის ღირებულებებს"[359] წარმოადგენენ, ფროიდმა შექმნა სრულიად კონტრასტული რამ კულტურასა, რომელმაც ის უნდა დაიცვას, და ინსტინქტურ ბარბაროსობას შორის, რომლისგანაც მან უნდა დაიცვას. მაგრამ კულტურულ მონაპოვართა მატარებელი კაცია და ამ კულტურის მატარებლის ფუნქციით ფროიდი მას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ანუ მის რეცენტრირებას ახდენს. უპირველეს ყოვლისა, მამრობითი სქესის ინდივიდი



თეოდორ ადორნოს მონუმენტი (ადორნოს საწერი მაგიდითა და სკამით ფრანკფურტში. ავტორი: ვადიმ ზახაროვი..

გვევლინება *ტოტემი და ტაბუს* დროიდან იმ თვისებებით და უნარებით აღჭურვილი, რაც მას ნებას აძლევს თავი დააღწიოს ინსტინქტურ-ირაციონალურის სახიფათო უფსკრულებს და ცდუნებებს და ფეხქვეშ მყარი ნიადაგი მოიპოვოს – კულტურის ნიადაგი, რომლის „სიდრის ზღვისათვის" ბრძოლით წართმევა გამუდმებით არის საჭირო.[360]

ფროიდის შესახებ ლიტერატურაში ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ რამ აიძულა ფროიდი კულტურის ყოველი მატრილინეარული განმარტების შესაძლებლობა უკუეგდო და მხოლოდ პატრილენეარული დაედგინა, ვინაიდან ხომ აშკარაა (და არა მარტო ფროიდო-ფემინისტებისათვის აღმაშფოთებელი), რომ ფროიდი თავისი ფსიქოლოგიის ფაქტიურად ყველა – კლინიკურ, განვითარების თეორიულ, რელიგიურ და კულტურულ-ისტორიულ და ასევე სექსობრივი თეორიის – დონეზე მხოლოდ და მხოლოდ პატრილინეარულ მოდელს მიჰყვებოდა: კაცობრიობის სათავეში დგას პირველყოფილი ტომის მამამთავარი; *ყველა რელიგიის შექმნის ფესვი არის მამის მონატრება*;[361] და ბავშვის პირველი მოთხოვნილება არის *მამამ და-*

*იცვას;*[362] და ინდივიდის *პირველი* და *უმნიშვნელოვანესი იდენტიფიცირება არის იდენტიფიცირება პირადი წარსულის მამასთან.*[363] ასე გრძელდება ეს ფროიდთან, ამიტომ ამ წიგნის დასაწყისში გამოთქმული ვარაუდი დასაშვები უნდა იყოს, რომ ფსიქოანალიზის მამამთავარი, როგორც ჩანს, თავისი ადრეულ ბავშვობის ხანიდან დედობრივ ზრუნვასთან დაკავშირებული ტრამვული გამოცდილების საფუძველზე განსაკუთრებით მძაფრად ეწინააღმდეგებოდა ქალურ განზომილებას და მის განდევნას ცდილობდა. და ის, რომ ეს მხოლოდ ვარაუდი შეიძლება იყოს, განმარტებას არ მოითხოვს.

ამრიგად, განსაკუთრებით ფროიდის გვიანდელი კულტურის თეორია ბადებს ეჭვს, რომ ის განდევნისა და ამდენად, მატერიალიზაციის შედეგი უნდა იყოს, ანუ თუ ჟან ლაპლანშის კარგად შერჩეულ გამოთქმას გამოვიყენებთ, ეს არის „პტოლემეიზმის"[364] შედეგი, რომელიც ფროიდის კოპერნიკული რევოლუციის მონაპოვარს, რაც ყველას, მამაკაცებსაც და ქალებსაც გამოადგებოდა, გაცილებით მეტ ადგილს უთმობს. ამრიგად, ლაპლანში მართალია, როდესაც ლაპარაკობს ფსიქოანალიზში დაუსრულებელ კოპერნიკულ რევოლუციაზე". ეს არა მარტო კულტურის თეორიას ეხება.

ფროიდი 1939 წელს, მარსფილდის ბაღში.



## ფროიდი, ულიტერატურესი ფსიქოანალიტიკოსთა შორის

ის, რომ ფროიდი არა მარტო ყველაზე დიდი ლიტერატორი იყო ფსიქოანალიტიკოსთა შორის,[365] არამედ, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი მწერალი და გერმანული პროზის ოსტატი იყო, ისინიც კი აღიარებენ, ვინც მის შემოქმედებას სკეპტიკურად უყურებდა ან საერთოდ უარყოფდა. ამ ფაქტის აღიარებად პირველ რიგში ჩაითვლება ის, რომ ფროიდს გოეთეს პრემიის მინიჭებით თავისი დროის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პატივი ერგო, რაც კი ვაიმარის რესპუბლიკის გერმანიას შეეძლო მისთვის მიეგო და, რომ დარმშტატის ენებისა და პოეზიის აკადემია ყოველწლიურად ანიჭებს ზიგმუნდ ფროიდის პრემიას სამეცნიერო პროზისათვის. ლიტერატურულმა საზოგადოებამ ადრე გააცნობიერა, რომ ფროიდის შემოქმედებით ჩვენს წინაშეა არა მარტო იმპოზანტური მეცნიერული ნაგებობა, არამედ ასევე მაღალი რანგის ლიტერატურული მოვლენა.

ამიტომ არ არის საჭირო ისე შორს წასვლა, როგორც ეს ჰაროლდ ბლუმმა გააკეთა. მან ფროიდის პრეტენზია მეცნიერებაზე „ერთხელ და სამუდამოდ" უარყო და ის მითოლოგად მიიჩნია, რასაც ბლუმის თანახმად, ვიტგენშტაინი უარყოფდა.[366] მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ფროიდის პროზის ბრწყინვალება, მისი ლიტერატურული ალეგორიების სიუხვე და მშვენიერი მეტაფორები, მისი დრამატიზმის ელემენტებით გაჯერება, აჩქარება და შეჩერება, გამნვავება და საქმის საოცარი შეტრიალება ავტორის ინ-

ფროიდისათვის გოეთეს პრემიის მინიჭებას პრემიათა კურატორიუმში დავის გარეშე არ ჩაუვლია და მხოლოდ ალფრედ დიობლინის ენერგიული ჩარევით გახდა შესაძლებელი კურატორიუმის მდივნის ალფონს პაკეს მიერ 1930 წ. 26 ივლისს ფროიდისადმი გაგზავნილ წერილში პრემიის მინიჭების ასე დასაბუთება: „მკაცრად საბუნებისმეტყველო მეთოდით, ამასთანავე პოეტური იგავების გაბედული ინტერპრეტირებით თქვენმა კვლევამ გზა გაიკვლია სულის მამოძრავებელი ძალებისაკენ [. . .]".


Mr. WILLIAM
SHAKESPEARES
COMEDIES,
HISTORIES, &
TRAGEDIES.
Published according to the True Originall Copies.

LONDON
Printed by Isaac Iaggard, and Ed. Blount. 1623.

შექსპირის პიესების
პირველი სრული
ფოლიო გამოცემა
(1623 წ.)
მარტინ დრუშაუტის
გრავიურით.

ტერესის შესაბამისად, გარეგნული კი არა, არამედ მისი არსებითი ნაწილია.

ფროიდის ფსიქოანალიტიკური შემოქმედება იწყება ნაშრომის Studien über Hysterie (*„ნარკვევები ისტერიის შესახებ"*) ნოველისტიკით და მთავრდება *ისტორიული რომანით*[367] მოსე ადამიანის შესახებ. ის, რომ ფროიდი თავის თავს ნოველისტად და რომანისტად თვლიდა, მიუთითებს მის ლიტერატურასთან ღრმა იდენტიფიცირებაზე. თუ ფროიდის შემოქმედებას ლიტერატურის შემცველობის თვალსაზრისით შევისწავლით, აღმოჩნდება, რომ ის შეიცავს უფრო მეტ მითითებებს მწერლებზე და მათ ციტატებს – პირველ რიგში, ეს არის გოეთე და შექსპირი, მაგრამ ასევე ჰაინე, შილერი, ლიხტენბერგი, ჟან პოლი და დოსტოევსკიც ერთგვარი კანონზომიერებით გვხვდება – ვიდრე სამეცნიერო ავტორიტეტებსა და

იდეალებზე. ლიტერატურა, შეიძლება ითქვას, ფროიდისათვის შთაგონების, მისი სულიერი კრეატულობისა და პროდუქტიულობის ძირითადი წყარო იყო. და ფროიდის რწმენით, ეს ასეც იყო, რადგანაც ლიტერატურა არაცნობიერთან თავისი სიახლოვის წყალობით ფსიქიკის ფენებს ეხება, რომლებიც მეცნიერებას რაციონალური დისკურსისათვის მიუწვდომელი უნდა რჩებოდეს. თუ გავიხსენებთ, რომ თომას მანმა ერთხელ თქვა, შექსპირი „უდიდესი ფსიქოანალიტიკოსია“, ვინც კი ოდესმე ყოფილაო,[368] და ასევე იმას, თუ რა გრძნობითა და სიყვარულით მიაგებდა პატივს ფროიდი შექსპირის შემოქმედებას და რა გატაცებით იკვლევდა თომას ლუნის თეზისს („Shakespeare Identified“, 1920), რომლის თანახმად, იმ ნაწარმოების ავტორი სტრატფორდელი მსახიობი კი არა, არამედ ედუარდ დე ვერე, ოქსფორდის მე-17 გრაფია,[369] მაშინ იკვრება წრე, რომლის ცენტრში ფსიქოანალიზი და ლიტერატურა დგანან – ან იქნებ ასე: ფსიქოანალიზი, როგორც ლიტერატურა.

რამდენს უმადლის ფროიდი ლიტერატურას და თუ რამდენად ინტიმურად უკავშირდება მისი საკუთარი აზროვნება და წერა ლიტერატურას, ამას ფროიდი ყოველთვის მზადყოფნით აცხადებდა. თოთხმეტი წლისამ საჩუქრად ლუდვიგ ბიორნეს ნაწარმოებთა ერთი ტომი მიიღო და ისე შეიყვარა, რომ ის ერთადერთი წიგნი აღმოჩნდა, რომელიც ყრმობის დროიდან შემოინახა. ერთ-ერთი ბიორნესეული ესეის სათაურია „ხელოვნება იმისა, თუ როგორ გავხდეთ ორიგინალური მწერალი სამ დღეში“, იქ ნათქვამია: „აიღეთ ერთი ფურცელი და ჩაწერეთ სამი დღის განმავლობაში სიყალბისა და პირფერობის გარეშე ყველაფერი, რაც თავში მოგივათ. წერეთ, რასაც ფიქრობთ საკუთარ თავზე, თქვენს ქალებზე, თურქეთის ომზე, გოეთეზე, ფონკის კრიმინალურ პროცესზე, განკითხვის დღეზე, თქვენს უფროსზე და სამი დღის შემდეგ გაოცდებით, რა წარმოუდგენელი აზრები გქონიათ. ეს არის ხელოვნება იქცე სამ დღეში ორიგინალურ მწერლად“.[370]

მიჰყვა თუ არა ფროიდი ამ რჩევას და სცადა თუ არა გამხდარიყო ორიგინალური მწერალი, ჩვენ არ



ლუდვიგ ბიორნე. მორიც ოპენჰაიმის ნახატი 1827 წ.

ვიცით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ 1890-იანი წლების ქარიშხლისა და შფოთვის პერიოდის ფროიდმა, როდესაც ის თვითანალიზით იყო დაკავებული, ეს პროცესი არსებითად წერის საშუალებით განახორციელა – ფლისის წერილები ამ პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ამრიგად, ფროიდის თვითანალიზი, უპირველეს ყოვლისა, „წერის თერაპია" (პატრიკ მაჰონი) იყო[371] და ის, რასაც მოგვიანებით *თავისუფალ ასოციაციებს* უწოდებდა, მან სწორედ წერის პროცესში აღმოაჩინა. ბიორნეს მითითება, ჩაეწერათ ყველაფერი, რაც თავში მოუვიდოდათ, ფროიდის შემოქმედების დასაწყისში მოქმედებს. როდესაც 1919 წელს ფროიდს მიუთითეს ბიორნეს ესეიზე, ის გამოუტყდა თავის თავს, რომ მან მწერლის გავლენა თავის აღმოჩენაზე ერთგვარი კრიპტომნეზის სახით უგულვებელყო. ეს კრიპტომნეზია ფროიდმა ორჯერ განმარტა, ფერენცისადმი მიწერილ წერილში და ანონიმურად გამოქვეყნებულ მოკლე შენიშვნაში. *საქმის ვითარება ჩემთვის ზედმიწევნით ახალია: მე ბიორნი ძალიან ადრე მივიღე საჩუქრად. ალბათ, 13 წლის რომ გავხდი. დიდი მონდომებით წავიკითხე და ამ პატარა*

*თხზულებიდან ზოგიერთი რამ ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში, ბუნებრივია, არა კრიპტომნეზიურში. როდესაც კიდევ ერთხელ წავიკითხე, გავოცდი, რადგანაც ბევრი რამ, რაც იქ ეწერა სიტყვასიტყვით ემთხვეოდა იმას, რასაც მე წარმოვადგენდი და ვფიქრობდი. ამრიგად, ეს მართლაც შეიძლება იყოს ჩემი ორიგინალობის წყარო.*[372] მეორე კომენტარი ზუსტად ასევე ჟღერს: *„გამორიცხული არ უნდა იყოს [. . .], რომ ამ მითითებამ, ალბათ, კრიპტომნეზიის ის ნაწილი გამოავლინა, რაც მრავალ შემთხვევაში მოჩვენებითი ორიგინალობის უკან შეგვიძლია ვივარაუდოთ".*[373]

თუ ფროიდი პოეტ ლუდვიგ ბიორნეს თავისი ორიგინალობის წყაროდ ასახელებს, მაშინ ბიორნეს სახელი ერთგვარად აერთიანებს იმ პოეტთა მთელ გალერეას, რომელთა ნაწარმოებებით ფროიდის შემოქმედება უფრო ხანგრძლივად იყო გაჯერებული, ვიდრე სამეცნიერო ნაშრომის მიმართ შეიძლება ვივარაუდოთ. ფროიდის შემოქმედების დიდი ნაწილი მართლაც ლიტერატურაა, და ამის აღნიშვნა არ ნიშნავს მისთვის სამეცნიერო ხასიათის დაკარგვას. ვინაიდან ფროიდის აღმოჩენის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის მოვლენებს ენით მოსავდა – და ეს მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო ენა იყო, – რომლის შეცნობაც მხოლოდ შემოვლითი გზით, ნარმოსახვის საშუალებით არის შესაძლებელი. ისევე, როგორც გახსენებული და მოყოლილი სიზმარი, ლიტერატურაც არაცნობიერის ტრანს-



ფროიდი თავის კაბინეტში, ვენაში

ლიტერაციააა, როგორც ყოველთვის, პირველადი პროცესების შემდგომი გადატანა მეორადი პროცესების მოწესრიგებულ ენაზე, მაგრამ პირველადი და მეორადი ურთიერთკავშირში რჩებიან, რომლის დროსაც ისინი კონტაქტებს თავს კი არ არიდებენ, არამედ ეძებენ მათ. ფროიდმა იცოდა, რა სჭირდებოდა მას ლიტერატურისაგან და იცოდა, რომ მის გარეშე მეცნიერული ფანტაზია მარცხს განიცდიდა. მისი უდავოდ არსებული მეცნიერული სუპერ-ეგო იმდენად არ დომინირებდა, რომ შეძლებოდა მისი ლიტერატურული იგი-ს (Id) აქტიური იმპულსების შეჩერება. „*უსიამოვნება კულტურაში*" (Das Unbehagen in der Kultur) შესახებ ფროიდი ამბობდა: „*წიგნის ძირითადი თემა [. . .] სრულყოფილად არ არის დამუშავებული და მასზე აგებულია უძნელესი. ზეკომპენსირებადი დანაშაულის გრძნობის ანალიტიკური თეორიის კვლევა. მაგრამ ასეთ კომპოზიციებს არ ქმნიან, ისინი თვითონ წარმოიქმნება. და როდესაც უარს ამბობ მათ ჩაწერაზე, არ იცი, რა მოჰყვება ამას*".[374] და „ადამიანი მოსე" (Mann Moses) ის ამბობს, *ავტორის შემოქმედებითი ძალა, სამწუხაროდ, მის ნებას არ ემორჩილება. ნაწარმოები გამოდის ისეთი, როგორც მას შეუძლია და ხშირად ავტორს უპირისპირდება როგორც დამოუკიდებელი, უცხოც კი.*[375] უფრო ნათლად შეუძლებელია იმის გამოხატვა, რა დამოკიდებულებებს უმადლის ფროიდის შემოქმედება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ფროიდი ექიმებსა და ფსიქოთერაპევტებს შორის მოხვდა – და ეს პრაქტიკულად 1920-იანი წლებიდან მოხდა, – მას შემდეგ, რაც ფსიქოანალიზი იმ მიზეზების გამო, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, მედიცინის განსაკუთრებულ დარგად იქცა, ამ დამოკიდებულებისაგან საგრძნობლად გათავისუფლდა. ფსიქოანალიზის დილემა ფროიდის შემდეგ იმაში მდგომარეობს, რომ მან საზოგადოების მიერ აღიარებულ პროფესიად ქცევის გზაზე სწორედ ის დაკარგა, რაც ასე ძალიან სჭირდება, – ის ლიტერატურული წარმოსახვა, რითაც ფროიდის შემოქმედება საზრდოობდა. ლაკანის დევიზში, „უკან ფროიდისაკენ" დაკარგულის აღიარება ძევს. ასე დავინახეთ ჩვენ ყველა ფსიქოანალიტიკოსზე მეტად ლიტერატურული და ამასთანავე პირველი და



ფროიდი საყვარელ ჩაუ ჩაუებთან ერთად სახლის აივანზე.

უკანასკნელი ფსიქოანალიტიკოსი – ერთეული მოვლენა, ბუმბერაზი, რომლის მხრებზეც ჩვენ ვდგავართ, თუმცა მასზე შორს ვერ ვიხედებით.

## შენიშვნები

### ხშირად ციტირებული გამოცემების შემოკლებები

GW=Sigmund Freud: Gesammelte Werke. Bd. I-XVIII Unter Mitwirkung von Marie Bonaparte hg. von Anna Freud, Edward Bibring, Willi Hoffer, Ernst Kris und Otto Isakower. London, Frankfurt a. M. 1940 ff.
Nachtr.=Sigmund Freud: Gesammelte Werke Nachtragsband. Hg. von Angela Richards unter Mitwirkung von Ilse Grubrich-Simitis. Frankfurt a.M. 1987
B=Sigmund Freud: Briefe 1873-1939. Hg. von Ernst und Lucie Freud. Frankfurt a. M. 1980
F=Sigmund Freud: Briefe an Wilhelm Fließ 1887-1904. Hg. von Jeffrey Moussaieff Masson. Bearb. der deutschen Fassung von Michael Schröter. Frankfurt a. M. 1986
S=Sigmund Freud: Jugendbriefe an Eduard Silberstein. Hg. von Walter Boehlich. Frankfurt a. M. 1989
F/A=Sigmund Freud und Karl Abraham: Briefe 1907-1926. Hg. von Hilda C. Abraham und Ernst L. Freud. Frankfurt a. M. 1980
F/E =Sigmund Freud und Max Eitingon: Briefwechsel 1906-1939. Hg. von Michael Schröter. Tübingen 2004
F/Fer=Sigmund Freud und Sàndor Ferenczi: Briefwechsel. Hg. von Eva Brabant, Ernst Falzeder und Patrizia Giampieri-Deutsch unter der wis-sensch. Leitung von Andre Haynal. Wien, Köln, Weimar 1993-2005
F/J=Sigmund Freud und C. G. Jung: Briefwechsel. Hg. von William McGuire und Wolfgang Sauerländer. Frankfurt a. M. 1974
F/P=Sigmund Freud und Oskar Pfister: Briefe 1909-1939. Hg. von Ernst L. Freud und Heinrich Meng. Frankfurt a. M. 1980
Gay=Peter Gay: Freud. Eine Biographie für unsere Zeit Frankfurt a. M. 1989 Jones I-III =Ernest Jones: Das Leben und Werk von Sigmund Freud. Bd. I-III. Bern, Stuttgart, Wien 1960-1962

1 B,S.408
2 Gay,S 6
3 F/E, S. 903
4 Ob es Jacobs dritte oder doch nur seine zweite Ehe war, ist in der Freud-Forschung umstritten; vgl. Marianne Krüll: Freud und sein Vater. Die Entstehung der Psychoanalyse und Freuds ungelöste Vaterbindung. Frankfurt a. M. 1992, S. 151f.; Max Schur: Sigmund Freud. Leben und Sterben. Frankfurt a. M. 1973, S. 32 ff.; Ronald W Clark: Sigmund Freud, Frankfurt a. M. 1981, S. 17 f.; Gay, S. 4, S. 830
5 W IV, S. 60
6 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V, S. 127; Der Familienroman der Neurotiker, GW VII, S. 227ff.
7 Vgl. Jones I, S. 2 6 ff., Siegfried Bern feld und Suzanne Cassirer Bernfeld. Bausteine der Freud-Biographik. Frankfurt a. M. 1981, S. 78ff., Krüll, a.a.O., S. 159 ff., Clark, a.a O., S.14f.; zurückhaltend dagegen K. R. Eissler: Eine biographische Skizze In: Sigmund Freud. Sein Leben in Bildern und Texten. Hg. von Ernst Freud, Lucie Freud und Ilse Grubrich-Simitis. Frankfurt a. M. 1976, S.11

8 GW II/III,S.253
9 F,S. 290
10 F,S. 292
11 Die Traumdeutung, GW II / III, S. 260
12 F, S. 289
13 Vgl. Herta E. Harsch: Freuds Identifizierung mit Männern, die zwei Mütter hatten. Ödipus, Leonardo da Vinci, Michelangelo und Moses. In: Psyche, 48,1994, S. 124ff.
14 Vgl. Die Traumdeutung, GW II/III, S. 264ff.; Eine Kindheitserinnerung des Leonardo da Vinci, GW VIII, S. 127ff.; Der Moses des Michelangelo, GW X, S. 171 ff.; Der Mann Moses und die monotheistische Religion, GW XVI, S. 101 ff.
15 Vgl. Eissler, a. a. 0., S. 30, Jones II, S.479
16 Vgl. Krull,a.a.O.,S. 178,Harry T. Hardin: Das Schicksal von Freuds früher Mutterbeziehung. In: Psyche, 48,1994, S. 97 ff.
17 Eine Kindheitserinnerung aus «Dichtung und Wahrheit», GW XII, S. 26
18 GW II/III,S.404
19 Schur,a.a.O.,S.499
20 S,S 23
21 Tagebuch 1929-1939. Kürzeste Chronik. Hg. und eingeleitet von Michael Molnar. Basel, Frankfurt a.M. 1996, S. 136
22 Die Frage der Laienanalyse, GW XIV, S. 241
23 B,S.47
24 B,S.439
25 William Shakespeare. König Lear, IV, 7
26 F,S.212,S. 206
27 Die Traumdeutung, GW II / III, S. 203
28 Eissler,a.a.O.,S. 12 .29 Gay, S. 21
30 Krüll,a.a.O.,S. 168,S. 191f.
31 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V,S. 33
32 Krüll,a.a.O.,S. 192
33 Brief an den Burgermeister der Stadt Pribor, GW XIV, S. 561
34 B,S.6
35 Vgl. oben, S. 10 f.
36 S,S. 151
37 Vgl. Cornelius Heim. Eine «Prinzipien»-Frage: Gisela Fluss und Ich-thyosaura. Eine Marginalie zu Freuds Jugendbriefen. In: Psyche, 48,1994, S. 154 ff. 38 S,S.82
39 Vgl. Yirmiyahu Yovel. Spinoza. Das Abenteuer der Immanenz. Göttingen 1994, S. 423 f.
40 GW XIV, S.35
41 Nachwort zur «Frage der Laienanalyse». GW XIV, S. 290
42 Neue Folge der Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse, GW XV, S 197
43 «Selbstdarstellung», GW XIV, S.35
44 «Selbstdarstellung», GW XIV, S.35
45 Brautbriefe. Briefe an Martha Bernays 1882-1886. Ausgewählt, hg.und mit einem Vorwort von Ernst L. Freud. Frankfurt a. M. 1971, S. 124
46 Brautbriefe, a. a. 0., S. 36 ff.
47 Entwurf einer Psychologie, Nachtr., S. 404
48 Brautbriefe, a. a. 0., S. 123
49 Zit. nach Albrecht Hirschmüller: «Einleitung», in: Schriften über Kokain. Hg. und eingeleitet von Albrecht Hirschmüller. Frankfurt a.M. 1996,S. 32
50 Brief an Fritz Wittels vom 18.12. 1923, Nachtr., S. 756
51 Brief an Rudolf Brun vom 18.3. 1936, zit. nach Hirschmüller, a.a.O., S.36
52 Sigmund Freud und Minna Bernays: Briefwechsel 1882-1938. Hg. von Albrecht Hirschmüller. Tübingen 2005, S. 96
53 B,S.137
54 Brautbriefe, a. a. 0., S. 94
55 Brautbriefe, a. a. O., S. 111

56 B.S. 228
57 Charcot, GW I, S. 34
58 Brautbriefe,a.a.O.,S. 136
59 «Selbstdarstellung», GW XIV S. 41
60 Ilse Grubrich-Simitis: Urbuch der Psychoanalyse. Hundert Jahre «Studien über Hysterie» von Josef Breuer und Sigmund Freud. Beiheft zum Reprint der «Studien über Hysterie». Frankfurt a. M. 1995
61 Studien über Hysterie, GW I, S.85f.
62 «Selbstdarstellung», GW XIV, S.48f.
63 F.S.185
64 Zit. nach Grubrich-Simitis, a. a. O., S. 27
65 Die Traumdeutung, GW II / III, S. 487
66 Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung, GW X, S. 60
67 F.S.66
68 Rene Laforgue: Personal Memories of Freud, zit. nach Gay, S. 75
69 F. S. 288, S. 291 u.ö.
70 Studien über Hysterie, Nachtr., S. 229
71 Michael Schröter: Die harte Arbeit des kreativen Prozesses. Erfahrungen mit Norbert Elias. In: Karl-Siegbert Rehberg (Hg.): Norbert Elias und die Menschenwissenschaften. Studien zur Entstehung und Wirkungsgeschichte seines Werkes, Frankfurt a. M. 1996, S. 100
72 F. S. 230 f.
73 Studien über Hysterie, GW I, S. 227
74 F.S. 129
75 Zuerst F, S. 181; zur Definition vgl. Das Unbewußte, GW X, S. 281
76 Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung, GW X, S. 60 f.
77 Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse, GW XI, S. 104
78 Zit. nach Gay, S. 109
79 F.S. 193
80 F.S. 283 f.
81 F, S. 293
82 Denis Diderot: Erzählungen und Gespräche. Bremen 1984, S. 321
83 GW V, S.91
84 F, S. 458. Mit dem «Hien» ist das Schloss Bellevue gemeint, das damals an Sommergäste vermietet wurde. An diesem Ort gelang es Freud erstmals, einen Traum vollständig zu deuten; vgl. Sigmund Freud. Sein Leben in Bildern und Texten, a. a. O., S. 158 f.
85 Zur Ätiologie der Hysterie, GW I, S.439
86 Brief an L. Darmstaeder vom 3. 7.1910, zit. nach Gay, S. 153
87 GW II/III S. VII
88 GW II/III S. 105
89 GW II/III S. 545 ff.
90 GW II/III S. 149 f.
91 GW II/III S. 140
92 GW II/III S. 607
93 GW II/III S. 555ff.
94 GW II/III S. 691
95 GW II/III S. 554
96 GW II/III S.684
97 GW XV, S 169
98 William Shakespeare: Der Sturm, IV, 1
99 Die Traumdeutung, GW II / III, S.613
100 GW IV, S. 256
101 GW IV, S. 268 62 Jacques Lacan: Encore. Das Seminar von Jacques Lacan. Buch XX. Weinheim, Berlin 1986, S. 20, S. 62
103 F.S.493
104 Zit. nach Gordon A. Craig. über Fontane. München 1997, S. 39
105 Ludwig Binswanger: rinnerungen an Sigmund Freud (1956), zit. nach Gay, S. 205
106 Brief an Karl Abraham vom 14.3.1911, zit. nach Gay, S. 205
107 Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung, GW X, S. 64
108 Die Frage der Laienanalyse, GW XIV, S. 207 ff.
109 Protokolle der Wiener Psycho-

analytischen Vereinigung. Bd. I-IV. Hg. von Herman Nunberg und Ernst Federn. Frankfurt a. M. 1976 ff., hier Bd. II, S. 355
110 Vgl. Edward Timms: Karl Kraus. Satiriker der Apokalypse. Wien 1995, S. 141 ff.; vgl auch Edward Timms (Hg.): Freud und das Kind weib. Die Memoiren von Fritz Wittels. Wien 1996, S. 97 ff
111 Brief an Karl Abraham vom 14. 6.1912, zit. nach Gay, S. 276
112 Sigmund Freud und Lou Andreas-Salome: Briefwechsel. Hg. von Ernst Pfeiffer. Frankfurt a.M. 1980, S. 124 u.ö.
113 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V, S. 31
112 114 GW V, S. 82
115 Die psychogene Sehstörung in psychoanalytischer Auffassung, GW VIII, S. 97f.
116 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V, S. 75
117 Über Psychoanalyse, GW VIII, S.45
118 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V. S. 67
119 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V, S. 63
120 Jenseits des Lustprinzips, . GW XIII, S. 35
121 GW V, S.67
122 Psychoanalytische Bemerkungen über einen autobiographisch beschriebenen Fall von Paranoia (Dementia Paranoides), GW VIII, S.311
123 GW V, S. 40
124 GW V, S. 44
125 Bruchstück einer Hysterie-Analyse, GW V,S. 210
126 Vgl. K. R. Eissler: Das Ende einer Illusion. Sigmund Freud und sein 20. Jahrhundert. In: Psyche, 49, 1995, S. 1197
127 GW VI, S. 195
128 GW VI, S. 205
129 Zit. nach Jones II, S. 136
130 Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung, GW X, S. 70
131 «Selbstdarstellung», GW XIV, S.78
132 F/J,S 338
133 F/Fer I/i,S. 235
134 F/Fer I/i,S. 229
135 Drei Abhandlungen zur Sexualtheorie, GW V, S. 128
136 F/P,S.47
137 Protokolle der Wiener Psychoanalytischen Vereinigung, Bd. III, a.a O., S. 272
138 F/J,S. 191
139 Sigmund Freud und Ludwig Binswanger Briefwechsel 1908 bis 1938. Hg von Gerhard Fichtner. Frankfurt a. M. 1992, S. 95
140 F/J,S. 186
141 Vgl. Michael Schröter: Freuds Komitee 1912-1914. Ein Beitrag zum Verständnis psychoanalytischer Gruppenbildung. In: Psyche, 49.1995» S. 513 ff-
142 The Complete Correspondence of Sigmund Freud and Ernest Jones 1908-1939. Hg. von R. Andrew Paskauskas. Cambridge, London 1993, S. 148; im Original englisch
143 The Complete Correspondence of Sigmund Freud and Ernest Jones. a.a.O., S. 149; im Original englisch
144 Gay, S. 249
145 F/Fer I/2, S. 297, S. 308, S. 312
146 GW V, S. 91
147 Zur Einführung des Narzißmus, GW X, S.143
148 GW X, S. 154f.
149 GW X, S. 143
150 Über Psychoanalyse, GW VIII, S. 54 ff.; Zur Dynamik der Übertragung, GW VIII, S. 363 ff. u. ö.
151 Zur Dynamik der Übertragung, GW VIII, S. 364
152 Zur Dynamik der Übertragung, GW VIII, S. 365
153 Über Psychoanalyse, GW VIII, S. 55
154 Die zukünftigen Chancen der psychoanalytischen Therapie, GW VIII, S.108; vgl. F/Fer I/1, S.312

155 Psychoanalytische Bemerkungen über einen autobiographisch beschriebenen Fall von Paranoia (Dementia Paranoides), GW VIII, S. 240
156 Bruchstück einer Hysterie-Analyse, GW V, S. 240
157 F/Fer, I/1,S. 342
158 Gay, S. 352
159 Nachwort zur «Frage der Laienanalyse», GW XIV, S. 295
160 Kurzer Abriß der Psychoanalyse, GW XIII, S. 419
161 Nachwort zur «Frage der Laienanalyse», GW XIV, S. 295
162 Nachwort zur «Frage der Laienanalyse», GW XIV, S. 289
163 Nachwort zur «Frage der Laienanalyse",GW XIV, S. 283
164 F/J, S. 375
165 Der Wahn und die Träume in W. Jensens «Gradiva», GW VII, S. 123
166 «Selbstdarstellung», GW XIV, S.91
167 Der Dichter und das Phantasieren, GW VII, S. 216
168 Der Dichter und das Phantasieren, GW VII, S. 223
169 Freud und Andreas-Salome: Briefwechsel, a. a. 0., S. 100
170 „Selbstdarstellung»,GW XIV, S.95
171 Octave Mannoni: Sigmund Freud in Selbstzeugnissen und Bilddokumenten. Reinbek 1971, S. 99
172 Der Moses des Michelangelo, GW X.S.198
173 Die «kulturelle» Sexualmoral und die moderne Nervosität, GW VII, S. 166 f.
174 GW IX, S. 172
175 GW IX, S. 194
176 GW IX, S. 173
177 Das Unbehagen in der Kultur, GW XIV, S. 488
178 Clark, a. a. 0., S. 3 2 2 f.
179 Freud und Andreas-Salome: Briefwechsel, a. a. O., S. 2 2
180 Zeitgemäßes über Krieg und Tod, GW X, S. 336; Die Widerstände gegen die Psychoanalyse, GW XIV, S. 106
181 GW X, S. 335
182 GW X, S. 338
183 GW X, S. 324ff.
184 GW X, S. 331
185 Max Horkheimer und Theodor W Adorno: Dialektik der Aufklärung. Philosophische Fragmente. Amsterdam 1947, S. 71
186 Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse, GW XI, S. 204
187 Zeitgemäßes über Krieg und Tod GW X, S. 354, S. 350
188 F/Fer II/1, S. 86
189 F,S. 181, S. 228, S. 329
190 Das Unbewußte, GW X, S. 281
191 Metapsychologische Ergänzung zur Traumlehre, GW X, S. 412
192 F,S. 228
193 F/Fer II/1, S. 124;vgl. auch Freud und Andreas-Salome: Briefwechsel, a.a.O., S. 35
194 Übersicht der Übertragungsneurosen. Ein bisher unbekanntes Manuskript. Hg. und mit einem Essay von Ilse Grubrich-Simitis. Frankfurt a.M. 1985
195 GW XI, S. 295
196 GW XII, S. 9
197 F/Fer II/2, S. 142
198 F/A, S. 257
199 Tagebuch 1929-1939, a.a.O., S. 30
200 Tagebuch 1929-1939,a.a.O., S.37
201 Vgl. Ilse Grubrich-Simitis: Zurück zu Freuds Texten. Stumme Dokumente sprechen machen. Frankfurt a. M. 1993, S. 31 ff.
202 GW II/III.S.178
203 Dr. Anton v. Freund, GW XIII, S. 435f-
204 Gutachten über elektrische Behandlung der Kriegsneurotiker. In: Psyche, 26,1972, S. 947

205 Gutachten über elektrische Behandlung der Kriegsneurotiker, a a.O , S. 943
206 Brief an István Hollös vom 4 10 1928, zit nach Max Schur: Das Es und die Regulatonsprinzipien des psychischen Geschehens Frankfurt a. M 1984, S. 10
207 Neue Folge der Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse, GW XV, S. 86
208 GW XIII, S 23
209 GW XIII, S. 57
210 GW XIII, S. 36
211 Das Unbehagen in der Kultur, GW XIV, S. 481
212 Das Unbehagen in der Kultur, GW XIV, S. 482 f.
213 Jenseits des Lustprinzips, GW XIII, S. 53
214 Jenseits des Lustprinzips, GW XIII, S. 59
215 Das Unbehagen in der Kultur, GW XIV, S. 479
216 GW XIII, S. 69; vgl. auch F, S. 150
217 GW XIII, S.73
218 GW XIII, S. 100
219 GW XIII, S.ioiff.
